9

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

2016

ელექტრონული ჟურნალი მიზნად ისახავს ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და მათ მიერ განხორციელებული სამუშაოების ელექტრონული სახით გამოქვეყნებას.

ახალგაზრდა მკვლევრების მიერ გამოყენებული და დამუშავებულია სახვადასხვა სახის მასალები როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ენებზე. მათ სამეცნიერო საქმიანობას წარმართავენ ინსტიტუტის უფროსი თაობის წარმომადგენლები.

ჟურნალში ქვეყნდება ანალიტიკური და სამეცნიერო სტატიები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების, ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ურთიერთობების შესახებ.

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე
	ნოდარ ხონელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

მირანდა გაშელეიშვილი

ირანი და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები 5

მირანდა გაშელეიშვილი

ირანისა და აშშ-ს თანამშრომლობის საკითხი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 11

მირანდა გაშელეიშვილი

დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ირანსა და დიდ ბრიტანეთს
შორის „ბირთვული შეთანხმების“ ფონზე 15

თინათინ კუპატაძე

ჰიჯაბი ირანში 18

ნანული თხლაშიძე

სოციალურ-პოლიტიკური პროტესტის ასახვა
თანამედროვე ირანულ სიმღერაში 27

თამთა ბოკუჩავა

ურთიერთობა AKP-სა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის 47

ინგა ინასარიძე

კონფესიური დაპირისპირების ფაქტორი
არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში 52

ინგა ინასარიძე

იემენის სამოქალაქო ომი 55

სიმონ გურეშიძე

რუსეთის სპეცსამსახურები და გლობალური ტერორისტული ორგანიზაციები 58

სიმონ გურეშიძე

იორდანიული სამკუთხედი 64

მარიამ გურეშიძე

ქრისტიანები, სირიის კონფლიქტი და ჰავანის ისტორიული შეხვედრა 68

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანი და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები

სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა ირანისთვის

ირანის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიას, თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად ირანს მეტოქეობა უხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან. ცივი ომის დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონული (თურქეთი, რუსეთი) ასევე ზერეგიონული ძალების (აშშ, ნატო) დაინტერესების საგანი გახდა. ირანის ისლამური რესპუბლიკა სწორედ მათთან მეტოქეობის ფონზე ცდილობს გააძლიეროს საკუთარი გავლენა გეოპოლიტიკურად და გეოკონომიკურად მნიშვნელოვან რეგიონში.

XX ს-ის ბოლოს სსრკ-ს დაშლის შემდეგ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად დამოუკიდებლობა მოიპოვეს საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ ქვეყნებთან ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა და განსაზღვრა თავისი რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტები:

- ირანის როლი რეგიონში უფრო პოლიტიკური და ეკონომიკურია, ვიდრე სამხედრო. ირანი მხარს უჭერს რეგიონში არსებული ბალანსის შენარჩუნებას.
- ირანისთვის მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოების საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარების მთავარ პირობად ირანი რეგიონულ თანამშრომლობას მიიჩნევს. ირანის ნაციონალური უსაფრთხოება ყველაზე უფრო დაკავშირებულია ყოფილ საბჭოთა სამხრეთში მიმდინარე მოვლენებთან და რეგიონში არსებულ კონფლიქტებთან, (როგორიცაა აფხაზეთის, ე.წ.სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის) ვიდრე სხვა საგარეო ფაქტორებთან. ირანისათვის პირველ ადგილზე დგას „არაინტეგრირებული პოსტსაბჭოთა უსაფრთხოების არაპროგნოზირებადი შედეგები".
- ირანი მხარს უჭერს რეგიონის კონფლიქტების (აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის) მშვიდობიანი გადაწყვეტას. მას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში გააჩნდა სამედიატორო ფუნქცია და უშუალოდ იყო ჩართული ამ პრობლემის გადაჭრის პროცესში.

  ირანისთვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობას განსაზღვრავს ისტორიული მეხსიერება და თანამედროვე პირობებში თეირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები. ეს რეგიონი ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის დასავლეთთან ურთიერთობის საშუალებად განიხილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვითარების რადიკალურად შეცვლისა და ირანის საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში რეინტეგრაციის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასია და კერძოდ, საქართველო განიხილება ირანული ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების ერთ-ერთ მიმართულებად. ასევე დასავლეთთან ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციის საშუალებად.

  ირანმა თავისი რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში შეძლო დაემყარებინა „კეთილმეზობლური" ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. ირანის ისლამური რესპუბლიკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითადი სფეროებია:
- თანამშრომლობა ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში.
- თანამშრომლობა ეკონომიკურ სფეროში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებისთვის.
- თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში.
- თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში.
- თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების საკითხებში.

ირანი და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

XX საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის, აზერბაიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გაერო-ში გაწევრიანების შემდეგ ყარაბაღის კონფლიქტმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ირანის საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული მოსაზღვრე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში.[1] 1992 წლის მარტში ორივე მხარის მოთხოვნით ირანის ისლამური რესპუბლიკა შუამავალი აღმოჩნდა და სამედიატორო ფუნქცია მიენიჭა. 1992 წლის 7 მაისს, ირანის მაშინდელი პრეზიდენტის ჰაშემი რაფსანჯანის მცდელობით აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუმცა აღნიშნული შეთანხმება მალევე დაირღვა, ომი გაგრძელდა და უფრო ინტენსიური გახდა. სომხეთის ძალებმა წარმატება მოიპოვეს მთელ მთიან ყარაბაღზე.

ირანის აქტიურ საშუამავლო პოლიტიკა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით პრაგმატული მიზნებით იყო განპირობებული:

- ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ირანი მხარს უჭერს კონფლიქტის სწრაფ მოგვარებას. ქვეყნის საზღვრებთან საომარი მოქმედებების მიმდინარეობა ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.
- ქვეყნის ნაციონალისტურად განწყობილი და ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი მთავრობაზე ზეწოლას ახდენდა თეირანის კონფლიქტში „ჩართვის“ მიზნით. დადასტურებული იყო ირანელი ახალგაზრდა აზერბაიჯანელთა ჯგუფების მიერ საზღვრის არალეგალურად გადაკვეთისა და კონფლიქტში ჩართვის ფაქტები.[2]
- კონფლიქტის გახანგრძლივება ზრდის ირანში ლტოლვილების გადადინების შანსს (ერაყელ და ავღანელ ლტოლვილებთან ერთად ირანისთვის ახალი პრობლემაა). 1993 წელს ირანის საზღვრებს, ნახიჩევანში არსებული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, 200,000 აზერბაიჯანელი ლტოლვილი მოადგა.
- კონფლიქტში საშუამავლო როლით ირანი ცდილობდა დაეფიქსირებინა საკუთარი თავი, როგორც რეგიონული ძალისა და დაებალანსებინა რეგიონში რუსეთის და თურქეთის გავლენა.

1992 წელს აზერბაიჯანის არჩევნებში „სახალხო ფრონტის“ გამარჯვებისა და პრეზიდენტად აბდულფაზლ ელჩიბეის არჩევის შემდეგ, ირანის საშუამავლო როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში შემცირდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა უარი თქვა ირანის მხრიდან მომავალ ყველა ინიციატივაზე. მის პერიოდში გააქტიურდა „სამხრეთ“ და „ჩრდილოეთ“ აზერბაიჯანის გაერთიანებისა და ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის საკითხიც, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ირანის ტერიტორიულ მთლიანობას. ამასთანავე, 1992 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით შეიქმნა „მინსკის ჯგუფი“[3], რომლის მოღვაწეობას განსაკუთრებული შედეგები არ მოჰყოლია.

---

[1] ირანის ყოფილი საგარო საქმეთა მინისტრი მანუჩეჰრ მოთაქის განაცხადებით “მსგავსი კონფლიქტები წარმოადგენს კავკასიის რეგიონისთვის ტვირთს და ცუდ გავლენას ახდენს რეგიონულ პროექტებზე, რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე. თეირანი მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას და გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ამ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისთვის“.

[2] აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებების ფონზე, თავრიზში ადგილობრივი და უზბეკურ საფეხბურთო გუნდს შორის შეხვედრისას, ირანელი აზერბაიჯანელებისგან გაისმა შეძახილები: „ყარაბაღი ჩვენია და ჩვენი იქნება“.

[3] აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობს საფრანგეთი, რუსეთი და აშშ. მასში შედიან ასევე ბელარუსი, გერმანია, იტალია, პორტუგალია, ჰოლანდია, შვედეთი, ფინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

1993 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტი გახდა ჰეიდარ ალიევი. ირანმა საკუთარი მხარდაჭერა აშკარად გამოხატა მის მიმართ და საკუთარი საშუამავლო როლიც გააქტიურა. თავრიზში ვიზიტისას ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ მხარი დაუჭირა ახალ პრეზიდენტს, განაცხადა ირანის როლის გააქტიურებაზე და ღიად გააკრიტიკა სომხეთის ქმედებები მთიან ყარაბაღში. 1993 წლის 31 ოქტომბერს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაიდო ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დღე გასტანა.

შემდგომ პერიოდში, ისლამური რესპუბლიკის დასავლეთთან და ამასთანავე, აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაუარესების გამო, თეირანის საშუამავლო როლი შესუსტდა. 1994წ. აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა "საუკუნის ხელშეკრულებას" დასავლეთის სანავთობო კომპანიებთან. იმავე წლის ნოემბერში ირანი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ, რომ 5% საერთაშორისო სანავთობო წილიდან ირანს გადაეცემოდა, 1995 წელს თებერვალში ამ საკითხის შესახებ აზერბაიჯანის სანავთობო და ირანის ეროვნულ სანავთობო კომპანიას შორის ხელშეკრულებაც დაიდო, რომლითაც აზერბაიჯანმა აღნიშნული წილი ოფიციალურად ირანს გადასცა. შემდეგ კი დასავლეთის წინააღმდეგობის და ამერიკის ზეწოლის შედეგად 1995 წლის მარტში ირანის წილი (5%) აზერბაიჯანის მხრიდან ცალმხრივად გაუქმდა. ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები თეირანსა და ბაქოს შორის.

2009 წ. კვლავ აქტუალური გახდა ირანის საშუამავლო როლი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში. 2009 წლის 19 აპრილს აზერბაიჯანის რესპუბლიკამ ოფიციალურად განაცხადა თანხმობა ირანის სამედიატორო როლზე, ხოლო იმავე წლის 21 აპრილს სომხეთი არ დაეთანხმა. მიუხედავად ინტენსიური ურთიერთობისა ირანსა და სომხეთს შორის, შესაძლოა სომხეთში არ სჯერათ ირანის ობიექტურობისა ყარაბაღის საკითხთან მიმართებაში, რადგან კონფლიქტის მეორე მხარე (აზერბაიჯანი) მუსლიმური ქვეყანაა. ამასთანავე, სომხეთს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს კონფლიქტში აქტიურად ჩართული რუსეთი, რომლის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება ირანის, როგორც რეგიონული ძალის გააქტიურება კონფლიქტის მოგვარებაში.

2013 წელს ირანის პრეზიდენტად ჰასან რუჰანის არჩევის შემდეგ, ოფიციალური თეირანის მხრიდან, კვლავ გაჟღერდა მზადყოფნა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში საშუამავლო როლის შესრულებაზე. 2016 წლის აპრილში კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავებისა და საომარი მოქმედების დაწყებისთანავე, ირანმა ოფიციალური განცხადებები გაავრცელა და მხარეებს ვითარების დეესკალაციისკენ მოუწოდა:

- მთიანი ყარაბაღში ვითარების გამწვავებისთანავე, **ირანის თავდაცვის მინისტრი** ჰოსეინ დეჰყანი აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს ტელეფონის ესაუბრა და მათ საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და კრიზისის მოლაპარაკებების გზით მოგვარებისკენ მოუწოდა.
- **ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ** შეშფოთება გამოთქვა მთიან ყარაბაღში ვითარების გამწვავების გამო და მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისკენ მოუწოდა.
- ერთობლივი განცხადება გაავრცელეს **ირანის მეჯლისში ირანისა და აზერბაიჯანის და ირანისა და სომხეთის სამეგობრო ჯგუფის ხელმძღვანელებმა**. მათ სომხეთსა და აზერბაიჯანს ვითარების დეესკალაციისა და პროცესის მოლაპარაკებების ჭრილში გადაყვანისკენ მოუწოდეს.

ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური პოზიცია, აღნიშნული განცხადებების მიხედვით, კონფლიქტის მიმართ ნეიტრალურია, განსხვავებით თურქეთისგან, რომელიც ღიად უჭერს აზერბაიჯანს მხარს. თუმცა, ამ შემთხვევაში თურქეთის მხარდაჭერა განცხადებებს არ გასცდენია. თეირანის მიერ განცხადებების გავრცელების ოპერატიულობა ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და მისთვის მნიშვნელოვან რეგიონში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების საფრთხით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ საომარი მოქმედებების პერიოდში ირანის ტერიტორიაზე, კერძოდ აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში სამჯერ ჩამოვარდა საარტილერიო ჭურვი (არაოფიციალური ინფორმაციით,

სომხეთის მხრიდან). ირანულმა მხარემ აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სომხეთიც და აზერბაიჯანიც ოფიციალურად გააფრთხილა, ხოლო მათ პირობა დადეს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

მთიან ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების პირობებში, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და რეგიონის კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის პოზიციის გადამწყვეტ მნიშვნელობას გაესვა ხაზი. ამასთანავე, რუსეთმა საკუთარი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე - დასავლეთთან კონფრონტაციისა და ირან-დასავლეთის ურთიერთობების დარეგულირების დაწყების ფონზე, აზერბაიჯანთან გამართულ მოლაპარაკებებში ირანიც „ჩართო“. 2016 წლის 7 აპრილს ბაქოში ირანისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრები აზერბაიჯანელ კოლეგას შეხვდნენ და ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხებთან ერთად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გზებზე ისაუბრეს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, ირანში დაახლოებით 25 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს და საკმაოდ მნიშვნელოვანია სომხური ლობის გავლენაც, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ თეირანმა ოფიციალურად სომხეთს ან აზერბაიჯანს დაუჭიროს მხარი. ირანისთვის, რომელიც სამხრეთ კავკასიას დასავლეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საშუალებად განიხილავს, მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა. თეირანი არსებულ ვითარებაში საკუთარ ძალისხმევას სწორედ აქეთკენ მიმართავს და ასევე, შეეცდება შუამავლობის როლის მორგებით, რეგიონში საკუთარი გავლენა დააფიქსიროს. აღსანიშნავია, რომ ირანისთვის სამხრეთ კავკასიაში არსებული ძალთა ბალანსი მეტ-ნაკლებად მისაღებია. არსებული ვითარების რომელიმე რეგიონული აქტორის, ამ შემთხვევაში რუსეთის სასარგებლოდ შეცვლა, არ შედის თეირანის ინტერესებში. გრძელვადიან პერსპექტივაში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების სანაცვლოდ, აზერბაიჯანის რუსეთის ინტეგრაციული პროცესებთან მიერთება, რაც რუსეთის მხრიდან უკვე გაჟღერდა, ირანის საზღვრებთან ძლიერი აზერბაიჯანის არსებობას ნიშნავს, რაც აზერბაიჯანში არსებულ „ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის“ იდეას კიდევ უფრო გააქტიურებს, ამის გამოცდილება ირანს არც თუ შორეულ წარსულში, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში აქვს. ამასთანავე, ბაქოსა და მოსკოვს შორის სტრატეგიული ურთიერთობების განვითარება, გაურთულებს ირანს საკუთარი ინტერესების დაცვას კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განხილვისას.

ირანის პოზიცია საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ

მართალია, საქართველოს არ აქვს უშუალო საზღვარი ირანთან, მაგრამ ისტორიულად და გეოპოლიტიკურად შეიძლება ჩვენი ქვეყანა ირანის მეზობლად ჩაითვალოს. საქართველოსა და ირანის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ირანი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო და მასთან პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რაც დამტკიცდა წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობით.

ირანს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ თავისი მიდგომა და პოზიცია გააჩნია. ირანის ისლამურ რესპუბლიკას ყარაბაღის კონფლიქტისაგან განსხვავებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში სამედიატორო ფუნქციის შესრულების სურვილი არ გამოუთქვამს, მაგრამ პოზიცია ნათლად აქვს გამოხატული.

ოფიციალური თეირანის პოზიცია ნათლად გამოვლინდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, პირველი განცხადება, რაც გამოაქვეყნა ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ - “IRNA” (11 აგვისტოს), ეს იყო თბილისში ირანის საელჩოს მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ისინი არ ისურვებენ კონფლიქტის შემდეგ გამწვავებას. ერთ-ერთი ოფიციალური განცხადება, რომელიც შეეხებოდა კავკასიის შეიარაღებულ კონფლიქტს, იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა

სამინისტროს მაშინდელი პრეს-მდივნის ჰ. ყაშყავის მიერ გაკეთებული: **„ირანის პოზიცია საქართველოს კრიზისთან დაკავშირებით ნეიტრალურია.“**

ირანის ისლამური რესპუბლიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა 2008 წლის 28 აგვისტოს, დუშამბეში ავღანეთისა და ტაჯიკეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრისას (შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სხდომის ფარგლებში) ღიად დაუჭირა მხარი რუსეთს და მიუთითა, ამ კონფლიქტის ფორმირებაში უცხო ქვეყნების როლზე. მანვე ბოლო მოვლენების მიზეზად დაასახელა მსოფლიოს ერთპოლუსიანი ხედვა და რეგიონის საქმეებში გარეშე ძალების ჩარევა. აჰმადინეჟადმა კონფლიქტის მოგვარების მთავარ პირობად მიიჩნია: პატივისცემა კანონისა და სამართლიანობისადმი, ზერეგიონული ძალების მიერ ჩარევაზე ხელის აღება და რეგიონის ხალხებისა და სახელმწიფოების მიერ კონფლიქტის ერთმანეთში მოგვარება.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, ირანის პრეზიდენტმა ჟურნალისტების კითხვაზე, აღიარებს თუ არა ირანი მომავალში, რუსეთის მსგავსად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა და ისევ მიუთითა რეგიონში უცხო ძალების და მათ შორის, სიონისტების აქტიურ მოქმედებაზე.

აღსანიშნავია, რომ ირანში ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს აჰმადინეჟადის პოზიცია და განაცხადეს: „ისეთ პირობებში, როცა რუსეთს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებაზე ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე, არ არსებობს არანაირი აუცილებლობა, რომ ირანმა რუსეთს მხარი დაუჭიროს სეპარატიზმის წახალისებაში.“

მიუხედავად ირანის ყოფილი პრეზიდენტის ზემოთაღნიშნული განცხადებისა, ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და თეირანის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების საფრთხე, არსებულ რეალობაში, არ დგას. ირანისთვის მიუღებელია სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების შეცვლა და ამასთანავე, ირანს საკუთარი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელიდან გამომდინარე „არ აწყობს“ სეპარატიზმის მხარდაჭერა და მსგავსი პრეცედენტის დაშვება.

თანამედროვე პირობებში თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ირანის ინტერესებში შედის სტაბილური საქართველო. თეირანი მომავალში კვლავინდებურად გააგრძელებს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების მიმართ ნეიტრალური პოზიციის დაკავებას ან დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზების ფონზე, შეეცდება „კავკასიური პოლიტიკისა“ და დიპლომატიური ქმედებების ფარგლებში ხელი შეუწყოს მშვიდობის უზრუნველყოფას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში.

გამოყენებული წყაროები:

1. E.Herzig, *Iran and The Former Soviet South*,1999
2. http://nationalinterest.org/feature/iran-peacemaker-the-caucasus-11672
3. http://ethnoglobus.az/eng/index.php/all-news/item/325-cooperation-between-iran-and-azerbaijan-in-the-solution-of-the-nagorno-karabakh-and-palestinian-conflicts
4. http://www.ecfr.eu/article/commentary_engaging_iran_implications_for_the_south_caucasus4022
5. http://muftah.org/building-confidence-engaging-iran-nagorno-karabakh-conflict-resolution/#.Vlb6ltIrLIV
6. http://armenpress.am/eng/news/813203/iran-sees-only-solution-to-nagorno-karabakh-conflict-peacefully.html
7. http://www.todayszaman.com/op-ed_why-does-iran-support-armenia-about-karabakh-issue-by-mehmet-fatih-oztarsu-_284543.html
8. http://eurodialogue.eu/energy-security/Iranian-top-official-Talks-on-Nagorno-Karabakh-conflict-can-be-conducted-more-effechttp://eurodialogue.eu/energy-security/Iranian-top-official-Talks-

on-Nagorno-Karabakh-conflict-can-be-conducted-more-effectively-inside-regiontively-inside-region
9. http://hetq.am/eng/news/60887/irans-role-and-place-in-armenia-and-in-azerbaijan.html
10. http://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/ch0701.htm
11. http://www.cria-online.org/2_5.html
12. http://www.thewashingtonreview.org/articles/irans-entry-in-georgian-affairs-and-what-it-means-for-us-georgia-relations.html
13. http://www.gwu.edu/~ieresgwu/assets/docs/ponars/pepm_186.pdf
14. http://www.worlddialogue.org/content.php?id=346
15. http://www.presstv.com/Detail/2016/04/06/459491/iran-russia-azerbaijan-baku/ - Iran's Zarif set to hold Russian, Azeri trilateral talks
16. http://www.presstv.com/Detail/2016/04/05/459216/Iran-Zarif-Armenia-Azerbaijan-Nagorno-Barabakh/ - Iran ready to help resolve Karabakh crisis: FM Zarif
17. http://mfa.gov.ir/index.aspx?siteid=1&fkeyid=&siteid=1&fkeyid=&siteid=1&pageid=176&newsview=386803 - **تماس تلفنی دکتر ظریف با وزیر خارجه ارمنستان**
18. http://mfa.gov.ir/index.aspx?siteid=1&fkeyid=&siteid=1&fkeyid=&siteid=1&pageid=176&newsview=387169 - **بیانیه مطبوعاتی مصوب نشست سه جانبه وزرای خارجه ایران، روسیه و آذربایجان در باکو**
19. http://mfa.gov.ir/index.aspx?siteid=1&fkeyid=&siteid=1&fkeyid=&siteid=1&pageid=176&newsview=387167 **برگزاری نخستین اجلاس سه جانبه ایران، آذربایجان و روسیه در باکو**
20. http://www.radiofarda.com/content/f2-iran-kerry-in-bahrain-ready-to-new-arrangement-for-disputes/27661979.html - **پیشنهاد کری به ایران برای حل مسالمت‌آمیز مناقشات موجود**
21. http://english.aawsat.com/2016/04/article55349456/upper-qarabagh-the-black-garden-of-conflicts - Upper Qarabagh: The "Black Garden" of Conflicts

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანისა და აშშ-ს თანამშრომლობის საკითხი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

ირანის ისლამური რესპუბლიკა სირიასა და მოსაზღვრე ერაყში ისლამისტების გააქტიურების შემდეგ, ცდილობს ერთი მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებიდან და მეორე მხრივ, რეგიონში საკუთარი გავლენის შენარჩუნებიდან სურვილიდან გამომდინარე, აქტიურად ჩაერთოს რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მყოფმა თეირანმა შეძლო რეგიონში საკუთარ მოკავშირეებისთვის აქტიური მხარდაჭერით გავლენის შენარჩუნება და გაზრდა. ამას ადასტურებს სირიის, ერაყის და იემენის მოვლენები და ირანის პოლიტიკა აღნიშნული ქვეყნების მიმართ.

ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ძალების გააქტიურება გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მსოფლიო უსაფრთხოებაზე. თეირანი ინტენსიურად აჟღერებს თავის პოზიციას რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და პრეტენზია აქვს რეგიონის ლიდერობაზეც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა 2013 წლიდან ზომიერი პოლიტიკოსის, ჰასან რუჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ და დასავლეთთან ურთიერთობების დარეგულირების დაწყების ფონზე. ირანი, შესაძლოა ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის ხაზგასმით, ცდილობს ბირთვული პროგრამის მოლაპარაკებების პარალელურად, დასავლეთთან ურთიერთობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტი გამოკვეთოს. ამ მხრივ კი ირანის მთავარ ობიექტს აშშ წარმოადგენს, რომელიც რეგიონსგარეთა აქტორებიდან ყველაზე აქტიურად არის ჩართული ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში.

ირანის გზავნილი აშშ-ს

ირანსა და აშშ-ს შორის რეგიონულ საკითხებზე[1] თანამშრომლობის შესახებ არაოფიციალური ინფორმაციები წლების განმავლობაში ვრცელდება. 2015 წელს ირანსა და „5+1 ჯგუფის“ ქვეყნებს შორის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე ინტენსიური მოლაპარაკებების ფონზე და მხარეებს შორის ჩარჩო შეთანხმების მიღწევის შემდეგ თეირანმა ოფიციალურად გაუგზავნა „მესიჯი“ ვაშინგტონს რეგიონულ საკითხებში თანამშრომლობის შესაძლებლობაზე. კერძოდ, 2015 წლის 20 აპრილს NEW YORK TIMES-ში გამოქვეყნდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის სტატია „გზავნილი ირანისგან“. ავტორი თვლის, რომ ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოსალოდნელი შეთანხმების განმტკიცებისთვის მხარეთა მიერ უფრო მეტი პოლიტიკური სურვილია საჭირო. ირანმა კი უკვე აჩვენა თავისი გადაწყვეტილება და აირჩია ჩართულობის და მოქნილობის პოლიტიკა. ირანელი დიპლომატი მოუწოდებს აშშ-ს და მის დასავლელ პარტნიორებს გააკეთონ არჩევანი თანამშრომლობასა და კონფრონტაციას, მოლაპარაკებებსა და ლოზუნგებს, შეთანხმებასა და იძულების ტაქტიკას შორის.

აღნიშნული მოწოდების შემდეგ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხაზს უსვამს სპარსეთის ყურის რეგიონში არსებულ არეულობას, რომელიც არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნების მთავრობების შეცვლის ჭრილი მიმდინარეობს, არამედ საფრთხეს უქმნის ცალკეულ ქვეყნებში სოციალური, კულტურული და რელიგიური სტრუქტურებს. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ირანი ვერ იქნება უმოქმედო გარშემო შექმნილი არეულობებისადმი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ქაოსი საზღვრებს არ სცნობს. ირანისთვის მეზობლებთან კარგი ურთიერთობა პრიორიტეტულია.

---

[1] 2001 წელს ავღანეთში განხორციელებული ოპერაცია თალიბების წინააღმდეგ; 2003 წელს ერაყში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ დაწყებული ოპერაცია „თავისუფლება ერაყს“ .

ჯავად ზარიფი მიმოიხილავს აგრეთვე ირანის საგარეო პოლიტიკის და ზოგადად, საერთაშორისო პოლიტიკის უსაფრთხოების საკითხებს და აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის პირობებში საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა ერის დაუცველობის ხარჯზე შეუძლებელია - ვერცერთი ერი ვერ განახორციელებს საკუთარ ინტერესებს სხვისი ინტერესების ხარჯზე. არსებული ტენდენციები კი არსად ჩანს ისე ნათლად, როგორც სპარსეთის ყურის რეგიონში. მათ გადასაჭრელად კი საჭიროა თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება . ამ მხრივ, **მთავარ საკითხს ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს.**

ირანისა და სხვა ძირითადი აქტორების ინტერესები მრავალ არენაზე იკვეთება. სპარსეთის ყურის რეგიონში დიალოგისთვის კოლექტიური ფორუმის დაარსება, ჩართულობის ხელშეწყობისთვის დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. ჯავად ზარიფი კონკრეტულად იემენის მაგალითზე განიხილავს სერიოზული დისკუსიის დაწყების შესაძლებლობას და იქვე იმეორებს იემენის კრიზისის დარეგულირების შესახებ ირანის მიერ შემოთავაზებულ გეგმას: **ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება, დიალოგის დაწყებისთვის ხელშეწყობა და ეროვნული, ინკლუზიური მთავრობის შექმნა.**

უფრო ფართო დონეზე კი რეგიონული დიალოგი, ირანელი დიპლომატის აზრით, შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს:

- **ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემას;**
- **საერთაშორისო საზღვრების ხელშეუხებლობას;**
- **საშინაო საქმეებში ჩაურევლობას ;**
- **არსებული დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას;**
- **ძალის გამოყენების და მუქარის დაუშვებლობას;**
- **მშვიდობის, სტაბილურობისა და პროგრესისთვის ხელშეწყობას.**
- **ჯავად ზარიფი მხარს უჭერს რეგიონულ დიალოგში გაერო-ს აქტიურ მონაწილეობას და აღნიშნავს, რომ ის უნდა წარმოადგენდეს საჭირო საერთაშორისო ქოლგას.**

ირანელი დიპლომატის აზრით, მსოფლიო ვერ შეეგუება სპარსეთის ყურის რეგიონში არეულობის ფესვების არსებობას. ამ პრობლემების მოგვარებაში თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის არსებული უნიკალური შესაძლებლობა კი ხელიდან არ უნდა იქნას გაშვებული.[1]

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ , აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესს-სპიკერმა შესაძლებლად მიიჩნია სპარსეთის ყურის რეგიონში სტაბილურობის დამყარების საკითხზე ირანთან დიალოგის დაწყება.

ირანის პოლიტიკა რეგიონში

ირანის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძირითადად, შიიტური მთავრობების მხარდაჭერას ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ირანის ინტერესები უმეტესად ეწინააღმდეგება აშშ-ს ინტერესებს. ირანსა და აშშ-ს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია აქვთ ასადის რეჟიმთან დაკავშირებით. თუმცა ისინი ერთად ეხმარებოდნენ ერაყის მთავრობას „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ.

ერაყში „ისლამური სახალიფოს“ გააქტიურების პარალელურად, ბირთვული მოლაპარაკებების ფარგლებში, ირანისა და აშშ-ს წარმომადგენლები განიხილავდნენ „ისლამურ სახალიფოსთან“ დაპირისპირების საკითხსაც, რაც ორი ქვეყნის ოფიციალური პირებისგან ღიად არ დასტურდებოდა. პრეზიდენტმა ობამამ 2014 წლის ოქტომბერში სულიერ ლიდერ აიათოლა ალი ხამენეის წერილი მიწერა, რომელიც ორი ქვეყნის რეგიონულ საკითხებში თანამშრომლობის შესაძლებლობასაც ეხებოდა. ოფიციალურ თეირანს არ დაუდასტურებია აშშ-

[1]Mohammad Javad Zarif: A Message from Iran.
http://www.nytimes.com/2015/04/20/opinion/mohammad-javad-zarif-a-message-from-iran.html?_r=0

სთან შესაძლო შეთანხმება, „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების შესახებ.

სირია

პრეზიდენტი ბაშარ ასადი ირანის სტრატეგიული მოკავშირეა რეგიონში. აშშ-ს ოფიციალური პირების წარმომადგენელთა ინფორმაციით, სწორედ სირიის საშუალებით ამარაგებს ირანი „ჰეზბოლას“ და უპირისპირდება ისრაელს. „ჰეზბოლა“ კი თავის მხრივ, წარმოადგენს ირანის ბერკეტს ისრაელის წინააღმდეგ. თეირანი სირიას ისრაელთან დაპირისპირების „წითელ ხაზად“ მიიჩნევს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ირანმა სირიაში ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული ქვედანაყოფი, „ყოდსის“ ძალები გააგზავნა, როგორც სამხედრო მრჩევლებად, ასევე რეჟიმის მხარეს საბრძოლველად. ოფიციალური თეირანის ინფორმაციით, ის სირიას მხოლოდ სამხედრო მრჩევლების სახით ეხმარება და გამორიცხავს სამხედრო ძალების ჩარევას კონფლიქტში.

ერაყი

2003 წელს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ აშშ-ს მიერ დაწყებულმა კამპანიამ, რასაც შედეგად მოჰყვა ირანისადმი ანტაგონისტურად განწყობილი სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და შიიტი ისლამისტებისაგან დაკომპლექტებული მთავრობის შექმნა, ხელი შეუწყო ირანის ინტერესებისა და გავლენის გაზრდას ერაყში.

2014 წლის ივნისში ერაყში ისლამისტების გააქტიურების, მათ მიერ მოსულის და სხვა ქალაქების დაკავების შემდეგ, ირანი მტკიცედ უჭერდა მხარს პრემიერ მინისტრ ნური ალ-მალიქის მთავრობას. თავის მხრივ, მალიქი მხარს უჭერდა ირანის რეგიონულ მიზნებს, თეირანს უფლებას აძლევდა ერაყის საჰაერო სივრცის გამოყენებით, მოემარაგებინა სირიაში ასადის მხარდამჭერი ძალები.

ერაყში ვითარების დაძაბვის შემდეგ ირანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თეირანი ერაყში სირიაში გამოყენებულ ტაქტიკას გააგრძელებს: **მხარს დაუჭერს ერაყის მთავრობას ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს მხარდაჭერა სამხედრო მრჩევლების გაგზავნითა და ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარგლება.** თუმცა მალევე გავრცელდა ინფორმაცია ერაყში ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული ქვედანაყოფის „ყოდსის“ ძალების მეთაური ყასემ სოლეიმანის აქტიური ჩართულობის შესახებ. 2014 წლის ივლისში კი თეირანმა დაადასტურა ერაყში მიმდინარე საჰაერო დაბომბვებში ირანელი პილოტის მონაწილეობა და დაღუპვა.

იემენი

კიდევ ერთი ახალი დაპირისპირების კერა რეგიონში ირანსა და დასავლეთის ინტერესებისთვის იემენია, სადაც მოვლენები რეალურად ირანისა და საუდის არაბეთის მეტოქეობის ჭრილში მიმდინარეობს. აშშ-ს კონგრესის 2015 წლის აპრილის ანგარიშის მიხედვით, იემენისა და სპარსეთის ყურის საბჭოს ქვეყნების განცხადებით, ირანი დიდი ხანია იემენის დესტაბილიზაციას ცდილობდა: ხელს უწყობდა „ჰუტების“ მოძრაობას , ამარაგებდა იარაღით.

„ჰუტების“ წარმატება იემენში 2015 წლის გაზაფხულზე არის რეგიონში ირანის გავლენის დამადასტურებელი. ამ მოვლენების ფონზე კი აშკარად გამოიკვეთა ირანისა და საუდის არაბეთის ინტერესთა კონფლიქტი. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ადელ ალ-ჯუ ბეირმა ოფიციალურად დაადანაშაულა ირანი იემენში, სირიასა, ერაყსა და ლიბანში, ტერორიზმის მხარდაჭერაში, რაც ასატანი აღარ არის. ირანსა და საუდის არაბეთს შორის დიპლომატიური დაძაბულობა იემენში საუდის არაბეთის სამხედრო ჩარევის შედეგად კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა - საუდის არაბეთის ელჩი ირანში რამდენჯერმე საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

საუდის არაბეთის აღნიშნული პოზიციის საპასუხოდ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, თეირანის მიერ სირიის, ერაყის, იემენის ძლიერი მხარდაჭერის გაგრძელებას. საგარეო საკითხებში ირანის სულიერი ლიდერის წარმომადგენლის ალი აქბარ ველაიათის ინფორმაციით, კი ირანი თავისი ტრადიციული მოკავშირეების გვერდით იქნება.

ამ ეტაპზე ირანი კვლავ აქტიურად აგრძელებს რეგიონში საკუთარი მოკავშირეების მხარდაჭერას აშშ-სთან კოორდინაციის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის მხრიდან გაჟღერდა ინიციატივა რეგიონულ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ (ოფიციალურ და არაოფიციალურ დონეზე), ჯერჯერობით თეირანსა და ვაშინგტონს შორის შეთანხმება არ მომხდარა. შესაძლოა, ეს საკითხი უფრო აქტიურად დადგეს დღის წესრიგში და რეალური გახდეს ირანის ბირთვულ პროგრამაზე საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში. ამასთანავე ირანისა და აშშ-ს შორის რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის დაწყება გამოიწვევს არსებული რეალობის მნიშვნელოვან ცვლილებებს და დაბრკოლებებს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში (ახლო აღმოსავლეთის სუნიტური სახელწმიფოები, ასევე ისრაელი, რუსეთი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეეცდებიან წინ აღუდგენენ) , რისი გათვალისწინებაც მოუწევს ირანსა და აშშ-ს.

გამოყენებული წყაროები:

1. http://www.nytimes.com/2015/04/20/opinion/mohammad-javad-zarif-a-message-from-iran.html?_r=0
2. http://www.radiofarda.com/content/f12-iran-reaction-saudi-arabia-terrorism/27047065.htmlhttp://www.radiofarda.com/content/f2-iran-me-zarif-saudi-arabia-tries-to-sideline-tehran-syria-rohani/27049001.html
3. http://english.alarabiya.net/en/News/middle-east/2015/05/31/Saudi-FM-Iran-interfering-in-Mideast-affairs-.html
4. http://www.radiofarda.com/content/f2-iran-me-zarif-saudi-arabia-tries-to-sideline-tehran-syria-rohani/27049001.html
5. http://www.radiofarda.com/content/f2-iran-zarif-phone-call-ban-un-immediate-stop-yemen-attacks/26962864.html
6. http://www.radiofarda.com/content/f12-us-says-might-talk-to-iran-about-regional-stability/26969400.html
7. Kenneth Katzman, Iran: U.S. Concerns and Policy Responses; Congressional Research Service; April 14,2015

მირანდა ბაშელეიშვილი

დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ირანსა და დიდ ბრიტანეთს შორის „ბირთვული შეთანხმების“ ფონზე

2015 წლის 23 აგვისტოს ირანსა და დიდ ბრიტანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა და ორივე ქვეყნის საელჩოებმა მუშაობა განაახლეს.[1] აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი „დაემთხვა“ ირანსა და „5+1 ჯგუფის“ ქვეყნებს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი+გერმანია) შორის ირანის ბირთვულ პროგრამაზე კომპლექსური შეთანხმების მიღწევას. ცხადია, რომ თეირანსა და ლონდონს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა პირდაპირ კავშირში იყო ირანის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესთან, რომლის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, სავარუდოდ, ორი ქვეყნის ურთიერთობები არ განახლდებოდა. არსებულ რეალობაში კი ირანსა და დიდ ბრიტანეთს შორის მიმდინარე მოვლენები შეიძლება მივიჩნიოთ ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების დასაწყისის ერთ-ერთ მაგალითად. აღსანიშნავია, რომ ირანის წინააღმდეგ დასავლური სანქციების ბოლო მასშტაბური ტალღა 2011 წელს სწორედ დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო და ამ დაძაბულობის დასრულებაც ლონდონსა და თეირანს შორის ურთიერთობების აღდგენით დაიწყო.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის ვიზიტი თეირანში

2015 წლის აგვისტოში 2003 წლის შემდეგ ირანში ოფიციალური ვიზიტით პირველად ჩავიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანი. ფილიპ ჰამონდის თეირანში ვიზიტისას ირანში დიდი ბრიტანეთის საელჩომ მუშაობა გაანახლა. ოფიციალურ ცერემონიაზე კი ბრიტანელმა დიპლომატმა ურთიერთობების აღდგენა შეაფასა, როგორც დასასრული ორი ქვეყნის ურთიერთობების ერთი ფაზისა და დასაწყისი ახალი, ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობებისა. მან ასევე არ გამორიცხა თეირანისა და ლონდონის თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და რეგიონული საკითხების მოგვარებაში.[2] პარალელურად, ირანელი დიპლომატების ვიზიტისას ლონდონში, მუშაობა განაახლა ირანის საელჩომ.

ირანსა და დიდ ბრიტანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის ფონზე დაიწყო ასევე მუშაობა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისთვის. ამას მოწმობს ისიც, რომ საგარეო საქმეთა მდივანთან ერთად თეირანში ჩამოვიდა ბრიტანელ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდა წარმომადგენლები Royal Dutch Shell, Energy and mining services company Amec Foster Wheeler, Scottish industrial engineering firm Weir Group -დან.

გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პროცესი თეირანსა და ლონდონს შორის 2013 წელს ირანის პრეზიდენტად ჰასან რუჰანის არჩევის შემდეგ დაიწყო და ირანსა და დასავლეთს შორის ბირთვულ პროგარამზე წარმოებული მოლაპარაკებების წარმატების შესაბამისად ვითარდებოდა. სამუშაო პროცესში ლონდონი ირანისგან 2011 წელს საელჩოზე თავდასხმის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა. თუმცა საელჩოს გახსნის დროს, ნათელი გახდა, რომ თეირანს ლონდონისთვის ზარალი არ აუნაზღაურებია - საელჩოს

---

[1] ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2011 ნოემბერში შეწყდა. დიდმა ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა ირანის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, რასაც ირანელი მოხალისე სტუდენტების მიერ თეირანში ინგლსის საელჩოზე თავდასხმა მოჰყვა.

[2] აღსანიშნავია, რომ ერაყსა და სირიაში მიმდინარე მოვლენებში ირანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლასა და სხვა რეგიონულ საკითხებში ირანთან თანამშრომლობის აუცილებლობას დასავლეთი აღიარებს. ამის დადაასტურებაა 2015 წლის ოქტომბერში ვენაში სირიის შესახებ გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში ირანის პირველად მიწვევა.

კედლებზე რადიკალური სტუდენტების გაკეთებული წარწერა სპარსულად „სიკვდილი ინგლისს“ ისევ „ამშვენებს“ დედოფალ ელიზაბეტის სურათს:

თეირანში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ერთ-ერთ კედელი - სურათის ზემოთ სპარსული წარწერა „სიკვდილი ინგლისს“.

მსგავსი წარწერა საელჩოს კარზეცაა. ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული წარწერების მოშორება საჭირო სპეციალისტების არყოფნის გამო ვერ მოხერხდა. არ არის გამორიცხული, რომ ისინი დარჩეს საელჩოს კედლებზე, როგორც ორი ქვეყნის არასტაბილური ურთიერთობების ისტორიის ნიშანი.

ირანისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობები

გასული წლების განმავლობაში ირანსა და დიდ-ბრიტანეთს შორის პერიოდულად ურთიერთობები იძაბებოდა და წყდებოდა კიდეც. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ირანში 1979 წელს მომხდარი ისლამური რევოლუციის შემდეგ.[1] 1979 წელს დიდი ბრიტანეთის საელჩომ თეირანში მუშაობა შეწყვიტა. 1988 წელს საელჩომ მუშაობა განაახლა, თუმცა ურთიერთობები კვლავ დაიძაბა 1989 წელს, როდესაც აიათოლა ხომეინიმ ფათვა გამოსცა სალმან რუშდის, როგორც ისლამის შეურაცხმყოფელის სიკვდილით დასჯის მოწოდებით. ორი ქვეყნის ურთიერთობების ნორმალიზება და ელჩების დონეზე დაბრუნება ირანის რეფრომატორი პრეზიდენტის მოჰამად ხათამის (1997-2005) პერიოდში, 1998 წელს მოხდა. ორივე ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტებიც განხორციელდა. 2001 წელს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი ლონდონში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. იმავე წელს განხორციელდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის ვიზიტი ირანში, რომელიც ძირითადად ავღანეთში თალიბანის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის საკითხების განხილვას დაეთმო.

2003 წლიდან კი თეირანსა და ლონდონს შორის ურთიერთობები თეირანის ბირთვული დოსიეს გამო კვლავ დაიძაბა და ძირითადად ამ ჭრილში მიმდინარეობდა. წლების განმავლობაში მხარეები ერთმანეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით კონკრეტულ

[1] ირანის ისლამურ რევოლუციამდე, კერძოდ 1951 წელს პრემიერ-მინისტრ მოსადეყის მთავრობამ ინგლის-ირანული სანავთობო კომპანიის ნაციონალიზაცია მოახდინა. 1953 წელს კი აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სპეც-სამსახურებმა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაამხეს მოსადეყის მთავრობა და ტახტზე დააბრუნეს შაჰი მოჰამად რეზა ფაჰლავი.

პირებს აკავებდნენ. თეირანში ბასიჯი სტუდენტების დიდი ბრიტანეთის საელჩოზე თავდასხმის ფაქტიც დაფიქსირდა.

2009 წელს ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ არეულობაში ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად ადანაშაულებდნენ დიდი ბრიტანეთის საელჩოს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევაში. ამავე პერიოდში საელჩოს რამდენიმე ადგილობრივი თანამშრომლის დაკავებაც მოხდა.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობები სტაბილურობითა და სიმყარით არ გამოირჩევა. მათი კავშირები, ზოგადად, დასავლეთისა და ირანის ურთიერთობების ჭრილში უნდა იქნას განხილული. ირან-დასავლეთის მიმდინარე ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში კი მოსალოდნელია თეირანისა და ლონდონის დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირების გააქტიურებაც. თეირანსა და ვაშინგტონის შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში, მათ შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე თანამშრომლობის შუამავლის როლსაც, სავარაუდოდ, (არაოფიციალურად) დიდი ბრიტანეთი შეითავსებს.

გამოყენებული მასალები:

1. http://www.theguardian.com/world/on-the-middle-east/2015/jul/17/tehran-embassy-re-opening-will-test-troubled-uk-iran-relations
2. http://www.tehrantimes.com/index_View.asp?code=248894
3. http://www.aljazeera.com/news/2015/08/uk-iran-open-embassies-years-mob-attack-150823040658315.html
4. http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/iran/11819014/Britains-embassy-in-Iran-re-opens-with-Death-to-England-still-graffitied-above-Queens-portrait.html
5. http://www.bbc.com/persian/iran/2009/08/090808_mg_uk_iran_relation
6. http://www.bbc.com/news/uk-15949285
7. http://www.iran.ru/news/analytics/98272/Otkrytie_britanskogo_posolstva_v_Tegerane_oficialnyy_start_evropeyskoy_gonki_za_iranskiy_rynok

თინათინ კუპატაძე

ჰიჯაბი ირანში

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ისლამურ სამყაროზეა საუბარი, პირველი, რაც ნებისმიერი მოქალაქის ცნობიერებაში ამოტივტივდება, ეს არის ამ სამყაროსთან დაკავშირებული საფრთხეები - პირველ რიგში, ტერორიზმი, ბირთვული იარაღი, შემდგომ კი, ალბათ, ის კულტურული ტრადიციები, რომლითაც ასეთი განსხვავებულია ისლამური სამყარო დანარჩენი მსოფლიოსგან. ირანი ახლო აღმოსავლეთის იმ მკაცრ ისლამურ ქვეყნებს შორისაა, რომელიც დასავლეთისათვის არცთუ ისე მშვიდობიან ძალას წარმოადგენს. ირანს ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა მუსლიმურ ქვეყნებში თავისი ისტორიით, ტრადიციებით თუ შიიტური ისლამური ნორმების მკაცრი დაცვის თვალსაზრისით.

ისლამური ნორმების ზედმიწევნით დაცვაზე საუბარი და მათი პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ რთულია და ზოგისთვის მიუღებელიც კი 21-ე საუკუნის მსოფლიოში. ერთ-ერთი ისლამური ტრადიცია, რომელიც, ალბათ, მეტნაკლებად მიუღებელია არა მხოლოდ ირანის, არამედ სხვა ისლამური ქვეყნების საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც ქალები წარმოადგენენ, გახლავთ ისლამური თავსაბურავი - ჰიჯაბი, რაც უკვე დიდი ხანია აღარ არის ქალის უბრალო თავსაბურავი.... ის გარკვეულწილად დაკავშირებულია პოლიტიკური ძალის დემონსტრირებასთანაც.

სანამ უშუალოდ თანამედრივე ირანში ჰიჯაბსა და ქალების ცხოვრებაში მის ადგილზე ვისაუბრებდეთ, საინტერესო იქნება გავიგოთ, თუ ზოგადად რას ნიშნავს სიტყვა „ჰიჯაბი“ და რამდენად წარმოადგენს ის ქალის ჩაცმულობის სავალდებულო ატრიბუტს.

სიტყვა *ჰიჯაბ* არაბულია და ნიშნავს 1. „ჩადრს ან საგანს, რომელიც იცავს ქალს სხვისი ხედვისაგან“, 2. „განცალკევებას“, ანდა 3. „კარჩაკეტილობას“ [1]. დღეს კი იგი წარმოადგენს ქალის ისლამური სხვადასხვაგვარი სამოსის კრებით სახელს, რომლებსაც ქალები სახლიდან გასვლისას იყენებენ თავისა და სხეულის დასაფარად.

სიტყვა *ჰიჯაბი* ყურანში შვიდჯერაა მოხსენიებული, როგორც განცალკევების აღმნიშვნელი, სხვადასხვა შემთხვევებში. ქალებთან დაკავშირებით ის გულისხმობდა ქალების განცალკევებას და დაფარვას სახლის გარეთ მამაკაცებისაგან. ჰიჯაბის შემოღება, რა თქმა უნდა, მუჰამადის სახელს უკავშირდება და მის მიზეზს სწორედ წინასწარმეტყველის ცოლები წარმოადგენდნენ. მრავალრიცხოვან ცოლებთან თანაცხოვრება და მათი საზოგადოებისაგან დაცვა თუ გამორჩევა გარკვეული წესების შემოღებას მოითხოვდა. ჰიჯაბი გახლდათ სწორედ ის საშუალება, რომელმაც არა მხოლოდ განაცალკევა მუჰამადის ცოლები ერთმანეთისაგან, არამედ იქცა მათი გამორჩეული მდგომარეობის კრიტერიუმად და თავდაცვით საშუალებად სამოქალაქო არეულობის დროს. შემდგომ ჰიჯაბის საშუალებითვე მოხდა მორწმუნისა და ურწმუნოს ერთმანმეთისაგან გამიჯვნა და ბოლოს იმ წესების შემოღება, თუ როგორი ტანისამოსი უნდა სცმოდა ქალს.

ყურანსა და ჰადისებში განსაზღვრული წესებით, სამოსმა უნდა დაფაროს სხეულის ნაწილები გარდა სახისა და ხელებისა, არ უნდა იყოს გამჭვირვალე და ტანზე მოკრული, არ უნდა განეკუთვნებოდეს მამაკაცთა ტანისამოსის რიგს და არ უნდა ჰქონდეს სუნამოს ან სხვა რაიმე მძაფრი სურნელი... მართალია, ყურანსა და ჰადისებში დაფიქსირებულია ქალის ჩაცმულობის წესები, მაგრამ არ არის აღნიშნული მხოლოდ მოციქულის ცოლებისთვის იყო ის განკუთვნილი თუ ზოგადად ყველა მუსლიმი ქალისათვის. უფრო მეტი ვარაუდით, აღნიშნული წესები შემოღებულ იქნა მხოლოდ მოციქულის ცოლებისთვის, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თემის სხვა ქალებისათვის მისაბაძი იყო „მორწმუნეთა დედების“ (მოციქულის ცოლების) სამოსი, პარფიუმერია თუ რიტუალები, ამან განაპირობა მისი გავრცელება თემის დანარჩენ ნაწილშიც [1]... ყურანში ასევე გაურკვევლად არის წარმოდგენილი, თუ ქალის სხეულის კონკრეტულად რა ნაწილი უნდა დაფაროს ჰიჯაბმა: მხოლოდ თმა, თმა და კისერი, მკლავები, ხელები, სახე, თვალები?! ყურანის 24:31 აია ქალებს აფრთხილებს, რომ „არ აჩვენონ თავიანთი

მშვენებანი არავის გარდა ქმრებისა“ [1]. ამ შემთხვევაში დავის საგანია ის, თუ რა იგულისხმება სიტყვაში „მშვენება“. სხვადასხვა ინტერპრეტატორები სხვადასხვაგვარად შიფრავენ ამ ფრაზას და შესაბამისად კიდევ უფრო რთულდება ჩაცმულობასთან დაკავშირებული ნორმების განსაზღვრა ყურანსა და ჰადისებზე დაყრდნობით.

ვსაუბრობთ რა ისლამში თავსაფრისა და ჰიჯაბის ტრადიციაზე, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ის არ გახლავთ ისლამური ფენომენი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ზოროასტრელი და ბიზანტიელი ქალბატონები ატარებდნენ მას, როგორც მორთულობასა და ფუფუნების საგანს [2].

ისლამში აღნიშნული ტრადიცია შედის სპარსეთიდან და ბიზანტიიდან. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ვინაიდან ძველ ირანში დიდი ადგილი ეკავა და მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალის ჩაცმულობასა და ჰიჯაბს, თამამად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სწორედ უძველეს ეპოქებში გავრცელებული ჩაცმულობის ფორმა გახლავთ მსოფლიოში ჰიჯაბის გავრცელების ძირითადი წყარო.

ირანში, მართლაც, უძველესი დროიდან არსებობდა თავსაფრის ტრადიცია. ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად, ჯერ კიდევ ცეცხლთაყვანისმცემლობის დროს იყო ვალდებული ქალი, ჩაეცვა ისე, რომ თმის ერთი ღერიც არ გამოსჩენოდა, თუმცა, არც ავესტაში და არც გათებში ქალების ჩაცმულობაზე, თუნდაც რელიგიური რიტუალის შესრულების დროს, და მითუმეტეს სიტყვა ჰიჯაბი, არ ფიქსირდება. იმ პერიოდში ჩაცმულობის სტილი საკმაოდ თავისუფალი და გაცილებით ფერადი იყო.

ყველაზე საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით აქემენიანთა ეპოქაში ქალების ჩაცმულობასა და შემდგომ ჰიჯაბის სახეობის - *ჩადრის* - ტრადიციასთან დაკავშირებით. ბერძენი ისტორიკოსის, პლუტარქეს, თანახმად, აქემენიანთა პერიოდის მდიდარი ქალები სამოგზაუროდ ბორბლებზე მდგარი კარდახურული კარვის გარეშე არ დადიოდნენ. შედარებით დაბალ ფენას, ვისაც გრანდიოზული კარვით გადაადგილების საშუალება არ ჰქონდა, სამოძრაოდ იყენებდნენ მცირე ზომის კარვებს. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ორიგინალური თეორია შეიმუშავა ირანელმა ისტორიკოსმა აჰმად ქასრავიმ, რომლის თანახმადაც, კარავი, რომლის სპარსული შესატყვისი სიტყვაა *ჩადორ* [چادر], ზოგადად იყო საკუთარი სხეულის დაფარვის საშუალება. დროთა განმავლობაში ეს საშუალება ტრანსფორმირდა და მიიღო ტანსაცმლის სახე. ხოლო სახელწოდება „ჩადორ“, რომელიც აღნიშნავს *კარავს* ტანისამოსისთვისაც იგივე დარჩა [3].

ქალების ჩაცმულობა ირანში საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს წააგავდა, გრძელი კიმონოს სტილის ან ზოგადად თავისუფალი სტილის კაბები, ხოლო თავსაფარი - როგორც აქსესუარი. სეფიანთა ეპოქოდან უკვე ნელ-ნელა ფიქსირდება ქალების მხრიდან ჩადრის გამოყენება, როდესაც მათ გარეთ გასვლის დროს მხოლოდ სახე უჩანდათ. ვითარება იცვლება მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც ნასერ ად-დინ შაჰმა ევროპაში იმოგზაურა და ბალერინების კაბებით მოიხიბლა. მან მსგავსი ტიპის კაბებით შემოსა თავისი ჰარემის ქალები, ხოლო შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა დანარჩენი ქალების ჩაცმულობამაც. თუმცა, თავსაფართან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი ფეჰლევიანთა ეპოქამდე არ ჰქონია.

ფეჰლევიანთა დინასტიის მმართველობა, რომელიც ასოცირდება ქვეყნის მოდერნიზაციასთან და რიგ რეფორმებთან, ასევე ასოცირდება დასავლური ტანისამოსის პროპაგანდასა და ჩადრის აკრძალვასთან. აღნიშნული კანონი მოჰამად რეზა ხანმა 1936 წელს შემოიღო, რამაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთ მხარეს იდგნენ კონსერვატორი რელიგიური ქალები, ხოლო მეორე მხარეს - მოდერნიზაციის მომხრენი. რეზა ხანი, რომელიც ოცნებობდა სეკულარული, პროდასავლური სახელმწიფოს შექმნაზე, რელიგიას რეგრესულ ძალად მიიჩნევდა, ხოლო ულემებს - ჩამორჩენილ და პროგრესის წინააღმდეგ მებრძოლებად. ამიტომ ნებისმიერ ხერხს მიმართავდა მათი ძალის შესამცირებლად. ერთ-ერთ იარაღს სწორედ ჩაცმულობის რელიგიური დოგმების წინააღმდეგ გალაშქრება წარმოადგენდა. პარალელი რომ გავავლოთ შაჰის დროინდელ და პოსტრევოლუციურ ირანს შორის, ხელისუფლების ბრძოლის ხერხებს შორის საკმაო მსგავსებას დავინახავთ - თუკი შაჰის დროს პოლიცია იძულებით ხდიდა თავიდან ქალს თავსაბურავს, რევოლუციის შემდგომ, პირიქით, პოლიცია აიძულებდა მათ

ყველანაირი გზით, რომ ჩაეცვათ ჩადრი და დაეფარათ მთელი სხეული ისლამური ნორმების მიხედვით. აღნიშნული აკრძალვები ირანში დღემდე გრძელდება მეტ-ნაკლები სიმკაცრით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

რომ გადავხედოთ ირანის უახლეს ისტორიას, დავინახავთ, რომ თავსაფრის ტრადიცია და მისი დანიშნულება იცვლებოდა მმართველი ძალის სურვილებისა და პოლიტიკის მიხედვით. ის წარმოადგენდა საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ იარაღს საკუთარი ხელისუფლების განსამტკიცებლად სხვადასხვა მმართველის ხელში.

თუკი ფეჰლევიანთა მმართველობის პერიოდში ქვეყნის პოლიტიკა პროდასავლური იყო, შესაბამისად, დასავლური გავლენა შეინიშნებოდა ყველა ასპექტში, მათ შორის, ჩაცმულობაში, რევოლუციის შემდგომ კი ნომერ პირველ მტრად ამერიკა დასახელდა. ამას მოჰყვა ყველაფერი დასავლურის უკუგდება და პირველსაწყის ისლამთან დაბრუნების გზის ძიებები, შესაბამისად, შეიცვალა სამოსიც. ისლამური რევოლუციის ქალები მარტო დარჩნენ ბრძოლის ველზე. მაშინ, როდესაც რევოლუციის დროს ხომეინი მათი ყველანაირი უფლების დაცვის გარანტორად ისახებოდა. ისლამური სახელმწიფოსათვის ქალების ძალდატანებით ჩადრით შემოსვა ერთგვარი ზეიმი და ძალის დემონსტრირება იყო. ეს იყო სიმბოლო შაჰის მიერ წართმეული როლის დაბრუნებისა კლერიკალების მიერ [4].

1979 წლის ისლამური რევოლუციიდან ირანში მოხდა „ქალის პერსონალური, პოლიტიკური, კულტურული, ლეგალური და სოციალური უფლებების მწვავე შემცირება“ [4]. აღდგა პოლიგამია, შემცირდა ქალების საქორწინო ასაკი, შეიზღუდა ქალების მემკვიდრეობითი წილი გაყრის ან ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე შვილზე მეურვეობის უფლებები და ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად სავალდებულო გახდა იძულებითი თავსაბურავი, რაც ისლამური სახელმწიფოსათვის გახლავთ მოქნილი იარაღი მათთვის სასურველი ქალის ნიმუშის შექმნისა, რომელიც ისლამური წესებისა და კანონების ზედმიწევნით დამცველი ერთგული და მორჩილი დედაა.

ქალთა სამთავრობო ორგანიზაციის „ჯამიათ-ე ზანან-ე ჯომჰურიე ესლამის“ თანახმად, „როგორც იმამი ამბობდა, კარგი კაცები კარგი ქალების კალთაში იზრდებიან... თუ ამ მაგალითს გავითვალისწინებთ, მაშინ იმის გააზრებასაც შევძლებთ, რომ დედობა არის ქალის წმინდათა წმინდა მოვალეობა [5].

ქალი მორჩილი უნდა იყოს როგორც კაცის, ისე სახელმწიფოსი. სახელმწიფომ რევოლუციის შემდგომ ბევრ საზოგადოებრივ სფეროში მოღვაწეობა შეუზღუდა ქალს, აიძულა სამოსის შეცვლა და ამგვარად არა მხოლოდ ქმრის, არამედ სახელმწიფოს მორჩილადაც აქცია ის. ისლამური ლოგიკის თანახმად, დაუმორჩილებელი ქალი არის სხვადასხვა სახის ჩაგვრის მსხვერპლი [4]. მაგრამ სახელწიფოს პოლიტიკამ ისინი უფრო მეტად დაუმორჩილებლებად აქცია, რაც შესაბამისი რეაგირების გარეშე არასდროს დარჩენილა. იყო აქტივისტი ქალების დაკავებისა თუ მათი სამსახურიდან გათავისუფლების ბევრი შემთხვევა. არაერთი ახალგაზრდა ირანელი გამხდარა სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი. ბევრი გოგონა დაუკავებიათ, თუნდაც შეუფერებელი ჩაცმულობის გამო, რაც რეალურად გამართლებულია ირანის ისლამური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის თანახმად: „ქალი, რომელიც საზოგადოებაში ჩნდება ისლამური თავსაბურავის გარეშე დაისჯება ათი დღიდან ერთ თვემდე პატიმრობით“... ყოველივე ეს კი რევოლუციის დროს ქალების მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და თავდაუზოგავი ბრძოლის სანაცვლოდ.

ნობელის პრემიის ლაურეატი შირინ ებადი რევოლუციის დროინდელ მოგონებებში წერს: „თავსაბურავით „მოწვევა“ (იგულისხმება სამსახურში ჰიჯაბით გამოცხადების განაცხადი) იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ რევოლუცია თავის დებს შეჭამდა/გაანადგურებდა“... ასეც იყო... რევოლუციის მესვეურებმა ქალები „დაბნეულებად, არაორგანიზებულებად და უმოტივაციოებად“ გამოაცხადეს [6], გამოიყენეს ის საშუალება, რომლითაც ქალი გამუდმებით არაბუნებრივად იგრძნობდა თავს როგორც კი გარეთ გავიდოდა - ეს იყო ჰიჯაბი.

თავდაპირველად ჰიჯაბის ტარების წესი სურვილისამებრ უნდა ყოფილიყო შემოღებული, მაგარამ ეს იდეა მალევე უარყო რევოლუციის ლიდერმა ხომეინიმ. ჰიჯაბი სავალდებულო გახდა. მას შემდეგ უკვე სამ ათწლეულზე მეტი გავიდა. აქედან ყველაზე მკაცრი პირველი

დეკადა გახლდათ, შემდგომ კი ჰიჯაბზე კონტროლი სახელისუფლებო ძალის ცვლილების შესაბამისად იცვალობოდა.

ირანში ჩადრის ევოლუციის ისტორია შესანიშნავად არის წარმოდგენილი ერთწუთიანი ვიდეოკლიპების სერიაში „სილამაზის 100 წელი“, სადაც ზუსტად არის ასახული ერთი მოდელის საშუალებით, თუ რა ცვლილებები განიცადა ქალების ჩაცმულობამ ირანში მოყოლებული ყაჯართა დინასტიიდან დღემდე [7]. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მკაცრად კონტროლდება როგორც ქალის ჩაცმულობა, ისე ვარცხნილობა, თმა და მაკიაჟი. უკვე 1990-იანი წლები, როდესაც ქალები შედარებით აქტიურდებიან და ერთვებიან მოჰამად ხათამის საპრეზიდენტო კამპანიაში და თვითონ ხათამის მმართველობის დროს მათ ჩაცმულობაში შედარებითი თავისუფლება აღინიშნება, კლიპში ასევე მოქცეულია მწვანე მოძრაობის დროს აქტუალური მწვანე თავსაფრიანთა მიმდინარეობა-ტრენდი, ხოლო დასასრულს ნაჩვენებია თანამედროვე ირანელი ქალის სახე, რომელიც რეალურად ძალიან განსხვავდება რევოლუციის შემდგომი პირველი წლების ქალისაგან ჩაცმულობის თვალსაზრისით.

მართლაც, ირანში დღეს განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონები ძალიან თამამად, მორალის პოლიციის წარმომადგენლების ენით რომ ვთქვათ, „ისლამური ნორმების დარღვევით“ იცვამენ. მოდურ ტანისამოსზე მათ საკმაოდ მოხერხებულად აქვთ მორგებული მანტოც და თავსაფარიც, ხოლო თავსაფრის ქვეშ მთელი დიდებულებით მოჩანს მათი ნაირგვარი ვარცხნილობები. თანამედროვე და პროგრესულად მოაზროვნე ირანელი ქალებისა და გოგონებისთვის, შეიძლება ითქვას, ჩაცმულობის ასეთი სტილი ერთ-ერთი იარაღია ხელისუფლების წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ ირანელი ქალების ცხოვრება ჩადრთან დაკავშირებით ორ ნაწილად იყოფა: 1. ბავშვობა, როდესაც მათთვის მთავარ მაგალითს წარმოადგენენ მშობლები, უფროსი დები, ტელევიზიის წამყვანები და შესაბამისად, თავსაფარიც ძალიან მიმზიდველი სათამაშოა, რომლის სხვადასხვა ფორმის ათვისებას ქუჩაში გამვლელებისგანაც ცდილობენ, და 2. მოზრდილობის ეტაპი, როდესაც ირანელი გოგონები აცნობიერებენ, რომ ჰიჯაბი არა მხოლოდ რელიგიური სამოსი, არამედ გარკვეული პოლიტიკური იარაღია, სახელმწიფოს მხრიდან მათდამი მიმართული...

ბავშვები, რომლებიც მეტ-ნაკლებად რელიგიურ ოჯახებში იზრდებიან, თავიდანვე ეცნობიან რელიგიურ წესებსა და ნორმებს: რომ უნდა იკითხონ ყურანი, ილოცონ, დაიცვან ყველა ისლამური წესი და ნორმა... თავიდან მათთვის ეს მოსაბეზრებელი კი არა, პირიქით, დედის გულის მოსაგებად საუკეთესო საშუალებაც შეიძლება იყოს. მაგრამ შემდგომ ყველაფერი იცვლება: „როდესაც სკოლა დავასრულე, დედაჩემის დარიგებები - რა უნდა გამეკეთებინა - უმნიშვნელო გახდა.“ ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც ეკარგება ყველაფერს აზრი, ზოგ შემთხვევაში კი - პირიქით...

აღსანიშნავია, რომ ირანში დღესდღეისობით საკმაოდ ძლიერი პროპაგანდა მიმდიონარეობს 9 წლის ქვემოთ ბავშვებში ჩადრის დანერგვის ტრადიციის დამყარებისათვის. დიდი ხანი არ არის, რაც ირანის პოლიციის მხრიდან გამოცხადდა კონკურსი სახელწოდებით „ზეციური ჩადრები“ („چادر های آسمانی“), რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენს გამოფენის გამართვა, სადაც ჩვეულებრივი მოქალაქეები თუ ფოტოგრაფები წარმოადგენენ 9 წელზე ქვემოთ თავსაფრიანი გოგონების თამაშის, ვარჯიშის, დღესასწაულის, სეირნობის, რელიგიური რიტუალების შესრულების, სტუმრობის, თანატოლ გოგონებთან და ბიჭებთან ყოფნის ამსახველ ფოტოებს. ორგანიზატორებმა ფულადი ჯილდოებიც კი დააწესეს მათთვის, ვინც პირველად წარადგენდა ფოტოსურათებს: პირველი ადგილისათვის განსაზღვრული გახლდათ ღირსების ორდენი და 40 მლნ. რიალი, მეორე ადგილისთვის - ღირსების ორდენი და 30 მლნ. რიალი, მესამესთვის - ღირსების ორდენი და 20 მლნ. რიალი [8]... პროპაგანდას მაშინვე მოჰყვა გამოხმაურება გენდერული თანასწორობისათვის მებრძოლი აქტივისტების მხრიდან, რომლებმაც სასწრაფოდ მოითხოვეს კონკურსის გაუქმება და საიტზე - „Macholand“ - წამოიწყეს საწინააღმდეგო პროპაგანდა სახელით „პატარა გოგონები ზრდასრული თოჯინები არ არიან“ და საზოგადოებასაც მოუწოდეს მასში მონაწილობის მიღება [9]. ამ მოძრაობის მიზანი, რა თქმა

უნდა, ბავშვების უფლებების წინააღმდეგ გალაშქრება გახლავთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რელიგიურ ოჯახში არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობა სუფევს. მიუხედავად იმისა, რომ ყურანის თანახმად გოგონებმა თავსაფარი 9 წლიდან უნდა ატარონ, ბევრი რელიგიური ოჯახი, უკვე 4-5 წლიდან აიძულებს ქალიშვილებს მის ტარებას „თავსაფართან მიჩვევის“ მიზნით, არ აქვს მნიშვნელობა ბავშვები სახლში იქნებიან, თუ - გარეთ. მაგრამ, აქ მხოლოდ თავსაფარში არაა საქმე, ბავშვებს მანტოს ჩაცმაც უწევთ ე.წ. „მორწმუნე“ მშობლების დაჟინებული მოთხოვნით.

ამ კამპანიას, სახელმწიფოსა და ოჯახთან ერთად, სასწავლო დაწესებულებები, სხვადასხვა სახელმძღვანელოები, ჟურნალები თუ სატელევიზიო პროგრამებიც უწყობს ხელს... სატელევიზიო პროგრამებში მონაწილე ბავშვებს, 9 წლის ქვემოთ, სთხოვენ თავსაფრით მისვლას, სკოლებში პირველი კლასიდან მანტოს ჩაცმა ევალებათ გოგონებს, ხოლო რელიგიურ სკოლებში მანტოსთან ერთად თავსაფრის დახურვაც მოეთხოვებათ. წიგნებიც თავსაფრიანი ბავშვების სურათებითაა ილუსტრირებული [10]... ყოველივე ეს სახელმწიფოს მხრიდან იმ კარგად დაგეგმილი პოლიტიკის შედეგია, რომელსაც „სავალდებულო ჰიჯაბი“ ჰქვია და რომლის გზაზეც არა მხოლოდ ზრდასრული გოგნებისა თუ ქალების, არამედ პატარა ბავშვების უფლებებიც უმოწყალოდ ითელება.

გამოდის, რომ ირანში არა მხოლოდ დიდებს, არამედ პატარებსაც ართმევენ საკუთარი მეობის ქონის უფლებას. ეს არის პოლიტიკა, რომელიც ვითომდა ისლამური ნორმების თანახმად ზრდის მომავალ თაობას, სინამდვილეში კი რელიგიური ზომბების შექმნის სურვილითაა შეპყრობილი, რათა მომავალში უფრო მარტივად მართოს ისინი.

თუმცა, ირანელი ახალგაზრდების დამორჩილება არცთუ ისე ადვილია, როგორც ეს ხელისუფლებას სურს. ზოგადად იმ მოდური ახალგაზრდა გოგონების აზრი, რომელთაც, შესაძლოა, ყურანის კითხვაში ბადალი არ ჰყავდათ და გულმოდგინებით ასრულებდნენ მითითებულ წესებს, ხოლო ახლა ჭრელ-ჭრელი მანტოებითა და ავანგარდული თავსაფრებით დადიან თეირანის ქუჩებში, ორად იყოფა: ნაწილი ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოდესმე ჰიჯაბი ნებაყოფლობითი გახდება, ქუჩაში მაინც თავსაფრით გავლენ, რათა თავი დაიზღვიონ შესაძლებელი ძალადობისა თუ მამაკაცების ცდუნებისაგან. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ როგორც კი შემსუბუქდება წესები ჩაცმულობასთან დაკავშირებით, მაშინვე მოიხსნის თავსაფარს, რადგან დარწმუნებულია, რომ უთავსაფრობა არანაირად არ გამოიწვევს რაიმე ზედმეტი სექსუალური ძალადობის სურვილს მამაკაცების მხრიდან [11]. ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ჰიჯაბის გარეშე ქალი პირველი და ერთ-ერთი ძლიერი საცდუნებელი იარაღია მამაკაცისათვის, რომ თავსაფარი ისევ მათი დაცვის გარანტია და - ქვეყნის ღირსება და სიწმინდე. ამის დასტური კი თვით მუჰამადის სიტყვებია: „ჩაცმულები და იმავდროულად შიშვლები, რომლებიც ირხევიან სიარულის დროს და ამით აცდუნებენ მამაკაცებს, ისინი ვერ შევლენ სამოთხეში“ [1].

იმამ ხომეინიმ საკუთარ თავზე მორგებული რელიგიურ ნორმებზე დაფუძნებული სახელმწიფო შექმნა, სადაც ადამიანის უფლებები საგრძნობლად დაირღვა ისლამური რესპუბლიკის ისტორიის პირველივე წლებიდან. 1983 წლიდან, როდესაც კანონიერად დამტკიცდა სავალდებულო ჰიჯაბის ტარება, ქალების ჩაცმულობას მკაცრად აკონტროლებდა და დღემდე აკონტროლებს „მორალის პოლიცია“, რომლებიც არნახულ სისასტიკეს იჩენდნენ იმ ქალებისადმი, ვისაც კი ოდნავი დარღვევით ეცვა ტანისამოსი. არსებობს უამრავი ფოტოსურთი, ვიდეომასალა და ა.შ., სადაც ნაჩვენებია „ზნეობრივი“ პოლიციის თითქმის სადისტური დამოკიდებულება ქალებისადმი: „ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან ქალების კონტროლის ყველაზე გაუსაძლისი იარაღი, როდესაც მორალის პოლიციის წარმომადგენლები პატრულირებდნენ ვალი-ე ასრის მოედანზე და ამოწმებდნენ ქალების ჩაცმულობას. მათ ჰქონდათ საპარსი და თმის იმ ნაწილს, რომელიც ქალს უჩანდა, პარსავდნენ. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მხოლოდ წარსულ კოშმარად დარჩა და ახალგაზრდა გოგონებს ის არც შეხებიათ“ - ყვება ერთ-ერთი ირანელი ქალბატონი [11].

დღევანდელი „მორალის პოლიცია“, მართალია, სამართებლითა და საპარსით აღარ უსაფრდება გოგონებს ქუჩაში, მაგრამ ყურადღებას არ ადუნებს და შეუპოვრად იბრძვის ე.წ.

„ბად ჰიჯაბის“ ანუ „ცუდი ჰიჯაბის“ წინააღმდეგ. პოლიციელებს ამ საქმის შესრულებაში ყოველთვის ეხმარებიან რელიგიური ნორმების შესაბამისად შემოსილი ქალი ასისტენტები. „ჩვენ ვცდილობთ ვუხელმძღვანელოთ მათ, ვინც ამახინჯებს საზოგადოებას“ - განაცხადა სააგენტო მეჰრთან საუბრისას ერთ-ერთმა ასისტენტმა ქალბატონმა. თეირანის პოლიციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ - აჰმად რეზა რადანმა - 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როდესაც შედარებითი თავისუფლება მოიპოვეს ქალებმა ჩაცმულობასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ რა ისტორიულად ძლიერ ძალას ქვეყნის პოლიტიკური ბედის განსაზღვრის თვალსაზრისით - განაცხადა: „ჩვენ არ მივცემთ არავის უფლებას, რომ ქუჩაში როგორც მანეკენებმა, ისე იარონ“ [12].

ე.წ. „ბად ჰიჯაბის“ კამპანიას მიაწერენ ქალებზე მჟავით თავდასხმისა და მათთვის სახის დაწვის შემთხვევებს, რომლებსაც ისპაჰანში ჰქონდა ადგილი. სულ ფიქსირდება 13 ასეთი შემთხვევა და სავარაუდო მიზეზად, რა თქმა უნდა, ქალების შეუსაბამო ჩაცმულობა სახელდება. თეირანის პოლიციის უფროსს - გენერალ ჰოსეინ აშთარის - აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული განაცხადი არ გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ დამნაშავეები დააკავეს [13]. ის, რომ ქალთა უფლებების დარღვევას ჰქონდა ადგილი, ამაზე დიდი ყურადღება პოლიციის მხრიდან არ გაკეთებულა, თუმცა როგორც კი საქმე ჩაცმულობას და ჩაცმულობის სტილის ოდნავ თავისუფლებას შეეხება, არც ერთი კონსერვატორი ხელისიფალი არ აყოვნებს განცხადების გაკეთებას.

ირანის პარლამენტის წევრის - ღოლამჰოსეინ ჰადად-ადელის - განცხადებით, ჰიჯაბის საკითხი ისეთივე რთულია, როგორც ნარკოტიკებზე დამოკიდებულება. მისი თქმით, ეს არის საკითხი, რომელიც აუცილებელ გადახედვას და, შესაძლოა, გარკვეული ცვლილებების შეტანას საჭიროებს იმ კანონებში, რომელიც რევოლუციის დროს იქნა მიღებული, ვინაიდან მაშინდელი და დღევანდელი პრიორიტეტები თუ საზოგადოება რადიკალურად განსხვავდება [14]. მაშჰადის პარასკევის იმამის განცხადებითაც, ე.წ. „ბად ჰიჯაბი“ ნარკოტიკებზე დამოკიდებულებაზე უარესია, რადგან „ის ერთი მიკრობია, რომელიც მთელ საზოგადოებას აბინძურებს“ [15]. ასეთი განცხადებების ფონზე არაა გასაკვირი, რომ ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის ჰასან რუჰანის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, თავისი წინამორბედის მაჰმუდ აჰმადი ნეჟადისაგან განსხვავებით, შედარებით რბილი და დემოკრატიული ჩანს. მაგრამ, რომ ჩავუღრმავდეთ მის მიერ არჩეულ პოლიტიკას, საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანია. ის ცდილობს, რომ ერთი შეხედვით დემოკრატიის პრონციპები დაიცვას და, შესაბამისად, ქალთა უფლებებიც, რაც მისი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტსაც წარმოადგენდა და, მეორეს მხრივ, ცდილობს შესაბამისობაში იყოს ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონებთან. ამისათვის რამდენიმე მაგალითიც კმარა: 2014 წლის სექტემბერში მაშჰადში მოგზაურობისას მან დააფიქსირა ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრი: კონსერვატორ აუდიტორიასთან შეკრების დროს იგი ჰიჯაბის დამცველად მოგვევლინა, რომელმაც პირობა დადო, რომ არასოდეს აღდგებოდა ფეჰლევიანთა რეჟიმი, ანუ არასოდეს აიკრძალებოდა იმ ეპოქის მსგავსად ჩადრი; ხოლო შედარებით უფრო პროგრესულ ელიტასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „საზოგადოება უნდა განვითარდეს და განათლება ისე მიიღოს, რომ თვითონ გადაწყვიტოს პრობლემები და საზოგადოებას დაუბრუნოს ბედნიერება და სიხარული... მინიბუსებითა და პოლიციელებით კულტურა არ შეიქმნება და გასწორდება, ეს მკვლევრებმა, სწავლულებმა და უნივერსიტეტის პროფესორებმა უნდა აიღონ თავიანთ თავზე...“ ასეთივე ტიპის განცხადება გააკეთა ჰასან რუჰანიმ გასულ წელს: „ჰიჯაბი და უმანკოება“ ისეთივე პირადულია, როგორც მარხვა... ქუჩაში რომ გავიდეთ, დავაკავოთ ერთი პიროვნება და მასზე პირადი საქმე შევადგინოთ, გასწორდება რაიმე [16]?!“ ასევე ორაზროვანი განცხადებებით გამოირჩეოდა ჰასან რუჰანი, როდესაც ამერიკელი მომღერლის ფარელ უილიამსის თეირანელმა ფანებმა გადაიღეს ვიდეო სიმღერაზე „ჰეფი“ [17], სადაც გოგონები დასავლურ ყაიდაზე ჩაცმულები, ჰიჯაბისა და მანტოს გარეშე გამოვიდნენ. ვიდეოს გავრცელებას სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში შესაბამისი რეაქცია მოჰყვა პოლიციისაგან: მონაწილეები დააკავეს და მიუსაჯეს 1 წლით პატიმრობა და 91 როზგი, თუმცა განაჩენის სისრულეში მოყვანა სამი წლით გადაიდო, რაც იმას ნიშნავს, რომ არ

განხორციელდება, თუ რაიმე მსგავს შემთხვევას არ ექნება ადგილი მომდევნო სამი წლის განმავლობაში. აღნიშნულ ფაქტს საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა ჩვეულებრივი მოსახლეობისა თუ საერთაშორისო საზოგადოებისაგან, რომლებიც ითხოვდნენ კლიპში მონაწილეების გათავისუფლებას. სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ აქტიურად ვრცელდებოდა მესიჯი - #freehappyiranians. არც ჰასან რუჰანის დაუყოვნებია - მან „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე შემდეგი შინაარსის პოსტი დატოვა: „ბედნიერება ჩვენი ხალხის უფლებაა, ჩვენ არ უნდა ვიყოთ მკაცრი იმ ქმედებებზე, რომლებიც ბედნიერებისგანაა გამოწვეული [18].“ იმავე ვიდეო-კლიპთან დაკავშირებით მონაწილეებისათვის განაჩენის გამოტანის შემდგომ უკვე განსხვავებულ განცხადებას ვისმნეთ ტელეარხ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც პრეზიდენტი აცხადებს: „ჩემი კანონიერი მოვალეობაა, კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში, გადავდგა შესაბამისი ნაბიჯები მის აღსაკვეთად... თუ ინდივიდი არღვევს კანონს, მაშინ ის შესაბამისად უნდა გასამართლდეს, ხოლო თუ არ არღვევს, მაშინ ეს სადაო საკითხია [19]...“ ხოლო ჟურნალისტის კითხვაზე, ნანახი ჰქონდა თუ არა ვიდეო პრეზიდენტს, პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითი, ან განგებ უარყოფითი გახლდათ, რათა რომელიმე მხარის შემდგომი გამართლებისაგან თავი აერიდებინა.

დღითიდღე მატულობს ირანელ ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტისა და ჟურნალისტის მასიჰ ალინეჟადის პროექტის - „My Stealthy Freedom“ (ჩემი ფარული თავისუფლება) პოპულარობა, რომელიც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ოფიციალური გვერდის სახითაა გახსნილი. შესაბამისად, იზრდება ხელისუფლების მხრიდან აგრესიაც პროექტის ავტორის მიმართ, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება იძულებით ჰიჯაბს, „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა თავისი თავსაფრიანი და უთავსაფრო სურათი და მოუწოდა სხვა ირანელ ქალებსაც იგივე ქმედებისკენ. მის პოსტს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გვერდზე განთავსებულია უამრავი ირანელი გოგოს უთავსაფრო სურათი, სადაც ისინი ბედნიერად წარმოაჩენენ თავიანთ რეალურ მესა და სახეს. რამდენიმე სურათი ძალიან შთამბეჭდავია, გამომდინარე იქიდან, რომ ფოტოზე ასახულია ჩადრიანი გოგონა ან ქალი ყველაზე მისაბაძი ლოზუნგით ხელში - „მე მჯერა ჰიჯაბის, მაგრამ მძულს მისი იძულებითი ფორმა“... ზოგ სურათზე გოგონების გვერდზე მამაკაცებიც არიან, რაც იმას ადასტურებს, რომ ირანში ყველა კაცი მხოლოდ ყურანის წესების დაცვის მომხრე არაა და რომ ქალის თავისუფლება მათთვისაც მისაღებია. ამის დასტურად წელს ალინჟადმა წამოიწყო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ირანელი მამაკაცები ინტერნეტში აქვეყნებდნენ სურათებს ქალბატონებთან ერთად, მაგრამ ამ სურათების თავისებურება გახლდათ ის, რომ ჰიჯაბის მატარებლად კაცები გვევლინებიან და არა ქალები. ამ კამპანიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიო მასშტაბით და შეიძლება ითქვას, ალინეჟადმა კიდევ ერთხელ მიაქცევინა მსოფლიო საზოგადეობას ყურადღება იძულებითი ჰიჯაბის პრობლემაზე.

ბირთვული იარაღის წარმოებასთან დაკავშრებით მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებამ ხელი შეუწყო ტურისტების რიცხვის გაზრდას ირნაში, მაგრამ ქალი ტურისტებისათვის გარკვეულ დისკომფორტს ქმნის ჰიჯაბის იძულებითი ტარების კანონი არამუსლიმთათვისაც. „ირანი ლამაზი ქვეყანაა, მაგრამ საკუთარ თავს ნუ მოვატყუებთ, ეს არაა სამოთხე ქალებისათვის. - განაცხადა ბრიტანულ „independent“-თან საუბრუსას ალინეჟადმა და მოუწოდა უცხოელ ტურისტებს, პროტესტი გამოეხატათ უთავსაფრო სიარულის სახით იძულებითი ჰიჯაბის კანონის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, გამოხმაურებასაც არ დაუყოვნებია. გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი გოგონების სურათები თავსაბურავის გარეშე ჰეშთეგით #SeeYouInIranWithoutHijab. ბევრი იყო უკმაყოფილების გამომხატველი წერილებიც [20]. ამ კუთხით კამპანიის გაფართოება ალინეჟადის მხრიდან გამოიწვია წლევანდელმა ინციდენტმა, როდესაც რვაწლიანი პაუზის შემდეგ საფრაგეთის ავიხაზებმა აღადგინა რეისები ირანის მიმართულებით, მაგარამ სანაცვლოდ ირანის მხრიდან წამოყენებულ იქნა მოთხონა, პატივი ეცათ ადგილობრივი სამართლის ნორმებისათვის და თვითმფრინავის ეკიპაჟის ქალ წევრებს ჩაეცვათ ისლამური ნომრების შესაბამისად. [21], რამაც რა თქმა უნდა დიდი აღშფოთება გამოიწვია ფრანგების მხრიდან. სწორედ ეს მოვლენები გახლდათ ერთგვარი კატალიზატორი „my stealthy freedoms“-ის კამპანიის ახალი ეტაპისა.

უთავსაფრო სურათების გამოქვეყნების გარდა, ირანელმა გოგონებმა პროტესტის ახალ ფორმასაც მიაგნეს. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მორალის პოლიციის მხრიდან ზეწოლა, თმები შეიჭრეს მოკლედ და ბიჭის ტანსაცმელში გამოეწყვნენ. ერთ-ერთი გოგონა წერდა: „მე ირანელი ვარ და თავიდან რომ ავიცილო მორალის პოლიცია და თავისუფლად ვიარო ქუჩებში, თმა შევიჭერი და კაცის ტანსაცმელი მაცვია“, - ვკითხულობთ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სურათის კომენტარში.

„ხელისუფლებას სურს, ქალებში შიში დანერგოს, მაგრამ მათ იპოვეს გზა, როგორ იარონ ქუჩებში თავსაფრის გარეშე. ეს სერიოზული კულტურული ომია ცხოვრების ორ სტილს შორის. ქალებისთვის თმა მათი იდენტობაა და მას იჭრიან მხოლოდ იმიტომ, რომ მორალის პოლიციას თავი აარიდონ. ეს ძალიან გულსატკენია, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან მამაცურია ქალების მხრიდან,“- განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში მასიჰ ალინეჟადმა და დიდი სურვილი გამოხატა, რომ მსგავსად ამერიკისა, სადაც ახლა ცხოვრობს და მოღვაწეობს, ირანშიც ოდესმე შესაძლებელი გახდეს თავსაფრიანი და უთავსაფრო ქალბატონების თანაარსებობა. [22 /23]

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღები ირანისთვის და ირანელებისათვის ნებაყოფლობითი ჰიჯაბი იქნება. ჰასან რუჰანი წინა საპრეზიდენტო კამპანიის დროს დაპირდა მოსახლეობას, რომ მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი ადამიანის უფლებებისა და, მათ შორის, ქალებთან დაკავშირებული მწვავე საკითხების გადაჭრა იქნებოდა. ამ კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი კანონი ან ცვლილება უკვე არსებულ კანონში არ შესულა, რაიმე ღონისძიება ჯერ არ გატარებულა.

ყურანის შექმნიდან თითქმის 14 საუკუნე გავიდა, ისლამური რევოლუციიდან - 37 წელი და დღეს ირანში კვლავ 1979 წელს პირველსაწყის ისლამზე დაყრდნობით შემუშავებული კანონები მოქმედებს. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული კანონები უნდა გადაიხედოს, და არა მხოლოდ კანონები. ჯერ კიდევ 1899 წ. ეგვიპტელმა მოდერნისტმა კასიმ ამინმა გამოქვეყნა წიგნი „ქალთა ემანსიპაცია“, სადაც მოუწოდებდა საზოგადოებას ყურანის რეინტერპრეტირებისაკენ, უფრო კონკრეტულად კი - პოლიგამიის, გაყრისა და თავსაბურავის ტარების წესების გადახედვისაკენ. მისი განცხადებით: „ასეთ ტრადიციებს არანაირი კავშირი არ აქვს ისლამთან, ის ხალხის წეს-ჩვეულებების შედეგია [21]“. იგივეს ითხოვენ ირანელი ინტელექტუალებიც, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

საუკუნეების წინანდელი წეს-ჩვეულებებისა და ყურანში ქალების ჩაცმულობასთან დაკავშირებული ბუნდოვანი ადგილების გამო 21-ე საუკუნის ქალები ზარალდებიან და ისეთ ქვეყანაში, როგორიც ირანია, ჯერ რაიმე სასიკეთო ძვრა ამ კუთხით არ ჩანს, სწორედ ამიტომ თვითონ ქალები არ ყრიან ფარ-ხმალს და ყველა შესაძლო ჟესტითა თუ ხერხით გამოხატავენ დაუმორჩილებლობას სახელმწიფოსადმი.

გამოყენებული წყაროები:

1. გელოვანი, ნ. *ქალი ისლამში (VII – X სს.).* თბილისი: უნივერსალი, 2005;
2. http://www.theguardian.com/commentisfree/2015/mar/20/muslim-woman-veil-hijab;
3. http://www.asemooni.com/lifestyle/clothing/iranian-is-outfits-from-past-to-present;
4. http://www.gozaar.org/english/articles-en/Iranian-Woman-Veil-and-Identity.html;
5. Afshar, Haleh. Islam and Feminism: An Iramian-Case Study, London, MacMilllan 1999;
6. http://www.thedailybeast.com/articles/2014/06/22/the-hijab-is-iran-s-most-cherished-weapon.html
7. https://www.youtube.com/watch?v=G7XmJUtcsak
8. http://www.radiozamaneh.com/228287;
9. http://macholand.org/fa/chador/;
10. http://www.radiozamaneh.com/228287;
11. http://www.theguardian.com/world/iran-blog/2013/dec/19/iran-hijab-islamic-veil;
12. http://www.economist.com/blტარისogs/pomegranate/2013/05/iran;

13. http://english.alarabiya.net/en/News/middle-east/2014/10/19/-Bad-hijab-link-to-acid-attacks-on-Iranian-women.html;
14. http://www.irna.ir/fa/News/81181879/%D8%B3%D8%A7%DB%8C%D8%B1_%D8%AD%D9%88%D8%B2%D9%87_%D9%87%D8%A7/%D8%AD%D8%AF%D8%A7%D8%AF_%D8%B9%D8%A7%D8%AF%D9%84__%D8%A8%D8%AF%D8%AD%D8%AC%D8%A7%D8%A8%DB%8C_%D9%87%D9%85%DA%86%D9%88%D9%86_%D8%A7%D8%B9%D8%AA%DB%8C%D8%A7%D8%AF_%D9%85%D9%88%D8%B6%D9%88%D8%B9%DB%8C_%D9%BE%DB%8C%DA%86%DB%8C%D8%AF%D9%87_%D8%A7%D8%B3%D8%AA___%D8%A7%D8%B1%D8%B2%DB%8C%D8%A7%D8%A8%DB%8C_%D8%A2%D8%AE%D8%B1%DB%8C%D9%86_%D9%88%D8%B6%D8%B9%DB%8C%D8%AA_%D8%AD%D8%AC%D8%A7%D8%A8_%D8%AF%D8%B1_%DA%A9%D8%B4%D9%88%D8%B1;
15. http://www.tabnak.ir/pages/?cid=25377;
16. http://www.radiozamaneh.com/227776;
17. https://www.youtube.com/watch?v=tg5qdIxVcz8;
18. https://twitter.com/hassanrouhani/status/469100985798111232;
19. http://globalpublicsquare.blogs.cnn.com/2014/09/26/rouhani-on-the-happy-video-sentencing/;
20. http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/iranian-women-in-my-stealthy-freedom-campaign-call-on-western-tourists-to-violate-headscarf-law-to-a6996136.html
21. http://www.breitbart.com/london/2016/04/03/air-france-stewardesses-rebel-tehrans-forced-headscarf-plan/
22. http://www.independent.co.uk/news/people/iranian-women-cut-hair-off-and-dress-as-men-to-avoid-morality-police-a7041236.html
23. https://www.youtube.com/watch?v=PNdwFftpndM;

http://www.womeninworldhistory.com/essay-01.html

ნანული თხლაშიძე

სოციალურ-პოლიტიკური პროტესტის ასახვა თანამედროვე ირანულ სიმღერაში

თანამედროვე ირანული სიმღერის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმის, მეცნიერული კვლევით დღემდე თითქმის არავინ დაინტერესებულა არც ირანში (გასაგები მიზეზები გამო) და არც მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, არც საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ ირანის პოპკულტურა ქართველი ირანისტების კვლევის არეალში არც აღმოჩენილა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ საკონფერენციო მოხსენებებს ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებზე (თ.შურღაია, ნ. ნახუცრიშვილი).

თანამედროვე ირანული სიმღერა საგულისხმო ინფორმაციას იძლევა ქვეყნის უახლესი ისტორიის, ენის, კულტურის, ირანის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. ამ სიმღერების ტექსტების ანალიზი წარმოაჩენს სოციალური და პოლიტიკური ხასიათის იმ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს დღევანდელი ირანის მოსახლეობას და მათში პროტესტის გრძნობას იწვევს. მიღებული სურათი გვეხმარება ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების ცენზურის მიერ დაბლოკილი ინფორმაციის მოპოვებასა და რეალური ვითარების უკეთ გააზრებაში.

დღევანდელ ირანში, მკაცრი ცენზურისა და კონტროლის არსებობის გამო, თითქმის შეუძლებელია მუსიკოსთა თავისუფალი მოღვაწეობა. ამდენად, წარმატებულ და მნიშვნელოვან შემსრულებელთა უმეტესობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. წინამდებარე პუბლიკაციაში საანალიზოდ სწორედ ემიგრანტი მომღერლების სიმღერები შეირჩა, რადგან მათ ტექსტებში გამოაშკარავებულია და ხაზგასმულია ყველა საჭირბოროტო საკითხი, რომელიც დღევანდელ ირანელებს აწუხებს.

1. თანამედროვე ირანული სიმღერა და „მწვანე მოძრაობა“

1.1. „ლოს-ანჯელესელი მომღერლები“

ირანში ისლამური რევულუციის გამარჯვებისა და ისლამური რეგლამენტაციის შემოღების შემდეგ ქვეყნის მუსიკალური სამყარო და მომღერლები მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ქალებს საერთოდ აეკრძალათ სიმღერა, რადგან ეს ისლამისთვის მიუღებელი იყო; სიმღერების ტექსტი და შესრულება, ისლამური მორალის თვალსაზრისით, უნაკლო უნდა ყოფილიყო. ასეთმა ვითარებამ და გაზრდილმა საფრთხემ აიძულა ირანელი მომღერლების დიდი ნაწილი, დაეტოვებინათ სამშობლო. მოხდა ისე, რომ მათი პირველი ტალღის წარმომადგენლებმა თანდათან ლოს-ანჯელესში მოიყარეს თავი და იქ განაგრძეს მოღვაწეობა. აქედან მომდინარეობს დღეს ირანში გავრცელებული ტერმინი „ლოს-ანჯელესელი მომღერალი“ (خواننده لس آنجلسی), რომლითაც ირანის ფარგლებს გარეთ მოღვაწე მუსიკოსები მოიხსენებიან.

ქვემოთ განხილული თანამედროვე ირანული სიმღერები ემიგრირებულ მომღერლებს ეკუთვნით. მათ საზღვარგარეთ თამამად შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება ირანში არსებული რეჟიმისადმი. თუმცა სხვადასხვა მომღერალი თავისუფლების ამ ხარისხს განსხვავებული დოზით იყენებს. ემიგრანტ ირანელ შემსრულებლებს შორის შეიძლება გამოვყოთ რადიკალი და ზომიერი მომღერლები. აშკარაა, რომ უფროსი თაობა (ემიგრირებულთა პირველი ტალღა) უფრო ფრთხილია ირანის მთავრობის კრტიკისას, ვიდრე ახალგაზრდა მომღერლები. უფროსი თაობის ანუ „ზომიერთა“ წარმომადგენლებად შეიძლება მივიჩნიოთ: დარიუში, ები, სიავაში და სხვ., ხოლო ახალგაზრდა მომღერლებიდან განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევიან: შაჰინ ნაჯაფი, ჯგუფები „კიოსკი“ და „ინდო“.

უფროსი თაობის ე.წ. ლოს-ანჯელესელი მომღერლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გუგუში, რომელიც რევოლუციამდელ ირანში მოსახლეობის კერპი და თაყვანისცემის ობიექტი იყო. მის შემოქმედებაში რევოლუციამდე და მის შემდეგაც მთავარ

თემად სიყვარული გვევლინება. „სამოთხე“ (2014 წ.) - სიმღერა, რომელიც აღქმული იყო, როგორც ლესბოსელთა და, მაშასადამე, სქესობრივ უმცირესობათა მხარდაჭერა, ფართო მასების - არა მხოლოდ ირანელების - ყურადღების ცენტრში სწორედ ამ პრობლემის გამო მოექცა. თუმცა, რომ არა კლიპი (სადაც სათქმელი შენიღბულია და პრობლემაზე მხოლოდ მინიშნებას ვხედავთ) და მძლავრი პიარკამპანია, მსმენელს გაუჭირდებოდა ამ ტექსტში სექსუალურ უმცირესობათა მიმართ დამოკიდებულების ამოკითხვა. ტექსტში ყველაზე „მკვეთრი“ მინიშნებაა: „მეც ვიცი, რომ ეს გრძნობა არ უნდა მქონდეს, მაგრამ მაქვს“ („منم میدونم این احساس نباید باشه اما هست“)[1]. ამ კლიპის მნახველთა რაოდენობამ ინტერნეტში 1,292,806 ადამიანი შეადგინა.

გენდერულ პრობლემას უკავშირდება უფროსი თაობის მეორე მომღერლის - ების (ებრაჰიმ ჰამედი) სიმღერა (ტექსტის ავტორი: ზ.ზაქარიანი, 2006 წ.)[2] „აღმოსავლელი ქალბატონი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიმღერის ტექსტი საკითხს - ქალთა უფლებების პრობლემას აღმოსავლეთში - უფრო მკაფიოდ სვამს, მაინც სიმღერის სიმწვავე მნიშვნელოვანწილად ვიდეოკლიპით არის განპირობებული. სიმღერის ტექსტი დეკლარაციული ხასიათისაა: „კმარა უთანასწორობის მოთმენა! /ვინ თქვა, თითქოს შენზე მეტი ვარ? /ვინ თქვა, რომ შენ ჩემზე ნაკლები ხარ?.../ ვინ თქვა, რომ ღამის სუფრაზე ჩემი წილი მზე შენსაზე მეტია?“- ასეთია რიტორიკული კითხვა აღმოსავლელი ქალბატონის მიმართ.

1.2. „მწვანე მოძრაობა“

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2009 წლის 12 ივნისს გაიმართა მეათე საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მეორედ გაიმარჯვა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა. არჩევნების ასეთ შედეგს მოჰყვა „მწვანე მოძრაობის“ სახელით ცნობილი საპროტესტი გამოსვლები. ირანის მოსახლეობის დიდი ნაწილისა და დემოკრატიული ძალებისთვის მეათე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები მიუღებელი აღმოჩნდა. მოქალაქეებმა მშვიდობიანი დემონსტრაციის ფორმას მიმართეს. მათი უმრავლესობა თვლიდა, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ხმების უმეტესობა ცენტრისტულ მემარცხენე ჯგუფის წარმომადგენელ მირ ჰოსეინ მუსავის უნდა მოეპოვებინა. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა ირანის რიგით მეხუთე პრეზიდენტი მოჰამად ხათამი (1997-2005) და, ზოგადად, რეფორმისტულად განწყობილ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი. მოძრაობის ლიდერებად მიიჩნეოდნენ მირ ჰოსეინ მუსავი, მეჰდი ქარუბი და მოჰამად ხათამი.

მწვანე ფერი გამოყენებულ იქნა მირ ჰოსეინ მუსავის საარჩევნო კამპანიაში, ამიტომ რევოლუციურ ტალღასაც სახელად „მწვანე მოძრაობა“ ეწოდა. მომიტინგეები ამ ფერს და სიმბოლოს სხვადასხვა სახით იყენებდნენ, მათ შორის, პირბადედაც. სიმბოლური იყო ლოზუნგიც „სად არის ჩემი ხმა?!“ და მწვანე პირბადე, როგორც მიტაცებული ხმის გამოხატულება.

მწვანე მოძრაობა 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდგომ ყველაზე მასობრივ პროტესტს წარმოადგენდა ირანში. მომიტინგეთა რაოდენობა სამ მილიონს აღწევდა, თეირანის ქუჩები კი ხალხით იყო სავსე. აქციის მონაწილეთა ძირითადი მოთხოვნები იყო: სამართლიანი არჩევნები, არა ძალადობას, ძირეული რეფორმები და სასამართლოს დამოუკიდებლობა.

13-14 ივნისს დააპატიმრეს 170-მდე ადამიანი, რომელთა უმრავლესობას პოლიტიკოსები შეადგენდნენ. მირ ჰუსეინ მუსავის შინაპატიმრობა მიუსაჯეს. დაკავებები გრძელდებოდა შემდგომ დღეებშიც, განსაკუთრებულად აქტიურ პირებს კი ევინის ციხეში აგზავნიდნენ. 18 ივნისს მომიტინგეები სულმოუთმენლად ელოდნენ უზენაესი სულიერი ლიდერის ალი ხამენეის გამოსვლას. ქვეყნის წინამძღოლმა საპარასკეო ქადაგებისას აქციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდა და არჩევნების შედეგების აღიარება ურჩია. აქციის მონაწილეები

[1] https://www.youtube.com/watch?v=vbN2bUgg1ws

[2]https://www.youtube.com/watch?v=gqAgxx5hScI

ბასიჯთა[1] და რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა[2] დაარბია. შეტაკებისას მოკლეს ასამდე ადამიანი, არაერთმა მომიტინგემ სხეულის დაზიანებები მიიღო და ქიმიური გაზით მოიწამლა.

განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა 20 ივნისის დარბევისას ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტისა და დამწყები მომღერლის ნედა აყასოლთანის მკვლელობას. თეირანში, ამირაბადის უბანში, ქარგარის ქუჩაზე იგი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

მიუხედავად იმისა, რომ ირანის მთავრობამ მედიასაშუალებები და ინტერნეტსივრცე დაბლოკა, ხალხის მეშვეობით მკვლელობის ვიდეომასალა ელვის სისწრაფით გავრცელდა თავდაპირველად ირანის ფარგლებში, ხოლო შემდგომ მთელ მსოფლიოში. მკვლელობის სცენამ განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია, რადგან სიკვდილის წინ მსხვერპლის დაჟინებული მზერა სისხლის ბოლო წვეთის დაკარგვამდე არ მოშორებია კამერის ობიექტივს. ამ კადრის მნახველი აქციის მონაწილეები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ამას მოჰყვა არმიის ხისტი ქმედებები და კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი.

ახალგაზრდა სტუდენტი გოგონა - ნედა აყასოლთანი - „მწვანე მოძრაობის“ სახედ იქცა. დაიბეჭდა პლაკატები მისი ფოტოებით, რომელსაც აქციის მონაწილეთა დიდი ნაწილი ატარებდა. „ნედა“ სპარსულად ძახილს, ყვირილს, ხმას ნიშნავს. ამ ახალგაზრდა ქალიშვილის სახელი მთელი „ირანის ხმად“ იქნა აღქმული.

მომიტინგეები არმიის დიდმა შენაერთებმა იოლად დაშალეს; გრძელდებოდა მთავრობის მოწინააღმდეგეთა მასობრივი დაპატიმრებები. პროტესტი სხვადასხვა ფორმით და ინტენსივობით 8 თვე - 2009 წლის 13 ივნისიდან - 2010 წლის 11 თებერვლამდე გაგრძელდა. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, საბოლოოდ მომიტინგეებმა ვერ შეძლეს არჩევნების ხელახალი ჩატარება; დემოკრატიული ძალები დამარცხდნენ.

1.3. „მწვანე მოძრაობა“ ირანულ სიმღერებში

„მწვანე მოძრაობის“ მრავალრიცხოვან მომხრეთა შორის იყვნენ ირანელი ინტელექტუალები, ახალგაზრდა თაობა, ხელოვანთა ფართო წრე. ირანის ხელისუფლებამ შეძლო, ჩაეხშო საპროტესტო გამოსვლები, მაგრამ ვერ მოახერხა ამ მოძრაობის იდეების გაქრობა. პროტესტმა სხვა ფორმები მიიღო, „მწვანე მოძრაობის“ გამოძახილს ვხვდებით ლიტერატურასა და ხელოვნებაში. განსაკუთრებით მძლავრი აღმოჩნდა ეს პროტესტი თანამედროვე ირანულ სიმღერაში.

მოძრაობამ იმპულსი მისცა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს, აისახა არაერთ დარგში: ფოტოგრაფიაში, მხატვრობაში, მათ შორის: სთრითართში, პლაკატებში[3], სამოსის გაფორმებაში[4] და ა.შ.

საპროტესტო ტალღასთან და თავისუფლების ხმად აღქმულ ნედასთან დაკავშირებულ სიმღერათაგან განსაკუთრებით საინტერესოა ორი: „ნედას“ (2009) და „ცისკრის გოდება“ (2011).

ცნობილმა ირანელმა მომღერალმა შაჰინ ნაჯაფიმ დაღუპულ გოგონას მიუძღვნა სინგლი სახელწოდებით „ნედა“[5]:

დილას გაიღვიძა და სარკეში საკუთარი თავი დაინახა:

---

[1] ბასიჯი - „საზმან-ე ბასიჯ-ე მოსთა'ზაფინ“ („ჩაგრულთა მობილიზაციის ორგანიზაცია“) - ნახევრად გასამხედროებული მილიცია, რომელიც შეიქმნა 1979 წ. იმამ ხომეინის ბრძანების საფუძველზე. გავლენიანი ძალაა, რომელიც ხშირად ქვეყნის შიგნით უშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენება.

[2] ირანის ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა კორპუსი („სეფაჰ-ე ფასდარან-ე ჯომჰური-ე ესლამი“) - ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილი სამხედრო გაერთიანება - შეიარაღებული ძალების ნაწილი. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, იგი „იცავს რევოლუციას და მის მონაპოვრებს“ (თავი 9, მუხლი 150).

[3] იხ. http://www.irangreenposters.org/

[4] იხ. http://www.zazzle.com/iran+protest+gifts

[5] შ. ნაჯაფი თავისი სიმღერებისთვის ტექსტს თავად წერს. საანალიზოდ შერჩეული მისი ყველა სიმღერის ტექსტის ავტორი თვითონვეა.

მიცვალებულის გვამს ჰგავდა, რომელიც უკვე დიდი ხანია, მკვდარია;
მას არ უცხოვრია, მხოლოდ არსებობდა.
ტელევიზორი ჩართო - დაინახა ხალხით სავსე ქუჩები; ნუთუ
ყველა - ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა - გარეთ გამოცვენილიყო და
დამდგარიყო ის დრო, რომლის შესახებაც გაგონილი ჰქონდა:
სამართალს მოპოვება სჭირდება; სამართალი რჩება, უსამართლობა კი მიდის.
დედამ დაუშალა და უთხრა: „ნუ წახვალ! ამდენი ადამიანი დაიღუპა ან ბორკილი
ადევს. და განა რამე [შედეგი] იყო?
აბა, თუ კითხულობს მათ ამბავს ვინმე? ვინ უპასუხებს, ვინ იცის მათი ტკივილი?
ღმერთო! ჩამიჩუმი არ ისმის. სამართალი რა არის? - მხოლოდ წიგნებში წერენ
[მის შესახებ].“
მაგრამ ნედას ქუჩებიდან ხმა ესმოდა, რომელიც ეუბნებოდა: „ნედა, მოდი!
დღეს შენი დღეა, ნედა! დღეს უნდათ, ქორწილი გადაგიხადონ, ნედა, ძვირფასო!
სიკვდილისა და შობის მესიას, ამირაბადელო[1] ქალწულო, სისხლი სწყურია, გელის.
შენი სასიძო ტყვიაა და შენს სხეულში დაიბუდებს; შენი სანთიობო მზადაა შენს
მისაყვანად.
ღმერთო! შეხედე შენს სიამაყეს, როგორ ტყდება შენი უბიწო მარიამი, როგორ
ხვდება ტყვია!
შეხედე, ერთი მუჭა მტაცებლების ხელში ჩავვარდით. ნახე, რად ფასობს აქ ადამიანი!
შენ ამ მზერით რისი თქმა გსურდა, ნედა? მე - სისხლით გაგუდული, ხმას არ ვიღებ.
მიედინება ქალაქის ქუჩებში, შუკა-ბანდებში შენი სისხლი; ქვაფენილები შენი
სისხლით წითლად არის შეღებილი.
დაიძინე, დახუჭე თვალები, ნედა, აღარ გაშინებს, ხვალ რა მოხდება.
დაიძინე! თუ ჩვენ გვეღვიძება, შენი სახელი მოედება ქუჩებს.
შეეშვით მის სისხლს! არ შეჩერდება ეს სისხლი, ათასი წელია, მოედინება.
ეს ნედას სისხლი არაა, სამშობლოს სისხლია, უცხო სამშობლოსი, უსუდარო
სამშობლოსი.
სამშობლოსი, საიდანაც გამაქციეს ადამიანებმა, რომლებიც თავისიანებსაც ცუდად
ექცევიან.
რატომ ელი, რომ ნედასნაირ ადამიანებს არ მოკლავენ, ტყვიისთვის არ გაწირავენ?
მე აღარ ვამბობ: „თუ“, „იქნებ“. მხოლოდ ერთ რამეს ვამბობ: „უნდა!“
მე ჩემს სიმართლეს ვითხოვ; ასობით ნედასნაირები ქუჩებში ერთხმად [ამბობენ]:
„მოგვკალი. სამართალს მოპოვება სჭირდება, სამართალი რჩება, უსამართლობა კი მიდის
და სანამ ჩვენ კუთვნილს არ მოგვცემენ, ყოველი დღე და ღამე ასე იქნება!“

ტექსტი მკაფიოდ ასახავს მომღერლის დამოკიდებულებას ირანში გამართული საპრტესტო აქციების, მათი მონაწილეებისა და არსებული ხელისუფლებისადმი. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სიმღერა დაწერილია 2009 წელს, განვითარებული მოვლენების „ცხელ კვალზე“. იგრძნობა საბრძოლო განწყობა და შემართება და, როგორც ჩანს, მომღერალი ჯერ კიდევ შედარებით ოპტიმისტურად არის განწყობილი მასობრივი პროტესტის აღმავლობის მიმართ.

პესიმიზმით არის გამსჭვალული ცნობილი ირანული ჯგუფის „ინდოს“ სიმღერა „ცისკრის გოდება“ (2011). მისი დაწერის დროისთვის უკვე ცხადია, რომ „მწვანე მოძრაობა“ დამარცხებულია. ამდენად, სიმღერაში მოცემული სრული უიმედობა გაკვირვებას არ იწვევს:

ჩვენი ბედისწერა ასეთი აღმოჩნდა: არარსებობის გზას უნდა დავადგეთ,
დავეხეტებით გზააბნეულნი ამქვეყნად, როგორც მტვერი ქარში.
სათამაშოდ ვიქეცით ამ მოძალადეების ხელში;
ჩვენი სისხლი ამ ქურდებისა და მუქთახორების მარწუხებში აღმოჩნდა.
აი, ესეც პუტჩისტი მთავრობის პრეზიდენტი[1], [რომელმაც]

[1] ამირაბადი - თეირანის უბანი, სადაც 2009 წ. მოკლეს ნედა აყასოლთანი

ძალაუფლება ბასიჯისა და სეფაჰის ხელკეტებით შეინარჩუნა.
არსად არ შეგვარჩინა პატივისცემა, არსად მსოფლიოში -
იმდენი უადგილო სიტყვა თქვა, უაზრობა და სისულელე ჩმახა.
ვერ მივხვდით, როგორ მოხდა [ეს], რა გადაგვხდა და საიდან?
ღმერთისა და რელიგიის სახელით გვავნეს და გვაზარალეს.
სად ვეძიოთ თავშესაფარი ამ მკვლელებისა და მძარცველებისაგან ?!
ხელები სისხლში აქვთ გასვრილი, ჯიბეები კი შავი ოქროთი ამოვსებული.
რა იქნა ჩვენი კულტურა? საიდან მოვდივართ და სად აღმოვჩნდით!

სად ხართ? სად ხართ: დეჰხოდა[2] , ფირდოუსი ?!
როდემდე უნდა ვიყოთ დამწუხრებული გლოვის ჰანგებით[3]
რამდენ ხანს უნდა იყოს ჩვენი ფერადი გულები უკუნით სავსე?!
ასეთი ბედი გვერგო: შეგვეყარა [მრავალი] სენი:
ომი, სიღატაკე, უბედურება, ათასი ვაება და ტანჯვა.
თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა ჩვენი ახალგაზრდობა:
აშქან, თარანე, სოჰრაბ, ნედა, მოჰამად, ფათემე, მოსტაფა[4].
მაშ, როდის დადგება ის დღე, როცა გავთავისუფლდებით ამათი მავნებლობისგან?
განა რა დავაშავეთ ისეთი, რომ ასე ვისჯებით?
მითხარი, საწუთრო ასე რატომ მოგვექცა?
რატომ არავინ იცის ? არავინ იცის რატომ?
რახან ასეთია ჩვენი ხვედრი, რა უნდა ვიღონოთ?
გამოსავალი ნამდვილად სხვა რამეა, დილამდე გოდების გარდა.
თუ ასეთია ჩვენი ხვედრი, რა ვიღონოთ?
მითხარი რაიმე გამოსავალი - გარდა დილამდე გოდებისა.

ჯგუფი „ინდოც“ უცხოეთში მოღვაწეობს. ასრულებენ სიმღერებს ჯაზის, როკის, კლასიკისა და ლათინური მუსიკის ელემენტებით. ერთ-ერთი ირანული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯგუფის წევრები აცხადებდნენ, რომ იბრძვიან სიტყვის თავისუფლებისათვის, არ აღიარებენ საზღვრებსა და ჩარჩოებს. მოულოდნელი არ არის, რომ „მწვანე მოძრაობის“ ტალღა მათ შემოქმედებაშიც აისახა. სიმღერა „ცისკრის გოდება“ შესულია „ინდოს“ პირველ ალბომში სახელწოდებით „მოგება და წაგება“ (برد و باخت). სიმღერა გამოხატავს წუხილს მდიდარი წარსული კულტურის დაკარგვის, უიმედო აწმყოსა და მომავლის გამო. ასევე თვალნათლივ ჩანს უკმაყოფილება ირანში არსებული მექრთამეობის, უსამართლობისა და ადამიანების უფლებების შეზღუდვის გამო.

„ინდოს“ მუსიკალური ალბომები იყიდება ბევრ ქვეყანაში. ჯგუფის ნებართვით, მხოლოდ ირანში მცხოვრებ პირებს აქვთ უფლება, ოფიციალურად და უფასოდ გადაიწერონ მათი სიმღერები. ამით მომღერლებს საკუთარი წვლილი შეაქვთ თავისუფალი სიტყვის გავრცელებაში ირანის ტერიტორიაზე.

2. ირანელი მომღერლები ხელისუფლების წინააღმდეგ

2.1. შაჰინ ნაჯაფი

სიტყვის თავისუფლება მთავარი თემაა ცნობილი ირანელი მომღერლის შაჰინ ნაჯაფის შემოქმედებაში. იგი დაიბადა 1980 წელს ირანში, გილანის პროვინციაში. შ.ნაჯაფი

---

[1] იგულისხმება მაჰმუდ აჰმადინეჟადი, რომლის მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევა 2009 წ. მოხდა არჩევნების გაყალბების შედეგად. ირანის ოპოზიცია და მათი მომხრეები ამ გზით მოსულ ხელისუფლებას „პუტჩისტურ მთავრობას“ უწოდებენ.

[2] ალი აქბარ დეჰხოდა (1879-1956) - ირანელი ლექსიკოგრაფი, მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე

[3] ირანის ისლამური რესპუბლიკის რელიგიური დღესასწაულების დიდი ნაწილი სამგლოვიარო ხასიათისაა: წმინდანების გარდაცვალების დღეები, მოჰარამის თვე და ა.შ.

[4] ჩამოთვლილია „მწვანე მოძრაობის“ დაღუპული მონაწილეების სახელები.

სიმღერებისთვის ტექსტებს თვითონ ქმნის. მისი შემოქმედების ძირითადი თემებია: სიღარიბე, შიმშილი, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია, თეოკრატია, ჰომოფობია, სიტყვის თავისუფლება, გენდერული საკითხები, სიკვდილით დასჯა.

ინტერვიუებში მომღერალს არაერთხელ უთქვამს, რომ სიმღერის შექმნისას საზრდოობს პოეზიით, ლიტერატურით, ფილოსოფიით, იყენებს პოლიტიკის ელემენტებსაც. შაჰინ ნაჯაფისთვის როკი, ჰიპ-ჰოპი, რეპი ის ჟანრებია, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავენ მის სათქმელს.

შ. ნაჯაფი ანდერგრაუნდის ჯგუფის სოლისტი იყო ირანში. 2008 წელს მომღერალის ერთ-ერთ მუსიკალურ შოუს მოჰყვა პუბლიკაცია გაზეთ „ქეიჰანში“ სათაურით „დემონსტრაცია დასარტყამი ინსტრუმენტებით“. გაზეთი აღნიშნავდა, რომ ეს ვულგარული ჯგუფი, რომელიც არ ასოცირდება არც ერთ პარტიასა და გაერთიანებასთან, ცდილობს, მიიზიდოს მსოფლიო მედიის ყურადღება და გამოიწვიოს ირანელი ხალხის უკმაყოფილება ქვეყანაში არსებული არასათანადო პირობების გამო. ისინი აქეზებენ სტუდენტებს მთავრობის წინააღმდეგ, - დასძენს გაზეთი.

ისლამური რწმენის შეურაცხყოფის გამო ირანის მთავრობამ შ. ნაჯაფის სიმღერები აკრძალა. მომღერალს კი მოუხდა სამშობლოს დატოვება და გერმანიაში გადასახლება. მუსიკოსს არც ემიგრაციაში შეუწყვეტია თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის აფიშირება. შაჰინ ნაჯაფის ბონში ჰქონდა არაერთი პერფორმანსი, სადაც ღიად გამოხატა ისლამური კლერიკალური საზოგადოების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, გააკრიტიკა ირანის მთავრობა. უცხოეთში მოღვაწეობის დროს მისი სიმღერის ტექსტები კიდევ უფრო მკაცრი და დაუნდობელი გახდა, ძველი მეტაფორული შედარებები აშკარა კრიტიკამ ჩაანაცვლა. ამ ქმედებებს უპასუხოდ არ ჩაუვლია: რამდენიმე რელიგიურმა პირმა ოფიციალურად მოუწოდა მორწმუნეებს მომღერლის ფიზიკური ლიკვიდაციისკენ. 2012 წელს აიათოლებმა ლოთფოლა საფი გოლფაეგანმა და ნასერ მოქარამ შირაზიმ გამოსცეს ფეთვა შაჰინ ნაჯაფის, როგორც განდგომილი ურწმუნოს წინააღმდეგ, რომელიც შეურაცხყოფს შიიტურ მრწამსს. ეს იყო კლერიკალების რეაქცია მომღერლის სიმღერაზე „ნაყი“, რომელიც ეძღვნებოდა შიიტთა მეათე იმამს[1] და დაუნდობელი კრიტიკითა და სკაბრეზულობით გამოირჩეოდა. სიმღერის ტექსტის თარგმანი ასეთია:

ნაყი, გაფიცებ შენს ხუმარა ბუნებას,
ასპარეზს მიღმა და დევნილობაში მყოფებს;
დიდ მაცოცხლებელ ფალოსს,
ჩვენს ზურგს უკან რომ ჩასაფრებულა და მუქარით მოგვჩერებია;
ნაყი, გაფიცებ სანქციებს, მათი მთელი სიგრძე-სიგანით,
დოლარის კურსის ზრდას და დამცირების გრძნობას.
ნაყი, გაფიცებ მუყაოს იმამს[2],
ჩვილს, რომელიც „ო ალის“ იძახის მუცლად ყოფნისას[3].

---

[1] ალი იბნ მოჰამადი - ხშირად მოიხსენიება ეპითეტით „ნაყი“ (უმწიკვლო; რჩეული), შიიტთა მეათე იმამი. ტრადიციის თანახმად, მე-12 ოკულტირებული იმამის მაჰდის პაპა იყო. მაჰდის გამოჩენას (მეორედ მოსვლას) კვლავ ელიან შიიტი მუსლიმები.

[2] აიათოლა რუჰოლა ხომეინის საფრანგეთში დევნილობიდან ირანში დაბრუნებისა და, შესაბამისად, ისლამური რევოლუციის გამარჯვების 33-ე წლისთავის აღსანიშნავად აჰმადინეჟადის მთავრობამ იმამის თეირანის აეროპორტში დაბრუნების სცენის რეკონსტრუირება მოახდინა. გარდაცვლილი იმამ ხომეინის მუყაოს უზარმაზარი ფიგურა თვითმფრინავის ტრაპიდან ხელით ჩამოიტანეს. ფაქტი დაცინვის თემად იქცა არა მარტო უცხოური, არამედ ადგილობრივი მასმედიისათვისაც. ამ ფაქტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ზოგიერთმა მოქმედმა ირანელმა პოლიტიკოსმაც (მათ შორის, ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ) გამოხატა.

[3] 2011 წ. საპარასკეო ლოცვის დროს ყუმის ლიდერმა აიათოლა მოჰამად საიდიმ, შიიტთა ისტორიული ქრონიკების მოთხრობის შემდეგ, მრევლს განუცხადა, რომ ირანის სულიერი ლიდერი ალი ხამენეი ჯერ კიდევ მუცლად ყოფნისას იძახდა: „ო, ალი!“, „დიდება ალის!“

ფიკჰის სწავლებას, ცხვირის საოპერაციო ბლოკში[1],
გაფიცებ ჩინურ კრიალოსანს და ნამაზის ხალიჩას.
გაფიცებ შეის რეზაის[2] თითს,
რელიგიას, რომელიც „აუთ საიდშია“ და რელიგიურ ფეხბურთს.
ნაყი, ახლა, როცა მაჰდის სძინავს, ჩვენ შენ გიხმობთ,
ნაყი, გამოგვეცხადე, რახან უკვე მზად ვართ სუდარებში გამოხვეულები.
ნაყი, გაფიცებ სიყვარულს და ვიაგრას,
ჰაერში აშვერილ ფეხებს და ჩაკრას,
სანგაქის პურს, ქათამს, ხორცსა და თევზს,[3]
სილიკონის მკერდს და აღდგენილ ქალწულობას.
ნაყი, გაფიცებ გოლშიფთეს მკერდს[4],
არარსებულ ღირსებას, რომელიც აგვყარეს.
ნაყი, გაფიცებ არიელთა მოდგმას,
აბრას, რომელსაც კისრით ატარებ[5],
ძვირფასო ნაყი, გაფიცებ ფარნუდს[6]
სამ მილიარდს ცისფერი გუმბათის ქვეშ[7].
სპარსეთის ყურე და ურმიაც ხომ ზღაპარი აღმოჩნდა!
ხო, მართლა: „მწვანე მოძრაობის“ ლიდერს რა ერქვაო?
ნაყი, ახლა, როცა მაჰდის სძინავს, ჩვენ შენ გიხმობთ.
ნაყი, გამოგვეცხადე, რახან უკვე მზად ვართ სუდარებში გამოხვეულები,
ნაყი! ნაყი! ნაყი!..
გაფიცებ, ისლამური თემის იმამის შემძვრელ[8] გარდაცვალებას,
გადაღრძუებულ პოლიტიკოსებს ემიგრაციაში,
„სვეტ“ ქვრივებს, დისკოტეკებზე რომ დაყიალობენ;
ინტელექტუალთა კამათს ჩატში
და „იმნაირი“ კაცების უნიათობას.
გაფიცებ, კაცთა უფლებების დამცველ ქალებს,
ფერად რევოლუციას ტელევიზიიდან,
გაფიცებ, ნაკითხი მოსახლეობის სამ პროცენტს,
წყალწყალა ლიტონ ლოზუნგებს.
ცვალებადი ხასიათის ხალხს,

---

[1] ცხვირის ოპერაციები არნახულად პოპულარულია ირანში. ამ ოპერაციების რაოდენობით ირანი ლიდერობს მსოფლიოში.

[2] შეის რეზაი - ფეხბურთელი, ირანის ერთ-ერთი ცენტრალური გუნდის - „პერსეპოლისის“ მოთამაშე. იგი გუნდიდან გააძევეს, რადგან „დამაშ გილანის“ წინააღმდეგ თამაშისას გოლის გატანის შემდეგ თანაგუნდელის საჯდომზე თითით შეურაცმყოფელი მოძრაობა განახორციელა.

[3] ჩამოთვლილია ირანელთა ძირითადი საკვები პროდუქტები

[4] გოლშიფთე ფარაჰანი - ირანელი მსახიობი, რომელიც მოღვაწეობს უცხოეთში. 2012 წლის დასაწყისში შიშველი პოზირებდა ფრანგული ჟურნალისთვის „Madame Le Figaro“. ირანის ხელისუფლებამ მსახიობს გაუგზავნა უწყება და გააფრთხილა, რომ ამორალური საქციელის გამო ეკრძალებოდა სამშობლოში დაბრუნება.

[5] სავარაუდოდ, იგულისხმება აბრა, რომელსაც ირანში სიკვდილმისჯილს მკერდზე ჰკიდებენ ჩამოხრჩობის წინ.

[6] შესაძლოა, იგულისხმებოდეს ქაბულის ბანკის ყოფილი პრეზიდენტი შერხან ფარნუდი, რომელსაც დიდი ოდენობით ვალუტის მითვისებაში დასდეს ბრალი და 2011 წლიდან შინაპატიმრობაში იმყოფება.

[7] „ცისფერი გუმბათის ქვეშ“ სპარსული ზღაპრების ტრადიციული დასაწყისის ერთ-ერთი ფრაზაა, რომელიც მოსდევს ფორმულას „იყო და არა იყო რა“.

[8] დედანში მოცემულია არარსებული კომპოზიტი „ჯანგუზ“ (სპარს.: جان- სული; گوز - ჰაერის გაფუჭება, გაზი), რომელიც, როგორც ჩანს, შ. ნაჯაფიმ გამოიყენა „ჯანსუზ“-ის (სულისშემძვრელი, გამანადგურებელი) ანალოგიად და ალუზიად.

რომელიც დღისით გაიძახის „გაუმარჯოს!“, ღამით კი „ძირს!“.
გაფიცებ მოგონილი ზღაპრების გმირებს.
ნაყი, ახლა, როცა მაჰდის სძინავს, ჩვენ შენ გიხმობთ.
ნაყი,გამოგვეცხადე, რახან უკვე მზად ვართ სუდარებში გამოხვეულები.
ნაყი! ნაყი! ნაყი!..

ცხადია, ამგვარ ტექსტზე ირანის ოფიციოზისა და სასულიერო ფენის რეაქცია პროგნოზირებადი იყო. 2012 წლის 15 მაისს სოციალურ ქსელ ფეისბუქში შეიქმნა გვერდი „სიკვდილი შაჰინ ნაჯაფის“, რომელსაც 800-მდე ადამიანი შეუერთდა. მათი უმეტესობა მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში, მოეკლა მომღერალი, ხოლო ირანულმა ვებგვერდმა Shia-Online.ir-მა ჯილდოდ 100.000 აშშ დოლარი დააწესა ადამიანისთვის, რომელიც შ. ნაჯაფის სიცოცხლეს გამოასალმებდა. 2012 წელს მაისში ინტერნეტგვერდზე honareNab.ir აიტვირთა ონლაინ თამაში სახელწოდებით „ესროლე განდგომილს“, სადაც ირანის მთავრობისთვის მიუღებელ მრავალრიცხოვან პირთა შორის ნაჯაფის ანიმაციაც იყო. მოთამაშეებს სხვადასხვა იარაღით შეეძლოთ „მოეკლათ მოწინააღმდეგე“. მიუხედავად ასეთი საშიშროებებისა, მომღერალი მაინც აქტიურად განაგრძობს საკუთარი აზრის გამოხატვას სიმღერებით. 2009 წელს შემსრულებელი გამოეხმაურა გერმანიაში ცნობილი ირანელი მომღერლის ფერეიდუნ ფაროხზადის სასტიკ მკვლელობას.

ფერეიდუნ ფაროხზადი (1938-1992) იყო ცნობილი ირანელი მომღერალი, შოუმენი, პოეტი, ირანული ემიგრაციის პოლიტიკური ფიგურა; პოეტების: ფორუყ და ფურან ფაროხზადების ძმა.[1] ისეთი თავისუფლებისმოყვარე პიროვნებისთვის, როგორიც ფერეიდუნ ფაროხზადი იყო, არც როიალისტური და არც თეოკრატიული ირანი არ აღმოჩნდა მისაღები. პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებების გამო მას სამშობლოს დატოვება მოუხდა. ერთხანს აშშ-შიც მოღვაწობდა, თუმცა იქაურ ვითარებას ვერ შეეგუა და არც ე.წ. „ლოს-ანჯელესელი მომღერლებისთვის“ აღმოჩნდა მისაღები. საბოლოოდ გერმანიაში დამკვიდრდა. წერდა და აქვეყნებდა ლექსებს გერმანულ ენაზე, თარგმნიდა. 1992 წ. ბონში, საკუთარ ბინაში, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს: ცივი იარაღით 40 ჭრილობიდან 37 პირში იყო მიყენებული. მკვლელებს და მათ დამკვეთებს თითქოს იმის ჩვენება უნდოდათ, რომ ასე დაადუმებენ ყველას, ვინც ფ. ფაროხზადივით მათთვის მიუღებელ მოსაზრებებს გამოთქვამს. ეს სასჯელი ძალიან ჰგავდა ემიგრანტი ირანელების მკვლელობებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და თითქოს ერთი ხელწერით იყო შესრულებული. დასავლეთმა ამ მკვლელობაში ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების ხელი დაინახა.

ფ.ფაროხზადი მისი და მომდევნო თაობის ირანელებისთვის სიმბოლოდ და ხატად იქცა. მასში ხედავდნენ მამაც პატრიოტს, ირანის კულტურის გულშემატკივარსა და მოამაგეს, მიუკერძოებელ მოაზროვნეს. სიმღერის „მომღერალი სისხლში“[2], (2009 წ. ალბომი „ჩვენ კაცები არ ვართ“) შექმნისას შაჰინ ნაჯაფისთვის, სავარაუდოდ, ფარის (ფერეიდუნ ფაროხზადის) სწორედ ეს თვისებები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

შენ იცინოდი, მაგრამ თვალები სევდით გქონდა სავსე,
ბედნიერებამდე მუდამ ერთი ნაბიჯი გაკლდებოდა.
ერის ტკივილს მკერდში სიმსივნესავით ატარებ
და აცნობიერებ, რომ ვიღაც, ყოველთვის ჩასაფრებულია.
ისტორია ფურცელივით იშლება შენ წინ,
გინდა, იყვირო, მაგრამ ხმა აღარ ამოგდის.
ფარი, კიდევ კარგი, აქ აღარ ხარ, არ ხარ!

---

[1] მე-20 საუკუნის უდიდესი პოეტი ქალი ფორუყ ფაროხზადი (1935-1967) ერთ-ერთ წერილში თავის ძმას, ფერეიდუნს, სწერდა: „პირველი, ვინც ჩვენი ოჯახიდან მოკვდება, მე ვარ. ჩემ შემდეგ შენი ჯერი დადგება - მე ეს ვიცი...“ [მ. აყაასგარი 2005: 3]

[2] როგორც ჩანს, სიმღერის ავტორი მირზა აყაასგარის წიგნის სათაურს („ხონიაგარ დარ ხუნ“ – „მუსიკოსი სისხლში“) დაესესხა, როცა ამ სიმღერას „მომღერალი სისხლში“ („ავაზეხან დარ ხუნ“) უწოდა.

აღარ ხარ, აღარ ხარ აქ, რომ დაინახო [ეს] უბადურება და დამცირება.
ფარი, ჩვენ ყველანი გავიყიდეთ და აღარავინ დარჩა,
აქ ყველა მკვლელი, ჯაშუში ან მლიქვნელია.
სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსი მოკვდა და
დღეს მხოლოდ ერთი ლოზუნგი გაისმის, დღეს გულგრილობა წესია, ფასობს, ჭრის.
კიდევ კარგი, აქ აღარ ხარ და ველარ ნახავ:
ძილქუშს მისცემია ყველაფერი, უდარდელობა და ცვედანობა დღეს ღვთის წყალობაა.
შენ წახვედი და აღარ ხარ; ოცდაათი წელია, რაც [თავის ნებაზე] გვაცეკვებენ,
ლოჟაში მსხდომნი[1] ჯერაც სხედან და სისხლს სვამენ.
ფარი, გაფიცებ ფორუყის[2] სულს, შეწყვიტე, ნუღარ მღერი,
შენი ხმა ხომ ჩვენთვის სინდისის ქენჯნასავითაა.
სანამ ფრთებს გამოვისხამ ბუდიდან შენკენ გამოსაფრენად,
ბორკილებიდან დამიხსენი, რომ დარდისგან არ მოვკვდე.
ახლა არ ვიცი, უნდა ვიტირო, თუ ვიცინო:
ვიხედები სარკეში, ვხედავ საკუთარ თავს და ვამბობ: „ნუთუ ეს მე ვარ?“
ერთი განცდა ლოდად მაწევს გულზე: არ ვიცი, დარჩა რაიმე ჩემი წარსულიდან?!
ახლა ჩემ თვალწინ გოგო რომ გააშიშვლონ, დავეხმარები, რომ ტრუსებიც გახადონ.
მე დროშა ქარს გავატანე, თავიც დავკარგე,
შევეკარი და ხელი ჩამოვართვი ჩემი ახალგაზრდობის მკვლელს.
ის, ვინც ჩემი ცხოვრება ქარს გაატანა, ახლა ჩემი მეგობარი გახდა.
ოცდაათი-ორმოცი წელი რაც ვაგროვე, ისევ უკან გავეცი.
ნებისმიერი სახით და ნებისმიერ სამოსში [შემიძლია ვიყო]: ხან სასულიერო პირი ვარ,
ხან - ნაციონალისტი, პლასტილინის მემარცხენე ან რეფორმისტი, პოპულისტი.
ერთი გველთევზა ვარ და მეტი არაფერი, ის ვარ, რასაც მოისურვებ...
თუმც საკუთარი თვალით მინახავს გაჭირვება და უბედურება,
სხვის დასანახად ვიტირე, გულის სიღრმეში კი ვიცინე.
ვიმღერე სამშობლოზე, ისტორიასა და ეროვნულობაზე,
კვირის ბოლოს კი „ბაბაქარამი“[3] ვიცეკვე დისკოტეკაზე.
ფარი, გაფიცებ ფორუღის სულს, შეწყვიტე, ნუღარ მღერი!
შენი ხმა ხომ ჩვენთვის სინდისის ქენჯნასავითაა.
სანამ ფრთებს გამოვისხამ ბუდიდან შენკენ გამოსაფრენად,
ბორკილებიდან დამიხსენი, რომ დარდისგან არ მოვკვდე.
ეს სიმღერა, ჩემს ბაგეს რომ წყდება, დარდისა და ნაღველის სიმღერაა თუ
ეს სიმღერა ჩემი ერთადერთი თანმხლებია ამ ღამეში?
მომღერლი გავხდი - მკერდით, ფერდებით და გავით ვიმღერე;
ვმღერი თეირანის კაფეებისა და ქალებში სიარულის მოგონებით.
მართალს ამბობენ: შენ მაქციე მომღერლად,
შენს მერე სხვებთან დავნავარდობ - მაპატიე!
შენ აქ რომ არ ხარ, მეც წავალ და დუბაიში ჩავატარებ კონცერტს[4],
სპარსული მავიწყდება, Oh, my god! Shit!

---

[1] სპარს. “نشین‌ژ“ - იგულისხმება დიდი ფინანსური სახსრებისა და გავლენის მქონე პირი. ამ ტერმინს აქვს სხვა გაგებაც და აღნიშნავს მასონს ან ებრაელი მასონების სამსახურში მყოფ პირს.

[2] იგულისხმება ფორუყ ფაროხზადი.

[3] ერთგვარი ირანული ცეკვაა, რომელსაც, ჩვეულებრივ, მამაკაცები ასრულებენ. ცეკვისას წელისა და მხრების აქტიური მოძრაობა შეყვარებული მამაკაცის ემოციებს გამოხატავს. ამ ცეკვას უკავშირებენ რეზა ფეჰლევის (1878-1944) მეფობის პერიოდს, მებაღის - ბაბაქარამის - ტრაგიკული სიყვარულის ამბავს.

[4]ვინაიდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებული შეზღუდვების გამო, ემიგრირებულ მომღერლებს (მათ უმეტესობას მაინც) არ აქვთ ირანში კონცერტის გამართვის საშუალება, კონცერტებს მეტწილად დუბაიში მართავენ, სადაც ძალიან დიდია ირანული დიასპორა და ირანელი ტურისტების რიცხვი.

იქნებ უმწეობის გამოა, რომ ყველაფერს ვთანხმდები.
უკვე თოთხმეტი საუკუნეა, რაც თავში მირტყამენ,
ღმერთო! ფარი, ვინ ვარ? მითხარი, ვინ ვარ ?
ისე არ მოხდეს, რომ ნელ-ნელა უკანასკნელ ზღვარს გავცდე.
შენ მოგკლეს და გმირი გახდი, ტაში დაგიკრეს.
ჩვენგან, გაფიცებ შენს სულს, მეტს ნურაფერს მოითხოვ,
რადგან შენი ცხოვრების წესი სავსეა ხიფათით,
ნაბიჯია გზაზე, რომელზეც ყოველ წუთს საფრთხე გელის.
სულაც ცხვარი ვარ! მომეცი ნება, თვალები ავიხვიო.
მე არ ვერევი პოლიტიკაში, ბოდიში, მრცხვენია.
ფარი, გაფიცებ ფორუყის სულს, შეწყვიტე, ნუღარ მღერი!
სინდისის ქენჯნაა ჩვენთვის შენი ხმა.

სიმღერის ტექსტი გამოხატავს მომღერლის პატივისცემას მებრძოლი სულისადმი, რომელიც არ ეგუება მჩაგვრელებს და ძალუძს წინააღმდეგობა გასწიოს, სხვების ნაცვლადაც იბრძოლოს, თავისუფლება - თუნდაც სიკვდილის ფასად - მოიპოვოს.

შაჰინ ნაჯაფის რადიკალურად განსხვავებულ შეფასებას იწვევს ინგლისელი მომღერლის კრის დე ბურგის სტუმრობა ირანში 2008 წელს. ცნობილი ინგლისელი მომღერალი კრის დე ბურგი 2008 წლის მაისში ესტუმრა ირანს პოპულარულ ჯგუფ „არიანთან“[1] ერთად სიმღერის ჩასაწერად. ასევე დაგეგმილი იყო კონცერტები მთელი ირანის მასშტაბით. ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის ეს უპრეცედენტო ფაქტი იყო, რის გამოც მასმედიის დიდი ყურადღება მიიპყრო.

იმამ ხომეინის აეროპორტში მომღერალს ჟურნალისტების დიდი ჯგუფი და გულშემატკივრების არმია დახვდა. მომღერალმა კი პირადი დაცვის დახმარებით გაიკვლია ხალხში გზა და აეროპორტი უკომენტაროდ დატოვა. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით გამოწვეული მასობრივი მღელვარების გამო ნოემბერში დაგეგმილი კონცერტები გაუქმდა. შ. ნაჯაფი სიმღერით „ბიძია კრის“ (عمو کریس) გამოეხმაურა ამ ფაქტს.

არა, ნუ დამიშლი, მაცალე, ვთქვა ეს სიმართლე; დამანებე, გავამხილო ამ ღალატის საიდუმლო.
ეს ლექსი ხუთ ენაზე ითარგმნება და გაკვეთილად გამოადგება იმას, ვინც [სხვის] გადასწრებას ლამობს.
მას, ვინც ფულის გულისთვის ერი გაყიდა და სურს, ამ გადაბუგულ მიწაზე კონცერტი გამართოს.
ახლა თეირანი შენთვის ლონდონზე უფრო უსაფრთხოა? ირანში კონცერტი ღამის პურზე უფრო მნიშვნელოვანია?
მაგრამ ვიცი, რა ტრიალებს შენს გულში; ჯერ კიდევ არ არის გვიან, აზრზე მოდი - აჯობებს.
შენ არ იცნობ ამ ქალაქის ქუჩებსა და შუკა-ბანდებს; წარმოდგენა არ გაქვს, აქაურ ხალხს რა უჭირს.
შენ შენს ქალაქში განგსტერი გინახავს? აქაური ჩინოვნიკები განგსტერები რომ არიან, თუ გაგიგონია?
ჰო, შენთვის უსაფრთხოა - ოცი მცველი გყავს. ჯერ ხომ არსად ყოფილხარ, სადაც შარვალს გაიხდიდი.
აქამდე სხვების წინაშე მოულოდნელად დაუმცირებიხართ? იცი, რას ნიშნავს შუა ხალხში რომ გჩხრეკენ?

[1] პოპულარულ ირანულ მუსიკალურ ჯგუფ „არიანს“, რომელსაც მომღერალი და პროდიუსერი ალი ფაჰლავანი ხელმძღვანელობს, 4 ალბომი აქვს ჩაწერილი. მის უკანასკნელ ალბომში შევიდა სიმღერა “The words I love you” („სიტყვები: „მე შენ მიყვარხარ“), რომელიც კრის დე ბურგთან ერთად სრულდება.

შენ ხომ ფულს იღებ - ეს [ყველაფერი] თამაშია. ვიღაც სარგებელს ნახულობს და კმაყოფილია.
მაგრამ სცენიდან ნუ შეხედავ ხალხს თვალებში; შეიძლება, ბავშვის თვალები მოგაჩერდეს.
შეიძლება მისმა [მზერის] უმანკოებამ მოგხიბლოს, წამით გაგიღვიძოს თავმოყვარეობა.
ძია კრის, არ იმღერო, არ იმღერო - მოგიწევს თავანის გადახდა; საქმე ისაა, რომ ამას მხოლოდ შენთვის მოაქვს ფული.
მოდი, ძია კრის, მშვიდობაზე მე ნუ მიმღერებ- შენი კონცერტის ერთი ბილეთი სამი ვახშმის საფასური გვიჯდება.
ნუ გეგონება, რომ მშვიდად გახვალ სცენაზე, აქ პომიდორი ძვირია და არ გესვრიან.
Ok. თუმცა კი დაგიგვიანდა ხელმეორედ სახელის მოხვეჭა, მაგრამ გამოიყენე ეს შანსი!
რის თქმას აპირებ, მაგალითად? უნდა თქვა, რომ მშვიდობისმოყვარე ხარ? შენ ხომ მგელი ხარ [ცხვრის?] ტყავში შემძვრალი.
საკვირველია! ორ დღეში მიხვდი, რომ აქ თავისუფალი ხარ, არავინ არის დამწუხრებული, ყველგან მხიარულება სუფევს?
სტუდენტები, რა თქმა უნდა, „სტუმრად“ არიან ევინში. თქვი, რომ არ გაქვს დაჭერების და დაპატიმრების სტატისტიკა.
აიკრიფე გუდა-ნაბადი! რას ნიშნავს შენთვის სიყვარული? საზოგადოებაში ხუთვის შეგრძნება მწარე ტკივილია, იცოდე.
ჩვენს გაჭირვებულობას საშველი არ აქვს. შენ, მგონი, გაგებაში არ ხარ, კრის!
ჰო, შენ იმ ძველი კოლონიალიზმის ნაშიერი ხარ, ადამიანები ბორკილებში და ხუნდებში რომ უნდოდა ჰყოლოდა.
განა თქვენ არ გრძანდებოდით, ბატონო კრის დე ბურგ, განდის მოსისხლე მტერი? - ხომ წაგიკითხავს შენი ისტორია?
ცენზურა კარგია? - შენთვის ხომ სულერთია. შენ ისეთ რამეს აკეთებ, რომ ფული მოგიტანოს.
მე ხომ ლოთფი[1] არა ვარ, უცებ შევიცვალო: ერთ დღეს თუდეელი ვიყო, მეორე დღეს - წვეროსანი[2] თვალთმაქცი.
აქ ხელსახოცი უნდა აიღო და აზანი თქვა. აქ ან „ერშადი“[3] უნდა იყო ან „ანდერგრაუნდი“[4].
აქ თუ არ გაიყიდე, თავს წააგებ; თუ ნამჯუ[5] იქნები, მათ პრობლემებს შეუქმნი.
ერთი უნდა გამოხვიდე „მულა ალის“[6] როლიდან. ო, ღმერთო! კრის დე ბურგ ანუ მამადლი[7].

---

[1] მოჰამად-რეზა ლოთფი - (1947-2014) - ირანული ტრადიციული მუსიკის ცნობილი შემსრულებელი, კომპოზიტორი, მკვლევარი. თანამშრომლობდა არაერთ ცნობილ ჯგუფთან. დიდი წვლილი მიუძღვის ირანის ტრადიციული მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. კონცერტები გამართა ევროპასა და ამერიკაში. 1986 წლიდან ცხოვრობდა აშშ-ში.

[2] წვერი დღევანდელ ირანში რელიგიურობის და, შესაბამისად, არსებული რეჟიმისა და ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობის ან მისი ერთგულების გარეგნული გამოხატულებაა.

[3] ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროს შემოკლებული სახელწოდება

[4] მომღერლებსა და ჯგუფებს, რომლებიც არ არიან სანქცირებულნი „ერშადის“ მიერ, მიწისქვეშეთში უხდებათ მოღვაწეობა.

[5] იგულისხმება მოჰსენ ნამჯუ (1976) - პოპულარული ემიგრანტი მომღერალი, რომელმაც იძულებით დატოვა ირანი.

[6] მულა ალი - შიიტთა პირველი იმამი. ერთგვარი ალუზიაა ჯგუფ „არიანის“ მიერ შესრულებული სიმღერისა „მულა ალი ჯან“ .

[7] მამადლი (მაშდი მამადლი) - მეეტლე და მძღოლი ძველ თეირანში, რომლის შესახებაც ირანულ ფოლკლორში არაერთი ამბავი და ანეკდოტი არსებობს. „მაშდი მამადლის მანქანა“ სასაუბრო სპარსულში გავრცელებული გამოთქმაა, რომლითაც აღნიშნავენ ძველ, დამტვრეულ მანქანებს, რომლებსაც კვლავაც იყენებენ გადასაადგილებლად.

არა, ბიძია, შენს აღნაგობას არ უხდება ეს სიტყვები. შენ „love(ly)„ ხარ, „ნაზი“ და მისთ. არც შენ ხარ გამპროტესტებელი და არც ჩვენი თაობის ხმა არის „არიანი“, რომელიც ცდილობს ცეკვას და მისთანებს.
ნახე, რეპისა და როკის ნებართვა ვის აქვს მათ გარდა, რომლებიც იმას მღერიან, რასაც „ერშადი“ ეტყვის.
წადი და მოიკითხე შიშველი სიმართლე ქუჩებში. იცი, მუსიკის გამო რამდენი კაცია მაწანაწალად ქცეული?
იკითხე, ხელოვნების გამო რამდენი კაცი იქცა ლტოლვილად? რამდენ ახალგაზრდას მოხვდა თავში და ფარ-ხმალი დაყარა.
კრის, გონზე მოდი, სიცოცხლის ბოლოსკენ ხარ, დადგება დღე, როცა შეგრცხვება ამ საქმის გამო.
ამ ხალხის გულწრფელობას ბოროტად ნუ გამოიყენებ, კრის, დაბრუნდი, წადი, შენს ინგლისში იმღერე.
ძია კრის, არ იმღერო, არ იმღერო - მოგიწევს თავანის გადახდა; საქმე ისაა, რომ ამას მხოლოდ შენთვის მოაქვს ფული.

სიმღერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექსტში აღნიშნული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებიდან გამომდინარე, არამედ დასტურია იმისა, რომ მომღერალი დასავლეთს უკრიტიკოდ არ იღებს, მიუკერძოებელი მსაჯულია. მომღერლისთვის ფერეიდუნ ფაროხზადი და კრის დე ბურგი ორი რადიკალურად განსხვავებული პიროვნებაა; ერთს მეამბოხე, თავისუფლებისმოყვარე პიროვნებად მიიჩნევს, ვისთვისაც არ არსებობს ტაბუირებული თემა, მიუკერძოებელია, მებრძოლია და არ ეგუება არსებულ ჩარჩოებში ცხოვრებას. კრის დე ბურგი კი მომღერლისთვის დროებას მორგებული, კომფორმისტი ადამიანია, რომლისთვისაც გაყიდული ალბომები და პირადი კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხალხის ბედ-იღბალი.

2.2. ჯგუფი „კიოსკი“

შაჰინ ნაჯაფი არ არის ერთადერთი მომღერალი, რომელიც ღიად აფიქსირებს საკუთარ აზრს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური ვითარების შესახებ. „კიოსკი“ 5 წევრისგან შემდგარი ჯგუფია, რომლის შემოქმედებაში მაგისტრალური ხაზი უკავია სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს. ირანთან კავშირის არმქონე ადამიანიც კი, თუ მათ სიმღერებს დაუკვირდება, წარმოიდგენს ამ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ თუ სოციალურ ატმოსფეროს.

Berlin Daily Newspaper ჯგუფ „კიოსკს“ „ირანული როკის პიონერს”[1] უწოდებს, ხოლო გაზეთი bbc world მათ შესახებ წერს: *„კიოსკი“ ესაა ბენდი, რომელიც სიმღერებით თაობებთან საუბრობს... მუსიკოსების მომხიბლავი პოლიტიკური სატირა ბლუზსა და ფოლკსაა ამოფარებული*“[2]. Time Magazine-ის შეფასებით კი „კიოსკი“ ჯგუფია, რომელიც აკრიტიკებს ირანის მთავრობას და, ამავდროულად, ახერხებს თავი აარიდოს სასჯელს.

„კიოსკმა“ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, როგორც სატირული სიმღერის ტექსტებით, ასევე, მუსიკალურ ჟანრთა უნიკალური ნაზავით - როკიდან ჯაზამდე და ირანულ ფოლკლორამდე.

2005 წელს, მას შემდეგ, რაც აეკრძალა საჯაროდ სიმღერების შესრულება და „მიუღებელი“ მუსიკალური ჩანაწერების გამოქვეყნება, „კიოსკმა“ ირანის ფარგლებს გარეთ განაგრძო მოღვაწეობა.

ქვეყანაში არსებული ვითარებას ცხადად და საინტერესოდ ასახავს 2008 წლის ალბომში („მსოფლიო ზოოპარკი“ - باغ وحش جهانی) შესული სიმღერა „ბატონო, გააჩერე!“. შემსრულებლები დეტალურად აღწერენ სხვადასხვა სფეროში ფეხმოკიდებულ ფინანსურ და სამსახურეობრივ კორუფციას; ასევე, წინა პლანზეა წამოწეული ისეთი სოციალური პრობლემები, როგორებიცაა: უსახლკარობა, სიღარიბე, სამოქალაქო აქტივობებისთვის ხელის შეშლა და სხვა.

[1] http://www.kiosktheband.com/Kiosk_official_website/Press_Quotes.html
[2] http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/7912952.stm

შემსრულებლებს მთავრობაში გამეფებული განუსჯელობის გარდა აწუხებთ ხალხის თვალში გაუფასურებული ღირებულებები და საზოგადოების გულგრილობა მიმდინარე მოვლენებისადმი; არც ირანული მაფია დარჩენილა მათი ყურადღების მიღმა. „კიოსკის“ სიმღერების ენა, შაჰინ ნაჯაფისგან განსხვავებით, უფრო ლოზუნგურ-დეკლარაციულია, შედარებით სადა ტექსტით.

ბატონო, გააჩერე!
წითელ ხაზთან თუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ,
დილემის წინაშე ვდგავარ:
აქეთ ომი და დეფიციტია, იქით - უბედურება.
არც წინ წასვლა შემიძლია, არც უკან დაბრუნება.
თავდადებული გლეხი[1] უსახლკარო და უმუშევრი [დარჩა],
არ გითქვამს, სიმდიდრე ჯობდა თუ ცოდნა ?!
ცოდნა ფულს ემონება,
ფული ძლიერთა ხელშია.
სამყაროს ფული და ძალაუფლება ატრიალებს.
ბატონო, გააჩერე, გააჩერე!
გააჩერე! მე აქ ჩავდივარ!
ძმაო, გააჩერე! გააჩერე!
გააჩერე! მე აქ ჩავდივარ!
[მეჯლისში] დღის წესრიგის დაწყებამდე გამოსულო გამომსვლელო,
მგზნებარე ორატორო,
ეკონომიკური მდგომარეობის „მხსნელო“,
ჩვენი პრობლემები ასეთია:
კოხტაობა[2] და [გამომწვევი] ჩექმა
საზოგადოებრივი უსაფრთხოების პროგრამის ნაწილად იქცა.[3]
კორუფცია სოფელში,
მეძავობა ქალაქში,
ფინანსური და სამსახურეობრივი კორუფცია...
კორუფციაზე ჩამოვარდა სიტყვა, გარყვნილებაზე საუბრობენ -
ბატონო პრეზიდენტო, ბიძაშენის შესახებ არაფერი გსმენია?!
ბატონო, გააჩერე! გააჩერე!
გააჩერე! მე აქ ჩავდივარ!
ძმაო, გააჩერე!
გააჩერე! გააჩერე!
მეტად აღარ შეგაწუხებ.
ფეხბურთის მაფია,
ნავთობის მაფია,

---

[1] „თავდადებული გლეხი“ - გლეხ რიზალი ხაჯუის თავდადების ისტორია, რომელიც შეტანილია ირანის სკოლების სახელმძღვანელოებში, ასევე, იადოლა სამარეს ავტორობით გამოცემული სპარსული ენის სახელმძღვანელოშიც, რომელიც უცხოელებისთვის არის განკუთვნილი („აზფა“). ამბავი რეალურ ფაქტს ეფუძნება. თავგანწირვის შედეგად დაზარალებული გლეხი დიდხანს მკურნალობდა საავადმყოფოში. ხარჯების დასაფარავად ცხვრების გაყიდვაც მოუხდა.

[2] ტექსტში გამოყენებულია არაბ.-სპარს. თაბარროჯ (თავის მორთვა, მოკაზმვა). ყურანის 24 სურის („სინათლე“) 59 (60)-ე აიაში ნათქვამია: „ასაკგადასულ ქალებს, რომელთაც გათხოვების იმედი აღარა აქვთ, ცოდვა არ დაედოთ, თუ გაიხდიან ტანსაცმელს ისე, რომ თავიანთი ზინათებით არ იამპარტავნონ. ხოლო თუ თავშეკავებას გამოიჩენენ, უმჯობესი იქნება მათთვის და ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისმეცნიერი.“ [ყურანი 2006:251]

[3] დღევანდელ ირანში ე.წ. „ზნეობის პოლიცია“ მტკიცედ დგას საზოგადოებრივი მორალის სადარაჯოზე, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაა „ცუდად“ ანუ ისლამური ნორმების იგნორირებით ან ამ ნორმებიდან გადახვევით შემოსილი ადამიანების (განსაკუთრებით, ქალების) მიმართ დამსჯელი ზომების გატარება.

მუსიკისა და შაქრის მაფია,
ერთი სიკეთე გვიყავი, [თორემ] დავიხრჩვით:
ეს შენი „კეთილსურნელება“ ცოტა იქით გასწი...
სამოქალაქო აქტივობა იქცა ფიზიკურ დასჯად,
ვფიქრობდით, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა,
მაგრამ ვცდებოდით,
აღმშენებლობა იყიდეს და სამართლიანობა[1] გაყიდეს,
ბოლოს, რეფორმების რეფორმირება მოახდინეს.
ბატონო, გააჩერე!
გააჩერე! მე აქ ჩავდივარ!
ძმაო, გააჩერე!
გააჩერე! მე აქ ჩავდივარ!
მეტად აღარ შეგაწუხებ.

ამ სიმღერაში, ფაქტობრივად, ჩამოთვლილია ყველა ის პრობლემა, რომელიც აქტუალურია დღევანდელი ირანისთვის: კორუფცია, ტოტალური უსამართლობა, დაუსრულებელი შეზღუდვები, მაფია, გარყვნილება, ღირებულებების დევალვაცია.

2009 წელს „კიოსკმა“ გამოუშვა ალბომი „ჩვეულებრივი კაცი“, რომელშიც შევიდა სატირულ-ირონიული ხასიათის ტექსტზე შექმნილი სიმღერა „ჩემი ბრალია“. ეს სიმღერა ააშკარავებს ირანში არსებულ მძიმე სამართლებრივ სიტუაციას. ამ საზოგადოებაში ხალხი ყოველთვის დამნაშავეა, მთავრობა კი რიგით წევრთან - ყოველთვის მართალი:

თუ სადმე ომი დაიწყო და ხალხი გაღატაკდა,
ჩემი ბრალია.
თუ წყლის კრიზისია და მირაჟის ჰიჯრა[2],
ჩემი ბრალია.
თუ ზამთარი ცივია და ზაფხული ცხელი,
ჩემი ბრალია.
თუ ტრასები ვიწროა და ქუჩები ბნელი,
ჩემი ბრალია.
თუ უმუშევრობის კრიზისია, გაჭირვება და უპოვრობა,
ჩემი ბრალია.
ჩემი ბრალია.
ჩემი ბრალია.
არაბეთ-ისრაელის ომი და „თამილის ვეფხვები“[3]
ჩემი ბრალია.
პიროვნების კრიზისი და ზნეობის გაქრობა
ჩემი ბრალია.

---

[1] „აღმშენებლობა“ იყო ალი-აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი მისი პრეზიდენტობის დროს (1989-1997). მას „აღმშენებლობის სარდალსაც“ („სარდარ-ე საზანდეგი“) უწოდებდნენ, რადგან მან დაიწყო პირველი ხუთწლიანი განვითარების პროგრამის განხორციელება, რომელიც ირან-ერაყის ომის მძიმე შედეგების აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. „სამართლიანობა“ - მაჰმუდ აჰმადინეჟადის ხელისუფლების (2005-2013) მთავარი ლოზუნგი იყო.

[2] ჰიჯრა - არაბ. გადასახლება, მიგრაცია. სავარაუდოდ, აქ ალუზიაა ე.წ. „ჰიჯრის გეგმისა“ („თარჰ-ე ჰეჯრათ“), რაშიც იგულისხმება ისლამის პროპაგანდისტთა გაგზავნა ირანის ისლამური რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში მუსლიმი მოსახლეობის განათლების, ინფორმირებისა და დახმარების მიზნით. ერთ-ერთი ასეთი ქალაქია აღმ. აზერბაიჯანის პროვინციაში მდებარე სარაბი (შდრ. არაბ.-სპარს. „სარაბ“ - მირაჟი). აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან კალიფორნიაში (აშშ) ფუნქციონირებს „ჰიჯრის ფონდი“ (Hejrat Foundation - http://hejrat.org/about-us/).

[3] „თამილის ვეფხვები“ - სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მიერ აღიარებულია ტერორისტულ გაერთიანებად. ჩამოყალიბდა 1976 შრი-ლანკის ტერიტორიაზე თამილის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.

ჩემი ბრალია.
ცივილიზაციის დეკონსტრუქცია მოხდა -
ჩემი ბრალია.
ჩემი ბრალია.
ვაღიარებ, უნდა მაპატიოთ.
ჩემი ბრალია.
მასების პოლიტიზაცია, დიპლომატიის მარცხი -
ჩემი ბრალია.
ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გავარდნა ემოციური თამაშით
ჩემი ბრალია.
თუ ბენ ლადენი გაიპარა, ნავთობის ფასმა რყევა დაიწყო,
ჩემი ბრალია.
და თუ ამდენმა დაპირებამ თავი მოგაბეზრათ,
ჩემი ბრალია.
ჩემი ბრალია.
ჩემი ბრალია.
ქალბატონებო და ბატონებო, ბოდიშს ვიხდი, მრცხვენია.
თუ მომჩივანი ციხეშია, ხოლო დამნაშავე გარეთ,
ჩემი ბრალია.
თუ ყველაფერი ეს საიდუმლოა, რომლის შესახებაც ყველამ იცის,
ჩემი ბრალია.
თუკი, ღმერთმა არ ქნას და, ერთ დღეს მე აღარ ვიქნები, მაშინ რა მოხდება?
ჩემი ბრალია - ვიქნები თუ არა, სხვანაირად არ მოხდება.

ჯგუფ „კიოსკის“ სიმღერაში „მორთეზა“ მეტაფორულადაა გამოხატული პრობლემები, რომლებიც მომღერლების პროტესტს იწვევს. ქრონოლოგიურად ეს არის 2011 წელი - აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის მეორე ვადის შუა პერიოდი. ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სიმღერის პესიმისტური განწყობა და უიმედო ფინალი, სწორედ ოპოზიციური მოძრაობის მარცხით არის გამოწვეული. ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ ალბომს, რომელშიც სიმღერაა შესული, ეწოდება „მოლაპარაკებების შემდეგ“. პრობლემები, რომლებზეც ყურადღება არის გამახვილებული სიმღერაში, ასეთია: პოლიტიკოსთა გულუბრყვილობა, პარტიების პოზიციების არამდგრადობა, უიმედო მომავალი, ინტელექტუალთა დაუფასებლობა, საზოგადოების ინერტულობა, ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა და მისთ.:

მორთეზა,
აქ წვიმა არ მოდის არასდროს, მაგრამ ქუჩები სველია.
მომავლისადმი ოპტისტურად განწყობილი ძროხები სოსისის ქარხნის რიგში დგანან.
მორთეზა!
მორთეზა!
აქ არ წვიმს, მორთეზა...
მხოლოდ მკვდრები არიან ცოცხლები,
მაშინ, როცა ცოცხლები უნდა მოკვდნენ.
ჭადრაკის ჩემპიონებს გორილებთან[1] თამაში აქვთ მისჯილი.
მორთეზა!
მორთეზა!
აქ არ წვიმს, მორთეზა...
ბნელი ღამე და ვარსკვლავების სიმწირე,
მთვარეც არ ამოდის აქ, მორთეზა!

[1] ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადს ირანელი ხალხი ხშირად მაიმუნს ამსგავსებდა. არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაშიც ეს პრეზიდენტი იგულისხმებოდეს, მით უფრო, რომ ჯგუფი „კიოსკის“ არაერთ კლიპში ეს შედარება აშკარად და შეუნიღბავად არის გამოყენებული. იხ. მაგ. http://www.kioskthebandcom/Kiosk_official_website/Music.html

ყოველი უდაბნოს შემდეგ, კვლავ უდაბნოა.
ეჰ... აქ არ წვიმს, მორთეზა !
მხოლოდ ღამეებს ვითვლი, რადგან დღეებში არაფერი ყრია.
ყველანი მარცხნივ შეხვევის ციმციმას რთავენ, მერე კი მარჯვნივ უხვევენ.[1]
მორთეზა!
მორთეზა!
აქ არ წვიმს, მორთეზა...
ხეებს რგავენ, რომ შემდეგ მისგან ცულის ტარი დაამზადონ.
ლომები გალიაში გამოამწყვდიეს[2] *და რომელიღაც კატის ფოტოს შესციცინებენ,*
მორთეზა!
მორთეზა!
აქ არასდროს წვიმს, მორთეზა...
ბნელი ღამე და ვარსკვლავების სიმწირე,
მთვარეც არ ამოდის აქ, მორთეზა!
ყოველი უდაბნოს შემდეგ, კვლავ უდაბნოა
ეჰ... აქ არ წვიმს , მორთეზა !
ყველა გზა დაკეტილია და ეს ყველამ იცის.
ელიან წვიმას, რომ სახე დაიბანონ.
ვიწროა ქუჩები, როგორი ბნელია ღამეები!
აქ არ წვიმს.
აქ არასდროს წვიმს, მაგრამ სველია ქუჩები;
ზომიერი[3] *ძროხები მოლაპარაკებებს მართავენ სოსისის ქარხნის დირექტორთან,*
მორთეზა!
მორთეზა!
აქ არასდროს წვიმს, მორთეზა...
ყველა პოლიციელი ქურდია და ყველა ქურდი პოლიციელია,
ღირსება აგვყარეს და მის ნაცვლად ანგარიშზე 2 ათასიანი დახმარება ჩაგვირიცხეს[4]*,*
მორთეზა!
მორთეზა!
აქ არასდროს წვიმს, მორთეზა...
ბნელი ღამე და ვარსკვლავების სიმწირე,
მთვარეც არ ამოდის აქ, მორთეზა
ყოველი უდაბნოს შემდეგ, კვლავ უდაბნოა
ეჰ... აქ არ წვიმს, მორთეზა!

---

[1] ამ ფრაზის ორგვარი გაგება შეიძლება არსებობდეს 1) იგულისხმებოდეს პოლიტიკოსები,რომლებიც თავს მემარცხენედ მიიჩნევენ, მაგრამ იქცევიან, როგორც მემარჯვენეები. 2) ირანში საგზაო წესების დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ერთ-ერთი ასეთი დარღვევა არასწორი მოხვევა, რაც ქვეყანაში კანონის დარღვევის მასობრივ ხასიათზე მეტყველებს.

[2] უნდა იგულისხმებოდეს შინაპატიმრობაში მყოფი მირ-ჰოსეინ მუსავი - „მწვანე მოძრაობის“ ლიდერი. ისლამურ ირანში ყველა თანამდებობის პირს სამუშაო ოთახში კედელზე უკიდია ბელადების: იმამ ხომეინისა და ალი ხამენეის პორტრეტები, რასაც ემატება პრეზიდენტის ფოტოც, რომელიც იცვლება პრეზიდენტების ცვლილებასთან ერთად. სავარაუდოდ, „კიოსკის“ ეს მინიშნება სწორედ ლიდერთა ამ ფოტოებს ეხება.

[3] არარადიკალი - შეფარული კრიტიკა ზომიერი პოლიტიკოსებისა, რომლებიც ცდილობენ მთავრობასთან საერთო ენის გამონახვას. „ძროხას“ და „სოსისის ქარხნის დირექტორს“ საერთო ინტერესი რომ ვერ ექნებათ, იმთავითვე ცხადია.

[4] იგულისხმება მ. აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის დროს დაწყებული სუბსიდირების პროგრამა - ერთგვარი ვაუჩერიზაცია, რომელიც ეროვნული ვალუტის მზარდი და შეუქცევადი გაუფასურების ფონზე მოხდა. მოგვიანებით მთავრობამ მიზნობრივი სუბსიდირების სახით ამ პროგრამის კორექტირება მოახდინა.

„კიოსკის“ სიმღერა „აკრძალულია“ (ალბომი „პარალელური სტრუქტურები“, 2013) ყურადღებას ამახვილებს ყველა რეგულაციაზე, რომელიც ირანულ საზოგადოებას თავისუფლებას უზღუდავს და სამოქმედო სივრცეს უმცირებს. სიმღერაში ჩამოთვლილია ქვეყანაში არსებული ძირეული თუ წვრილმანი პრობლემები: გენდერული უთანასწორობა, მექრთამეობა, ეროვნებისა და რელიგიის ნიშნით ადამიანთა უფლებების შეზღუდვა, უშედეგო საგარეო პოლიტიკა, ღირებულებების გაუფასურება, პოლიტპატიმრების აუტანელი ყოფა, მასმედიაზე ზეწოლა, კორუმპირებული სასამართლო და სხვა:

სიბრიყვეს სიმამაცე დაერქვა,
უგუნურება პატიოსნებას ნიშნავს,
ფუქსავატობა მიმზიდველია,
ღირებულებები - კატასტროფის დონეზეა.
შეურაცხყოფას დაკვალიანება დაერქვა,
პირბადე (ჩადრი) წესიერებად აღიქმება.
ქალის კაპიტალი მისი სიქალწულეა,
ქორწინება ერთგვარ გარიგებად იქცა.
სათქმელი ბევრი არაფერია,
როცა სიჩუმეც და ყვირილიც აკრძალულია.
წადი, ძმაო, აქ ნუ დადგები!
აქ დგომა აკრძალულია.
სახელმწიფო შენობების ფოტოგრაფირება აკრძალულია!
მაჰდიზმი[1] აკრძალულია!
კერძო ტელემაუწყებლობა აკრძალულია!
ოთხზე მეტი ადამიანის შეკრება აკრძალულია!
ავღანელი ბავშვების სწავლება აკრძალულია![2]
ნებისმიერ დარიგებას ღალატი [უდევს საფუძვლად].
უდანაშაულო იძულებულია, [დანაშაული] აღიაროს.
სულის შეხუთვა დამკვირვებლობად ითვლება,
სიმართლე მხოლოდ ჭორია.
წინსვლის წინაპირობა სიბრიყვეა,
მლიქვნელობა ხელოვნებად იქცა.
ცხოვრება პოლიტიკის მძევალია.
პოლიტიკა მოლაპარაკებების ჩიხშია[3].
სათქმელი ბევრი არაფერია,
როცა სიჩუმეც და ყვირილიც აკრძალულია.
ასეთ რამეებს უფროსების წინაშე ნუ იტყვი -
აქ ლაპარაკიც აკრძალულია.
ღია სამზარეულო[4] აკრძალულია.
ფეხბურთელებისთვის ტატუირება აკრძალულია.
Twitter, Facebook და Youtube აკრძალულია.

---

[1] მაჰდიზმი - მესიანისტური მიმდინარეობა, რომელიც მე-15 საუკუნის მიწურულს წარმოიშვა ინდოეთში.

[2] ლტოლვილ ავღანელ ბავშვებს, ბინადრობის უფლების არქონის გამო, არ შეეძლოთ ირანის სკოლებში დარეგისტრირება და სწავლა. ეს ვითრება შეიცვალა გასულ წელს, როცა ირანის ხელისუფლებამ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით გახსნა სპეციალური სკოლები უცხოეთის მოქალაქეთათვის, სადაც ავღანელ ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ.

[3] უნდა იგულისხმებოდეს ირანის ბირთვული მოლაპარაკებები დასავლეთთან.

[4] ირანის დიდი ქალაქების, განსაკუთრებით, თეირანის საცხოვრებელ ბინებში მოდაშია სტუდიოს ტიპის სამზარეულოები, რომელსაც ირანელები „ოუფენ ქიჩენს“-ს (ინგ. open kitchen-იდან) უწოდებენ. ასეთი ტიპის სამზარეულო ირანელების მიერ დასავლური ცხოვრების სტილის ერთ-ერთ ნიშნად აღიქმება.

პრეზიდენტთან მსგავსება აკრძალულია.
ნაყინის ტლეკა საზოგადოებრივ ადგილებში აკრძალულია.
სექსუალური მოძალადის მკვლელობა თავმოყვარეობის გამო ხდება.
პომადა უსაფრთხოებისთვის მუქარაა.
მამაკაცის ორგანო ერთგვარი სიმდიდრეა, [მაშინ]
როცა ქალი საზოგადოების მეორეხარისხოვანი მოქალაქეა.
სიფრთხილეს ჰქვია გამჭრიახობა.
სოციალურ ქსელებში საკუთარი ფოტოების დადება გამზედაობაა.
„მტერი“ - ერის მეორე სახელია.
და ყოველდღე ასეთი უბედურებაა.
სათქმელი ბევრი არაფერია,
როცა სიჩუმეც და ყვირილიც აკრძალულია.
წადი, ძმაო, აქ ნუ დადგები!
აქ დგომა აკრძალულია.
შერეული საბავშვო ბაღები აკრძალულია[1],
კინოს სახლი აკრძალულია,
მირ ჰუსეინ მუსავის ინფარქტი აკრძალულია[2],
მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარება აკრძალულია,
ძაღლის ყოლა აკრძალულია,
ქალთათვის ყალიონის მოწევა აკრძალულია,
ხუმრობა საცურაო აუზის ნაპირთან აკრძალულია,
სატელიტური თეფში აკრძალულია,
გონაბადის დერვიშები[3] აკრძალულია,
წყლით წუწაობა აკრძალულია,
მამაკაცებს ქალებმა რომ უმღერონ, აკრძალულია.
მარხვის დარღვევის დემონსტრირება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აკრძალულია.
მსახიობების მიერ ხელის ჩამორთმევა უცხოურ კინოფესტივალებზე აკრძალულია[4].
„ჰევი მეტალი“ აკრძალულია,
ტელევიზორში წლოვანების ჩვენება აკრძალულია.
ფეხბურთის სტადიონზე ქალთა ყოფნა აკრძლულია.
რესტორანში დაუქორწინებელ პირთა შესვლა აკრძალულია,
მანეკენი აკრძალულია,
სამგლოვიარო დღეების გამო ზღვა დახურულია!

---

[1] ირანში გოგონათა და ვაჟთა საბავშვო ბაღები და სკოლები ცალ-ცალკეა.

[2] მინიშნებაა „მწვანე მოძრაობის“ ლიდერის მირ ჰოსეინ მუსავის ავადმყოფობაზე, რომელსაც შინაპატიმრობის დროს გულის პრობლემები შეექმნა. ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა, მუსავი საავადმყოფოში გადაეყვანა, მაგრამ მალევე უკან დააბრუნა მიუხედავად მუსავის მძიმე მდგომარეობისა.

[3] გონაბადელი დერვიშები - დერვიშთა ორდენი, რომელთა დევნამ განსაკუთრებით დაუნდობელი ხასიათი მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის (2005-2013) დროს მიიღო. მათი სალოცავებისა და საცხოვრებლების დარბევა კანონის დარღვევით და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა თუ ხელისუფლებასთან ასოცირებული გაერთიანებების მიერ ხდებოდა, თავად დერვიშებს კი აპატიმრებდნენ. გონაბადელი დერვიშების პრობლემამ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და უფლებადამცავთა შესწავლის საგნად იქცა.

[4] ისლამის ნორმებიდან გამომდინარე, ირანელ ქალებს აკრძალული აქვთ მამაკაცისთვის ხელის ჩამორთმევა, თუკი ეს მამაკაცი მათი მეუღლე, მამა ან ძმა არ არის. ანალოგიური აკრძალვა მოქმედებს მამაკაცების შემთხვევაშიც. ამ აკრძალვამ არაერთგზის შეუქმნა პრობლემა საერთაშორისო კონოფესტივალებზე გამგზავრებულ მსახიობებს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლეილა ჰათამი, რომელმაც კანის 67-ე კინოსფესტივალზე პრეზიდენტს ჟილ იაკობს ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა კიდეც. ამ ფაქტს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ირანულ პრესაში.

ჯგუფ „კიოსკის“ სიმღერებში გამოთქმული პროტესტის სიმწვავე ამ სიმღერების შექმნის თარიღის მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, 2008 წლის სიმღერა „ბატონო, გააჩერე!“ წინასაარჩევნო პერიოდშია შექმნილი, მისი ტექსტი ხალხის უკმაყოფილების ნათელი გამოხატულებაა; 2009 წლის სიმღერა „ჩემი ბრალია“ უკავშირდება „მწვანე მოძრაობას“, ამიტომ განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საპროტესტო გამოსვლების მარცხმა შემართება მომღერლებშიც შეასუსტა, 2011 წლის სიმღერა „მორთეზა“ იმედგაცრუებით არის აღსავსე; 2013 წელი აჰმადინეჟადის მეორე ვადის ბოლო წელია, ამიტომ სიმღერაში „აკრძალულია“ ნათქვამია ყველაფერი, რაც მანამდე უთქმელი დარჩა.

დასკვნა

როგორც განხილულმა მაგალითებმა აჩვენა, თანამედროვე ირანული სიმღერების ტექსტებში თამამი და მძლავრი პროტესტია გამოხატული ყველა იმ სოციალური თუ პოლიტიკური ხასიათის პრობლემის მიმართ, რაც დღევანდელი ირანის მოსახლეობას აწუხებს. პროტესტის ეს ხმა მაშინ, როცა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ოპოზიციური აზრის გამოხატვა შეზღუდულია და დევნის საფუძველი ხდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ინტერნეტი საშუალებას იძლევა, „დავთვალოთ“[1], რამდენმა ადამიანმა „გაიგონა“ პროტესტის ეს ხმა:

შემსრულებელი	სიმღერის დასახელება	ნახვის რაოდენობა ინტერნეტში
შაჰინ ნაჯაფი	„ნაყი“	1 350 530
შაჰინ ნაჯაფი	„ნედა“	50 676
შაჰინ ნაჯაფი	„მომღერალი სისხლში“	242 619
შაჰინ ნაჯაფი	„ბიძია კრისი“	49 744
„ინდო“	„ცისკრის გოდება“	140 683
„კიოსკი“	„ბატონო, გააჩერე!“	485 511
„კიოსკი“	„ჩემი ბრალია“	57 593
„კიოსკი“	„მორთეზა“	194 017
„კიოსკი“	„აკრძალულია“	73 286

თანამედროვე ირანული სიმღერის, როგორც სოციალური და პოლიტიკური პროტესტის ერთ-ერთი ფორმის, შესწავლამ გამოავლინა ის პრობლემატიკა, რომელიც ყველაზე უფრო აქტუალურია დღევანდელი ირანისა და ირანელებისთვის. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებული რეგლამენტაციისა და სახელმწიფო ცენზურის პირობებში თანამედროვე ირანული სიმღერა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა რეალური ვითარების წარმოსაჩენად. როგორც შესწავლილმა მასალამ აჩვენა, 21-ე საუკუნის ირანელების წინაშე ყველაზე მწვავედ დგას შემდეგი პრობლემები:

სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა: მედიის, სოციალური ქსელების, სამოქალაქო აქტივობის სფეროში;

კორუფცია: სასამართლოს, განათლების, ბიზნესის, ხელოვნების, სპორტის სფეროში;

უმცირესობათა ჩაგვრა და დისკრიმინაცია: რელიგიური, ეთნიკური, გენდერული, პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით;

ძალადობა: მკვლელობა, ფიზიკური ანგარიშსწორება, სიცოცხლის დაუცველობა;

პოლიტიკა: პოლიტიკური გულუბრყვილობა, არასტაბილური პოლიტიკური პარტიები, უშედეგო მოლაპარაკებები, მასების პოლიტიზაცია, დასავლური ცხოვრების სტილის მიუღებლობა, განუხორციელებელი რეფორმები, ინტელექტუალთა დაუფასებლობა, ქვეყნის უიმედო მომავალი, წარუმატებელი დიპლომატია, პოლიტპატიმრები;

სოციალური პრობლემები: სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა.

[1] ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები 2015 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით

ზნეობრივი პრობლემები: ღირებულებების გაუფასურება, პიროვნების კრიზისი, უზნეობა, სხეულით ვაჭრობა.

სიმღერები, რომლებშიც ამ პრობლემების გამო მკაფიო პროტესტია გამოთქმული, ემიგრანტი ირანელი მომღერლების რეპერტუარიდან არის. ამდენად, უფრო ფართოა მათი აუდიტორია და პროტესტის გამოხატვის არეალი.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები:

1. ყურანი, არაბულიდან თარგმნა შესავალი ნაწილი და განმარტებანი დაურთო
1. გ. ლობჟანიძემ, კავკასიური სახლი, თბილისი, 2006.
2. **عسگری (مانی)، میرزا آقا، خنیاگر درخون، ناشر: هومن. آلمان،2005**
3. http://iranprimer.usip.org/ http://iranprimer.usip.org/resource/green-movement
4. http://www.gavazn.com/
5. http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2013/05/201351661225981675.html
6. http://middleeastvoices.voanews.com/2012/06/viewpoint-three-years-in-is-irans-green-revolution-still-going-34727/
7. https://mamnoe.files.wordpress.com/2011/09/khonyagar-dar-khon.pdf
8. http://www.shahinnajafimusic.com/
9. http://www.kiosktheband.com/Kiosk_official_website/Press_Quotes.html
10. https://youtube/vbN2bUgg1ws
11. https://youtube/gI0eFz5u0ZY
12. https://youtube/XmH6JxEiIu8?list=PL4C6E584BE619D309
13. https://youtube/0FRA1zKUPgw?list=PL4C6E584BE619D309
14. https://youtube/DlO_uNJZ2p0
15. https://youtube/AItlqKZSACw
16. https://youtube/PePaNZFpqbg
17. https://youtube/8MEVfwGS8YA

თამთა ბოკუჩავა

ურთიერთობა AKP-სა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში თურქეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. თურქულმა საზოგადოებამ უფრო კომპლექსური და დიფერენცირებული სახე მიიღო. ძალაუფლება მოიპოვეს პოლიტიკოსების, ბიზნესმენებისა და აქტივისტების ახალმა თაობამ. სწორედ ასეთი საზოგადოების სახეს წარმოადგენს სამართლიანობისა და განვითარების პარტია (Adalet ve Kalkınma Partisi – AKP). ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ AKP ხელისუფლებაში ყოველთვის უმრავლესობის სახით იყო წარმოდგენილი. 2007წ. აჰმედ ნეჯდეთ სეზერის მიერ პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტად AKP-ს ერთ-ერთი დამაარსებელი - აბდულა გიული აირჩიეს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტია დემოკრატიული რეფორმების გატარებისას აქტიურად დაუპირისპირდა თურქეთის შეიარაღებულ ძალებს. არმია თურქეთში საკუთარ თავს ქემალისტური იდეოლოგიის მთავარ დამცველად წარმოაჩენდა. 1999წ. ჰელსინკის სამიტის შემდეგ, როდესაც თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატად აღიარეს, ქვეყანაში აქტიურად დაიწყეს სამხედროების პოლიტიკაში ჩართულობის კრიტიკა. ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხელისუფლებაში ახლად მოსულმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ დაიწყო დემოკრატიული რეფორმების გატარება, რომელსაც ეს უკანასკნელი აქტიურად იყენებდა ქვეყნის პოლიტიკაზე სამხედროების გავლენის შესასუსტებლად. ვეროკავშირის მოთხოვნები და დემოკრატიზაციის პროცესი იდეალური არგუმენტი იყო AKP-სათვის სამხედროების წინააღმდეგ. შესაბამისად თურქეთის შეიარაღებული ძალები, რომელიც ქვეყნის ვესტერნიზაციისათვის იბრძოდა, იძულებული გახდა მიეღო მიმდინარე რეფორმები.

პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მარცხი თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჯერ კიდევ 2004წ. განიცადა, როდესაც კვიპროსში სამხედროების მოქმედებამ AKP-ს წინააღმდეგ კინაღამ თურქეთის ეროვნული ინტერესები შეიწირა. ამ ინციდენტის შემდეგ მნიშვნელოვნად შეირყა საზოგადოების ნდობა შეიარაღებული ძალების მიმართ.

დაპირისპირება სამხედროებსა და მთავრობას შორის კიდევ უფრო გაძლიერდა 2006-2008წწ., როდესაც ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებლებში ისლამური ტანისამოსისა და თავსაბურავის ტარებაზე აკრძალვის მოხსნა გადაწყვიტა.

არმია აქტიურად გამოვიდა აბდულა გიულის პრეზიდენტობის წინააღმდეგ. მათ შეიარაღებული ძალების ვებ-გვერდზე გამოაქვეყნეს მემორანდუმი, რომელშიც შეშფოთება გამოთქვეს AKP-ს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ და საჭიროების შემთხვევაში ზომების მიღებით დაიმუქრნენ. ამის საპასუხოდ 2007წ. ვადამდელი არჩევნები დაინიშნა, სადაც სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ხმების უმრავლესობა მოიპოვა. ამავე წელს მთავრობამ საქმე აღძრა ორგანიზაცია „ერგენეკონის“ წინააღმდეგ, რომელსაც სავარაუდოდ ჰქონდა კავშირი თურქეთის შეიარაღებულ ძალებთან. პროკურორი ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობაში ადანაშაულებდა ასობით სამხედრო მაღალჩინოსანს, ჟურნალისტს და პოლიტიკურ აქტივისტს. გამოაშკარავებული დოკუმენტებიდან ჩანდა, რომ „ერგენეკონი“ რამდენიმე აფეთქებისა და მკვლელობის საქმეებთან იყო დაკავშირებული. ამით უნდა შექმნილიყო ქაოსი ქვეყანაში, რაც სამხედრო გადატრიალების გასასამართლებელი საბუთი გახდებოდა. კრიტიკოსები შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ აღნიშნული საქმე შესაძლოა მთავრობის მიერ იყო ფალსიფიცირებული და ხელისუფლება მას სეკულარისტი მოწინააღმდეგეების გასაჩუმებლად იყენებდა. ასეთი განცხადებების მიუხედავად, ბოლო პერიოდში სამხედროების ქმედებებით უკმაყოფილო საზოგადოებამ თვალი დახუჭა მთავრობის შესაძლო უკანონო საქმიანობაზე.

AKP შეეცადა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში სამოქალაქო პირების რაოდენობის გაზრდას (1960 წ. პირველი სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაარსდა ეროვნული

უსაფრთხოების საბჭო, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი იყო სახელმწიფო პოლიტიკაზე სამხედროების გავლენის გასაძლიერებლად. ყოველი მომდევნო სამხედრო გადატრიალება კომიტეტის უფლებებს კიდევ უფრო აფართოებდა. 1990-იან წლებში თურქეთის შეიარაღებული ძალები იმდენად გაძლიერდა, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა უკვე არა მარტო თურქეთის პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში, არამედ მის აღსრულებაშიც. იგი განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო საფრთხეებს, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და სამოქალაქო ხელისუფლების გვერდის ავლით აფორმებდნენ ხელშეკრულებებს უცხო ქვეყნებთან.). საბჭოს თავმჯდომარედ აერჩიათ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი. აღარ ყოფილიყო აუცილებელი უმაღლესი სასწავლებლების, რადიოსა და ტელევიზიის სამმართველო კომიტეტებში სამხედრო წარმომადგენლის არსებობა.

AKP-სა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც აისახა. სამხედროები ჩრდილოეთ ერაყში ქურთისტანის რეგიონულ მთავრობასთან დიალოგის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ისინი ამახვილებდნენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ქურთისტანის რეგიონული მთავრობა PKK-ს (Partiya Karkeren Kurdistane - ქურთისტანის მუშათა პარტია) უჭერდა მხარს. სამხედროების ასეთი განცხადებები მთავრობამ „კერძო აზრად“ შერაცხა. „არის ადგილები სადაც სამხედროები უნდა საუბრობდნენ და არის ადგილები სადაც დიპლომატები უნდა საუბრობდნენ“ - განაცხადა აბდულა გიულმა.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა 2007წ. 7 ოქტომბერს PKK-ს მიერ 15 თურქი ჯარისკაცის მკვლელობა გაბარის მთებში, რის შემდეგაც ზეწოლა ხელისუფლებაზე გაიზარდა და იგი იძულებული გახდა ჩრდილოეთ ერაყში სამხედრო ოპერაციის სანქცია გაეცა. ნოემბერში, აშშ-ს პრეზიდენტ ბუშთან მოლაპარაკების შემდეგ 16-23 დეკემბერს და 2008წ. 16 იანვარს თურქეთმა განახორციელა რიგი საჰაერო და სახმელეთო ოპერაციები ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე.

იმის მიუხედავად, რომ მეჯლისმა შეიარაღებულ ძალებს ერაყის ტერიტორიაზე ოპერაციების განხორციელების უფლება ერთი წლის ვადით მისცა, თებერვლის შემდეგ სამხედროებს აღარ გამოუყენებიათ ეს უფლება. უფრო მეტიც, ოფიციალურად გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „PKK-სთან დაპირისპირების მოგვარება მხოლოდ სამხედრო ძალებით შეუძლებელია“ ეს განცხადება თავისთავად მეტყველებდა სამხედროების მარცხზე როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე. 2008წ. თურქეთის ხელისუფლებამ უშუალო კონტაქტი დაამყარა ქურთისტანის რეგიონულ მთავრობასთან.

2008წ. თურქეთის გენერალური პროკურორი შეეცადა აეკრძალა AKP-ს საქმიანობა ისლამური კურსის საფუძველზე. სასამართლომ უარყო პროკურორის მოთხოვნა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ერთი მოსამართლე აღმოჩნდა AKP-ს დახურვის მოწინააღმდეგე.

2006-2008წწ. შემობრუნების წერტილად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სექტორისა და სამხედროების დაპირისპირებაში. პირველად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ეს დაპირისპირება სამოქალაქო სექტორის სასარგებლოდ დასრულდა.

2008-2011წწ. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოზიციები ყველაზე ძლიერი იყო. საბიუჯეტო დეფიციტი და უმუშევრობის დონე ქვეყანაში რეკორდულად დაბალი იყო. AKP-მ ასევე მოახერხა უპირატესობის მოპოვება სამხედროებზე. 2011წ. გენშტაბის უფროსი ერდოღანთან უთანხმოების შემდეგ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. იმავე დღეს თანამდებობები დატოვეს არმიის, ფლოტისა და ავიაციის ხელმძღვანელებმაც. 2012წ. დასაწყისისათვის თურქეთის ადმირალების ნახევარი და ყოველი მეათე გენერალი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის ბრალდებით პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2013წ. ივლისში თურქეთის შეიარაღებული ძალების შიდა რეგულაციებიდან ამოიღეს 35-ე მუხლი, რომელიც ავალდებულებდა არმიას დაეცვა თურქეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონები. ეს მუხლი ქვეყნის პოლიტიკაში არმიის ჩარევის კანონიერ უფლებად აღიქმებოდა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 2013წ. გიულენის მოძრაობასთან დაპირისპირების შემდეგ და 2014წ. ქურთებთან სამშვიდობო მოლაპარაკებების შეწყვეტის შემდეგ, მთავრობისათვის ნათელი

გახდა სამხედროების მხარდაჭერის აუცილებლობა. ერდოღანმა და მისმა გარემოცვამ აქტიურად დაიწყო სამხედროების წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებებში გიულენისტების გავლენის შესახებ საუბარი. გასულ წელს ერდოღანმა გიულენის მიმდევრები შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ კონსპირაციაში დაადანაშაულა.

2014წ. ბათილად გამოცხადდა გენშტაბის ყოფილი უფროსისათვის, ილქერ ბასბუღისათვის, გადატრიალების მოწყობის მცდელობისათვის მისჯილი სამუდამო პატიმრობა. ერდოღანმა თავად დაურეკა ილქერ ბასბუღს, მიულოცა გათავისუფლება და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში სხვა სამხედრო ოფიცრებიც იგივე ბედს გაიზიარებდნენ. 2014წ. მარტში ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლოები, რომლებიც გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულების საქმეების გადახედვით იყვნენ დაკავებულები. განმეორებითი სასამართლოს შემდეგ 200-ზე მეტი სამხედრო გაათავისუფლეს ციხიდან.

2016წ. 15 ივლისს სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში მარცხით დასრულდა. აღსანიშნავია რომ სამხედრო გადატრიალების მცდელობას ადგილი ჰქონდა სწორედ მაშინ, როდესაც თურქეთში არასტაბილური მდგომარეობა არის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მიმდინარე მოვლენები კარგი გამოსავალი აღმოჩნდა პრეზიდენტ ერდოღანისათვის, რომელიც ქვეყანას მხსნელად მოევლინა და ერთპიროვნულად აიღო მთელი ძალაუფლება ხელში, კონსტიტუციური შეზღუდვების მიუხედავად. ამასთან ხელისუფლების მხარეზე აღმოჩნდა ოპოზიციაც, რომელმაც ერთხმად დაგმო სამხედროების ქმედებები. დემოკრატიულად არჩეული მთავრობის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს აგრეთვე მსოფლიო ლიდერებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც (აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაეროს მიერ გაკეთებულ განცხადებას არ შეუერთდა ეგვიპტე. ამ უკანასკნელის განცხადებით, გაეროს არ აქვს უნარი იმსჯელოს რამდენად დემოკრატიულად არის არჩეული ესა თუ ის მთავრობა).

თურქეთის ხელისუფლებამ მიმდინარე მოვლენებში, ჯერ კიდევ სამხედრო დაპირისპირების პროცესშივე, ფეთჰულა გიულენის ორგანიზაცია დაადანაშაულა. ამასთან ყურადღებას იმსახურებს პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებები, რომელმაც თავის პირველ ჩართვებში სამხედრო გადატრიალების მცდელობას „ღვთისგან ბოძებული საჩუქარი“ უწოდა, რომელიც საშუალებას მისცემდა მთავრობას ერთიანად გამკლავებოდა თურქეთის მტრებს ქვეყნის შიგნით. ამ მტრებში პრეზიდენტი ერდოღანი ფეთჰულას ტერორისტულ ორგანიზაციას (FETÖ - როგორც მას მოიხსენიებენ თურქეთის მთავრობაში) გულისხმობდა. თურქეთმა მოძრაობა ჰიზმეთის ლიდერი ფეთჰულა გიულენი და მისი ორგანიზაცია ტერორისტების სიაში შეიყვანა ჯერ კიდევ ქრთამის აღებასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ. 15 ივლისის მოვლენების შემდეგ ერდოღანი, ისევე როგორც თურქეთის მთავრობის სხვა წევრები აქტიურად ითხოვენ გიულენის ექსტრადიციას შეერთებული შტატებიდან. თვითონ ფეთჰულა გიულენმა გაკეთებულ განცხადებაში უარყო რაიმე სახის კავშირი სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან და პირიქით პრეზიდენტი ერდოღანი დაადანაშაულა მიმდინარე მოვლენების ინსცენირებაში, რასაც ეს უკანასკნელი მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ იყენებდა.

თუ გადავხედავთ 15-16 ივლისის ღამის ქრონოლოგიას, მართლაც ჩნდება ეჭვი, რომ მიმდინარე მოვლენები თურქეთის მთავრობის მიერ იყო ინსცენირებული:
სამხედრო გადატრიალებას საკმაოდ ცოტა მონაწილე ყავდა და ამ მონაწილეების ნაწილმაც არ იცოდა რეალურად რა ხდებოდა.

მოვლენების განვითარება დაიწყო 15 ივლისს საღამოს 22:00-ზე, როდესაც სამხედროებმა ბოსფორის ხიდები გადაკეტეს, საღამოს 20:00 არც თუ ისე გვიანია და მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ქუჩებში იყო (თურქეთში განხორციელებული წინა სამხედრო გადატრიალებები ღამე 03:00-ზე იწყებოდა).

სამხედროებს არ დაუკავებიათ ან არ გაუნეიტრალებიათ თურქეთის მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი. მათ მეჯლისის შენობა დაბომბეს, რასაც მინიმალური მსხვერპლი მოჰყვა იმის მაგივრად, რომ შეიარაღებული ძალები შეეგზავნათ შენობაში და მთავრობის წევრები დაეკავებინათ. სამხედროებმა ასევე ვერ მოახერხეს პრეზიდენტ ერდოღანის განეიტრალებაც, რომელიც ამ დროს მარმარისზე ისვენებდა. ამ უკანასკნელმა რამდენიმე წუთით ადრე დატოვა

ტერიტორია, ხოლო სამხედროების F-16-მა რომელიც პრეზიდენტის თვითმფრინავს ათათურქის აეროპორტამდე მისდევდა მას ცეცხლი არ გაუხსნა.

სამხედროებმა ასევე არ გათიშეს ტელე-რადიო მაუწყებლობა თურქეთის ტერიტორიაზე და იმის მიუხედავად რომ ინტერნეტზე წვდომა შეზღუდული იყო, მაგრამ VPN - ვირტუალური პირადი ქსელი ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა და შესაბამისად მოსახლეობას ჰქონდა წვდომა სოციალურ ქსელებზე. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა ერდოღანმა სწორედ ფეისბუქის საშუალებით გააკეთა თავისი პირველი განცხადებები და მოსახლეობას, მის ერთგულ მხარდამჭერებს, ქუჩებში გამოსვლისაკენ და არჩეული მთავრობის დაცვისაკენ მოუწოდა. იმის მიუხედავად, რომ სამხედროებმა დაიკავეს TRT-სა და CNN Türk-ს ოფისები, მათ დიქტორებს მხოლოდ პირდაპირ ეთერში განცხადების წაკითხვა მოსთხოვეს, რის შემდეგაც ტელეარხებმა მაუწყებლობა გააგრძელეს. სამხედრო გადატრიალების მცდელობა თითქმის ყველა ტელეარხზე პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ამასთან TRT-ს ოფისს მხოლოდ ოთხი სამხედრო იცავდა, რომლის განეიტრალება პოლიციამ მალევე შეძლო.

ანკარის საპრეზიდენტო სასახლის ასაღებად, რომლის ფართობი 300000მ²-ია, ამბოხებულებმა 16 ჯარისკაცი გააგზავნეს.

უნდა აღინიშნოს რომ ქუჩებში გამოსული ერდოღანის მომხრეები კარგად იყვნენ ორგანიზებულნი. ჟურნალისტების ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზეც, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მამაკაცები იყვნენ, რომლებიც ულვაშებს ატარებდნენ და გაჟღერებული სლოგანებიც იყო არა პატრიოტული, არამედ ისლამური - ისინი იმეორებდნენ შაჰადას და „ალაჰუ ექბერის“ ძახილით უპირისპირდებოდნენ სამხედროებს.

90 ათასი მეჩეთიდან განკუთვნილ დროზე ადრე მოუწოდეს მოსახლეობას სალათის ლოცვისაკენ. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოწოდება ყველა ამ მეჩეთიდან ერთდროულად გაჟღერდა.

სამხედრო გადატრიალების მცდელობა ოფიციალურად დასრულდა 16 ივლისის დილას, 11:50 წთ-ზე, თუმცა იგი ერდოღანის ათათურქის აეროპორტში დაშვების წუთიდან მარცხისათვის იყო განწირული.

სამხედრო გადატრიალების მცდელობაში უშუალო დამნაშავეთა სია თურქეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 16 ივლისს გამთენიისას შეადგინა. მომდევნო დღეების განმავლობაში მასიური დაპატიმრებები შეეხოთ არა მარტო სამხედრო მოსამსახურეებს, არამედ სასამართლო სისტემის თანამშრომლებს, უნივერსიტეტის პროფესორებსა და ზოგ შემთხვევაში, უბრალო დამლაგებლებსაც კი. 2016წ. ოქტომბრის დასაწყისისათვის დაკავებულთა რიცხვი 70756-ს აღწევდა. აქედან 7028 სამხედრო მოსამსახურე იყო (164 გენერალი ან ადმირალი, 287 პოლკოვნიკი და სხვ.), 2385 მოსამართლე (2 უზენაესი სასამართლოს წევრი), 7000 პოლიციელი (361 პოლიციის უფროსი) და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობა შესაძლოა მართლაც თურქეთის ხელისუფლების მიერ იყო ინსცენირებული, რაც ქვეყნის შიგნით ერდოღანის პოზიციების ერთბაშად და მკვეთრად გამყარებისკენ იყო მიმართული. იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰქონდა არავითარი კავშირი მთავრობასთან, მაშინ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობა იყო ერთ-ერთი ყველაზე არაორგანიზებული და დაუგეგმავი ღონისძიება, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას როგორც შიდაპოლიტიკური, ისე საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Balcı, Ali, “Foreign Policy as Domestic Power Struggle: The Northern Iraq as a Battlefield Between the AKP and the TAF in 2007-8”, Türkiye Ortadoğu Çalışmaları Dergisi Vol.2 No1 (2015), 67-94
2. Matusiak, Marek, “The Great Leap; Turkey Under Erdoğan”, Point of Wiew 51 (2015),5-53
3. Yayla, S. Ahmed, “Turkey after the July coup attempt,” House Foreign Affairs, Subcommittee on Europe, Eurasia, and Emerging Threats (Washington, 2016)

4. Taşpınar, Ömer , “Turkey: The New Model?,” Accessed November 12, 2015 http://www.brookings.edu/research/papers/2012/04/24-turkey-new-model-taspinar
5. Karaveli,Halil M., “Turkey’s Military Rulers,” Accessed November 12, 2015 http://www.nytimes.com/2015/09/12/opinion/turkeys-military-rulers.html?_r=0
6. “Freedom in the world 2015: Turkey”, Freedom House, Accessed November 12, 2015 https://freedomhouse.org/report/freedom-world/2015/turkey
7. Luttwak, Edward, “Why Turkey’s Coup d’Etat Failed,” Accessed October 14, 2016 http://foreignpolicy.com/2016/07/16/why-turkeys-coup-detat-failed-erdogan/
8. World in War, “The #history Turkish coup d’état attempt 2016 (work in progress),” Accessed October 14, 2016 http://www.worldinwar.eu/the-history-turkish-coup-detat-attempt-2016-work-in-progress/
9. Cookman, Liz, “Fear and Paranoia still stalk Turkey two months after the failed coup,” Accessed October 14, 2016 https://www.theguardian.com/commentisfree/2016/sep/15/two-months-failed-coup-turkey-divided-erdogan
10. “How the Turkish government regained control after a failed military coup,” Accessed October 14, 2016 https://www.washingtonpost.com/graphics/world/turkey-military-coup/
11. Cockburn, Patrick, “Erdogan will be stronger after the failed coup, but Turkey could be the loser,” Accessed October 14, 2016 http://www.independent.co.uk/voices/turkey-coup-attempt-president-erdogan-benefit-from-crackdown-a7150931.html
12. Fisk, Robert, “The 70, 000 post-coup arrests are now at the heart of the Turkish government’s propaganda war,” Accessed October 22, 2016 http://www.independent.co.uk/voices/turkey-coup-purge-recep-tayyip-erdogan-arrests-latest-a7351781.html

ინგა ინასარიძე

მაროკოს სამეფოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები

მაროკოში 2016 წლის 7 ოქტომბერს პარლამენტის ქვედა – წარმომადგენელთა პალატის არჩევნები გაიმართა. მაროკოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1956 წ.) არჩევნები რიგით მეათეა ქვეყნის ისტორიაში, თუმცა მეორეა ახალი კონსტიტუციის ფარგებში, რომელიც 2011 წელს იქნა მიღებული, „არაბული გაზაფხულის“ საპროტესტო გამოსვლების შეჩერების მიზნით. იმისათვის, რომ მაროკოს მეფეს, მუჰამედ VI-ს თავიდან აეცილებინა მოგვიანებით თუნისში, ეგვიპტესა და ლიბიაში განვითარებული მოვლენების მსგავსი სცენარი, დემონსტრაციების დაწყებისთანავე გაზარდა სოციალური ხარჯები და იმავე წელს საკონსტიტუციო რეფორმები განახორციელა. ცვლილებების თანახმად, მეფეს გარკვეული პოლიტიკური ძალაუფლება შეეზღუდა. კერძოდ, საკონსტიტუციო ცვლილებებით მეფე ვალდებულია პრემიერის პოსტზე დანიშნოს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელი და არა მისთვის სასურველი ნებისმიერი კანდიდატი. ასევე, პრემიერ-მინისტრს მიენიჭა ხელისუფლების წარმომადგენელთა დანიშვნა-მოხსნის უფლება, რაც მანამდე მხოლოდ მეფის პრეროგატივა იყო. ახალ პარლამენტს უფლება ეძლევა, ერთი მეხუთედის თანხმობის შემთხვევაში, გამოძიება დაიწყოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაკავშირებით.

2011 წელს, საპროტესო გამოსვლებიდან რამდენიმე თვეში, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ქვეყნის მთავრობას 5 წლის ვადით „სამართლიანობისა და განვითარების“ ზომიერი ისლამისტური პარტია ჩაუდგა სათავეში.

მაროკოს პარლამენტი შედგება ორი ნაწილისგან:

- წარმომადგენელთა (ქვედა) პალატა, რომელიც აერთიანებს 395 წევრს. აირჩევა პირდაპირი წესით.
- მრჩეველთა (ზედა) პალატა, რომელიც შედგება 270 წევრისგან.

395 წევრიანი ქვედა პალატის არჩევა/დაკომპლექტება ხდება ორი ნაწილად: 305 ადგილი შევსება ხდება არჩევნებში 92 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქებში პროპორციული ხმის მიცემით (გადასალახი ბარიერი შეადგენს 6%-ს), ხოლო დარჩენილი 90 ადგილი აირჩევა ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მეშვეობით (საარჩევნო ბარიერი შეადგენს 3%-ს), აქედან 60 ადგილი კვოტირებულია ქალი კანდიდატებისთვის, 30 კი - 40 წელს ქვემოთ კანდიდატებისთვის. მაროკოს ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით, არც ერთ პარტიას არ შეუძლია შეადგინოს აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში. პარტიებს ევალებათ კოალიციური მთავრობის ფორმირება.

2016 წლის 7 ოქტომბერის არჩევნებზე, 395 ადგილისთვის 30 პარტიის ფარგლებში დაახლოებით 7 ათასი კანდიდატი იყრიდა კენჭს. ამომრჩეველთა აქტიურობამ 43% შეადგინა. საუკეთესო შედეგი, 125 ადგილის მოპოვებით, კვლავ „სამართლიანობისა და განვითარების“ ზომიერმა ისლამისტურმა პარტიამ აჩვენა. მისი მთავარი საარჩევნო მესიჯი ანტიკორუფციული პოლიტიკა იყო. მისი ძირითადი მოწინააღმდეგე – „ნამდვილობისა და თანამედროვეობის“ პარტია, 102 ადგილით არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა. აღნიშნული პარტიის დამფუძნებელი მეფის ახლო მეგობარი და მოკავშირეა. პარტია წარმოადგენს ისლამისტების ლიბერალურ ალტერნატივას, შესაბამისად საარჩევნოდ მისი პროგრამა „ისლამიზაციის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. მესამე ადგილი, 46 მანდატით, მაროკოს უძველესმა პარტია „დამოუკიდებლობამ“ („ისთიკლალ“) დაიკავა.



მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ცალკეულ დარღვევებსა და მოსყიდვის ფაქტებს, საერთაშორისო შეფასებით, არჩევნებმა მშვიდ, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩაიარა.

არჩევნების შემდეგ, გამარჯვებული პარტიის ხელმძღვანელი აბდელილა ბენკირანი მეფე მუჰამედ VI–მ კვლავ პრემიერ–მინისტრის პოსტზე დატოვა და მთავრობის ფორმირება დაავალა. მას შემდეგ, რაც „ნამდვილობისა და თანამედროვეობის პარტიამ" უარი განაცხადა კოალიციური მთავრობის წევრობაზე, ბენკირანის პარტიამ მთავრობის ფორმირებისთვის თანამშრომლობა დაიწყო სხვა, შედარებით მცირე, პარტიებთან.

"სამართლიანობა და განვითარება" წარმოადგენს ზომიერ ისლამისტურ პარტიას, თუმცა ქვეყნის მთავარმა ოპოზიციურმა ისლამისტურმა ჯგუფმა „სამართლიანობისა და სულიერების ასოციაციამ", რომელიც 2011 წლის საპროტესტო გამოსვლებს ხელმძღვანელობდა, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მეფის ძლიერი გავლენისა და ძალაუფლების პროტესტის ნიშნად. მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა და საკონსტიტუციო ცვლილებებისა, რომლის თანახმადაც გარკვეული უფლებები პრემიერ–მინისტრს გადაეცა, მაროკოში მთავარი გადაწყვეტილების მიმღებ პირად კვლავ მეფე რჩება.

გამოყენებული მასალები:

1. http://www.ipu.org/parline-e/reports/2221_B.htm
2. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/mo.html
3. http://www.aljazeera.com/news/2016/09/morocco-elections-voting-parliament-160930135431653.html
4. http://www.economist.com/news/middle-east-and-africa/21708688-challenge-provide-more-modernity-and-authenticity-elections-morocco
5. http://www.reuters.com/article/us-morocco-election-tally-idUSKCN1280EP

6. http://www.wsj.com/articles/moroccan-islamist-party-wins-new-mandate-in-elections-1475929823
7. https://www.yahoo.com/news/islamists-win-morocco-parliamentary-elections-provisional-results-011355834.html
8. http://www.euronews.com/2016/10/08/moderate-islamists-win-elections-in-morocco
9. http://www.iimes.ru/?p=17529
10. https://www.washingtonpost.com/world/africa/observers-moroccan-election-overall-fair-but-turnout-low/2016/10/09/c5e0ad76-8e0a-11e6-bc00-1a9756d4111b_story.html

ინგა ინასარიძე

იემენის სამოქალაქო ომი

საპროტესტო გამოსვლები იემენში 2011 წელს, „არაბული გაზაფხულის“ ტალღის გავრცელებისთანავე დაიწყო. წლების განმავლობაში ვითარება სულ უფრო უარესდებოდა, რამაც ქვეყანა საბოლოოდ, 2015 წელს, სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. კონფლიქტის მოგვარებას მასში რამდენიმე მხარის მონაწილეობა ართულებს. ერთმანეთთან დაპირისპირებული სხვადასხვა ჯგუფები შეიძლება ორ ძირითად ბანაკად დაიყოს:

1. ჰუთიები და მათი მოკავშირე, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ალი აბდულა სალეჰი;
2. იემენის ლეგიტიმური ხელისუფლება პრეზიდენტ მანსურ ჰადის ხელმძღვანელობით, რომელსაც საუდის არაბეთის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს.

ძალაუფლებისთვის შიდა მოწინააღმდეგეების ბრძოლის გარდა, კონფლიქტში გარე ძალების ჩართულობა სერიოზულ გავლენას ახდენს როგორც ქვეყანაზე, ისე რეგიონის უსაფრთხოებაზე.

ჰუთიები - ეს არის ტომობრივი გაერთიანება, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა „ანსარ ალლაჰ“ (ალაჰის მიმდევრები). ისინი წარმოადგენენ შიიზმის განშტოება/სექტის – ზაიდიზმის მიმდევრებს. ზაიდიტები შეადგენენ იემენის მოსახლეობის ერთ მესამედს. სახელწოდება ჰუთიები მათ აიღეს ჰუსეინ ბადრ ალ-დინ ალ-ჰუთისგან, რომელიც ხელმძღვანელობდა 2004 წლის ამბოხებას. მისი მიზანი საადას პროვინციის ავტონომიის გამოცხადება და ზაიდიტების რელიგიური და კულტურული ტრადიციების სუნიტებისგან დაცვა იყო. მას შემდეგ, რაც 2004 წელს ალ-ჰუთი მოკლულ იქნა, მისმა ოჯახმა განაგრძო იგივე საქმიანობა და მოაწყო 5 ამბოხი, სანამ 2010 წელს ხელისუფლებასთან არ იქნა ხელმოწერილი შეთანხება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

2011 წელს, „არაბული გაზაფხულის“ ტალღის დაწყებისას, ჰუთიები შეუერთდნენ ანტისაპრეზიდენტო საპროტესტო გამოსვლებს. 2012 წელს ალი სალეჰი მისი საგარეო მოკავშირეების რჩევის/მოთხოვნის შედეგად, 34 წლიანი მმართველობის შემდეგ, გადადგა. ხოლო ხელისუფლება სალეჰმა, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს მიერ შემუშავებული შეთანხმების საფუძველზე, მის ვიცე–პრეზიდენტს – მანსურ ჰადის გადასცა.

ცვლილების მიუხედავად, ჰუთიების უკმაყოფილებას იწვევდა ახალი პრეზიდენტის ხელისუფლებაც. მ. ჰადისგან ისინი რეფორმებს ითხოვდნენ, რომლებიც მათ საპარლამენტო კონტროლის უფლებას მისცემდა. მათ პოლიტიკურ ძალად არ აღიარებას მოჰყვა შეიარაღებული გამოსვლები დედაქალაქის რაიონებში 2014 წლის შემოდგომიდან. სამთავრობო ჯართან შეტაკებებიდან რამდენიმე დღეში მათ დედაქალაქ სანას და სხვა ქალაქების დაკავება შეძლეს. 2015 წლის იანვარში მას შემდეგ, რაც გადაწყდა იემენის 6 ფედერალურ რეგიონად დაყოფა უკმაყოფილო ჰუთიებმა (თვლიდნენ რომ ამგვარად მათი პოზიციების სუსტდებოდა) პრეზიდენტის რეზიდენცია დაიკავეს და დაითხოვეს პარლამენტი.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტს და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს შიდაპატიმრობა მიუსაჯეს ქვეყანაში პოლიტიკური ვაკუუმი შეიქმნა. ამასთან, ჰუთიები წარმოადგენენ შიიტ უმრავლესობას ქვეყნის ჩრდილოეთით, ამიტომ მათ მიერ გამოცემული ბრძანებულება არ უღიარებით სუნიტურ ტომებს ქვეყნის სამხრეთით, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ქაოსი ქვეყანაში.

პრეზიდენტმა მ. ჰადიმ მოახერხა ადენში გაქცევა და იგი დე-ფაქტო დედაქალაქად გამოაცხადა. სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე ორად გაიყო ქვეყნის შეიარაღებული ძალებიც, რადგან შეიარაღებულ ძალებში სერიოზულ გავლენას ინარჩუნებდა ყოფილი პრეზიდენტის, სალეჰის ვაჟი.

მას შემდეგ, რაც ჰუთიებმა ჩაკეტეს პრეზიდენტის მთავარი დასაყრდენი ქ. ადენში, 2015 წლის 26 მარტს მ. ჰადის თხოვნის საფუძველზე საუდის არაბეთმა სამხედრო ინტერვენცია განახორციელა იემენში ჰუთიების წინააღმდეგ. საჰაერო იერიშების პარალელურად, საუდის

არაბეთმა კოალიციის შექმნის შესახებ განაცხადა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპარსეთის ყურის თანამრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნები (ომანის გარდა), ეგვიპტე, სუდანი, იორდანია, მაროკო და პაკისტანი.

ოპერაციის - კოდური სახელწოდებით „გადამწყვეტი შტორიმი“ (Decisive Storm)- მიზანს წარმოადგენდა იემენის ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენა და ქვეყანაში ჰუთიების ექსპანსიის შეჩერება. საუდის არაბეთის გადაწყვეტილებით იმავე წლის 21 აპრილს ოპერაცია დასრულდა. კონფლიქტის ორივე მხარე თავს გამარჯვებულად აცხადებდა, თუმცა რეალურად არავის არ მიუღწევია შედეგისთვის. ოპერაციის დასრულებით, საუდის არაბეთს არ შეუწყვეტია მისი სამხედრო მოქმედება იემენში. 22 აპრილს მან მეორე ოპერაცია დაიწყო, კოდური სახელწოდებით „იმედების აღდგენა” (Restorign Hopes), რომელიც ამ დრომდე მიმდინარეობს.

ჰუთიებსა და ლეგიტიმურ მთავრობას შორის კონფლიქტი მიჩნეულია, როგორც **სუნიტურ საუდის არაბეთსა და შიიტურ ირანს** შორის დაპირისპირების ნაწილად. სპარსეთის ყურის ქვეყნები, ისევე როგორც აშშ, ირანს ადანაშაულებენ ჰუთიების ფინანსურ და სამხედრო დახმარებაში. ერთ-ერთი ვერსიით, ირანი ერითრეას კუნძულებზე არსებულ ბანაკებში ამზადებდა მათ, ხოლო შეიარაღებას ერითრეას მთავრობის დახმარებით აწვდიდი. ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს სამივე მხარე (ირანი, ჰუთიები, ერითრეა). სხვა ვერსიის თანახმად, ჰუთებისთვის იარაღის მიწოდებას ირანი ომანის ტერიტორიის გამოყენებით ახდენდა. ოფიციალური თეირანის განცხადებით, იგი პოლიტიკურად მხარს უჭერს ჰუთიებს, მაგრამ უარყოფს მათთვის ფინანსური და შეიარაღებით დახმარების გაწევას. გარდა იმისა, რომ საუდის არაბეთის სურს მეზობელ ქვეყანაში მისდამი ლოიალური სუნიტური რეჟიმის არსებობა, მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შეტაკებები კოალიციასა და ჰუთიებს შორის ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს საზღვართან. რაც საფრთხეს უქმნის საუდის არაბეთის სამხრეთ ნაწილს, სადაც ძირითადად თავმოყრილია ნავთობის მარაგები. იემენი ითვლება საუდის არაბეთის უახლესი ისტორიის ყველაზე ამბიციურ საგარეო პოლიტიკურ პროექტად. თუმცა, 2016 წლის განმავლობაში საზღვართან გააქტიურებული შეტაკებების შემდეგ, სამეფოს შიგნით საკმაოდ იზრდება ეჭვები იემენში ოპერაციის წამოწყების რაციონალურობაზე.

იემენში მიმდინარე მოვლენები მისი უშუალო მეზობლების გარდა, წარმოადგენს დასავლეთისა და რეგიონის დაინტერესების საგანს, სტრატეგიული ბაბ ალ-მანდების სრუტის გამო. აღნიშნული სრუტე წყლის ვიწრო გასასვლელს წარმოადგენს წითელ ზღვასა და ადენის სრუტეს შორის, რომლის გავლითაც ხორციელდება მსოფლიოში ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაზიდვა. ჰუთიების მიერ ამ ტერიტორიის დაკავებამ შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეუქმნას ნავთობის ექსპორტის ამ მარშრუტის უსაფრთხოებას.

იემენში მდგომარეობის დარეგულირებასა და კონფლიქტის გადაჭრას მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი მთავარი ბანაკის დაპრისპირება არ უშლის ხელს. ქვეყნის სამხრეთით არსებული „სამხრეთის მოძრაობა“ იგივე „ალ-ჰირაკი“ არ ემორჩილება არც ერთ მხარეს. პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც 2007 წლიდან არის აქტიური, იემენისგან დამოუკიდებლობას ან ავტონომიის მოთხოვნით გამოდის.

ხელისუფლებისთვის ბრძოლის გარდა, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანეს საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები. **„ალ–ქაიდას“** წარმომადგენლობა არაბეთის ნახევარკუნძულზე **(AQAP),** რომელიც იემენში მოქმედებს, ორგანიზაციის ყველაზე ძლიერ ფრთად ითვლება რეგიონში.

ვითარება კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც იემენში **„ისლამური სახელმწიფოს“** დანაყოფები გაჩნდა. 2015 წელს ქვეყანაში მოქმედმა რამდენიმე ისლამისტურმა ჯგუფმა ერთგულება აღუთქვეს „ისლამურ სახელმწიფოს“ და ტერაქტების მოწყობაც შეძლეს.

ომმა, საჰაერო რეიდებმა, საჰაერო და საზღვაო ბლოკადამ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა. საუდის არაბეთის მიერ წარმოებულმა საჰაერო და საზღვაო ომმა იემენის აეროპორტები და საზღვაო პორტები ჩაკეტა. იმის გათვალისწინებით, რომ იემენი საკვების 90%-ს იმპორტით შეიძენს, კიდევ უფრო გაუარესდა ვითარება. გაეროს შეფასებით, იემენში მესამე ხარისხის ჰუმანიტარული კრიზისია, რაც უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

დაპირისპირებული მხარეები პერიოდულად იღებენ ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, თუმცა მხოლოდ მცირე ვადით და კონკრეტული შედეგების გარეშე. ამ დრომდე ვერ ხერხდება კონფლიქტის სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად დარეგულირებაც.

2016 წლის სექტემბრის დასაწყისში ომანში აშშ–ის დახმარებით გაიმართა მორიგი სამშვიდობო მოლაპარაკებები. აშშ–მა ჰუთიებს წარუდგინა ცეცხლის შეწყვეტის გეგმა/შეთავაზება. მოლაპარაკებები გაგრძელდება იემენში, ჰუთიების მიერ კონტროლირებად დედაქალაქ სანაში. სამშვიდობო მოლაპარაკებები მას შემდეგ დაიწყო, რაც ჰუთიებმა და ა. სალეჰის პარტიამ მ.წ. 6 აგვისტოს, რომ 10 წვერისგან შემდგარი სამთავრობო საბჭოს ფორმირება გამოაცხადეს, მიუხედავად გაეროს გაფრთხილებისა, რომ ამგვარ მოქმედებას შესაძლოა ხელი შეეშალა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებასა და გარდამავალი მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით, მიღებული რეზოლუციის განხორციელებისთვის.

გამოყენებული მასალები:

1. http://www.reuters.com/investigates/special-report/saudi-military/
2. http://www.reuters.com/article/us-yemen-security-iran-idUSKCN12K0CX
3. http://www.reuters.com/article/us-yemen-security-economy-widerimage-idUSKCN1241K4
4. http://noref.no/Regions/Middle-East-and-North-Africa/The-Gulf/Publications/Decisive-Storm-Saudi-Arabia-s-attack-on-the-Houthis-in-Yemen
5. http://english.ahram.org.eg/NewsContent/2/8/132655/World/Region/Iranian-support-to-Houthis-via-Eritrea-Allegations.aspx
6. https://www.alaraby.co.uk/english/news/2016/10/14/oman-denies-iranian-weapons-smuggled-to-houthis-through-country
7. http://america.aljazeera.com/articles/2015/4/10/kerry-accuses-iran-of-yemen-meddling-but-level-of-its-support-unclear.html
8. http://www.iimes.ru/?p=24303
9. http://www.reuters.com/article/us-yemen-security-islamicstate-insight-idUSKCN0PA1T920150630
10. http://www.nytimes.com/2015/12/15/world/middleeast/islamic-state-gains-strength-in-yemen-rivaling-al-qaeda.html?_r=0
11. http://www.al-monitor.com/pulse/originals/2015/05/yemen-operation-decisive-storm-end-saudi-arabia-iran.html
12. http://www.al-monitor.com/pulse/originals/2015/05/iran-saudi-houthis-yemen.html
13. http://www.al-monitor.com/pulse/originals/2015/06/yemen-war-houthis-saudi-arabia-decisive-storm-death-toll.html
14. http://www.al-monitor.com/pulse/originals/2015/07/yemen-houthi-saleh-saudi-arabia-humanitarian-relief.html
15. https://english.alarabiya.net/special-reports/yemen-under-occupation.html

სიმონ გურეშიძე

რუსეთის სპეცსამსახურები და გლობალური ტერორისტული ორგანიზაციები

ალ-კაიდა

გასული წლის ივნისში საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ჯონ რ. შინდლერმა ალ-კაიდასა და რუსეთის სპეცსამსახურების ურთიერთობის შესახებ. თავად შინდლერის პრაქტიკა აღნიშნულ საქმიანობაში ორ ათწლეულს მოიცავს, იგი არის აშშ-ს საზღვაო ომის კოლეჯის პროფესორი და სტუდენტები გადიან მის მიერ მომზადებულ კურსებს უსაფრთხოების, სტრატეგიის, დაზვერვისა და ტერორიზმის საკითხებში, ასევე ასწავლის სამხედრო ისტორიასაც. მანამდე იგი მუშაობდა ეროვნული უსაფრთხოების ზეგასაიდუმლოებულ სააგენტოში დაზვერვის სამსახურის ანალიტიკოსად და ოფიცრად.

ალ-კაიდას შესახებ უამრავი გამოკვლევა დაიწერა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად მრავალი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი და გასაიდუმლოებულია. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ამ ორგანიზაციის კავშირები უცხოურ სადაზვერვო სამსახურებთან. ჯერ-ჯერობით რაც ცნობილია, არის ის, რომ ალ-კაიდას წევრებს სხვადასხვა დროს ჰქონდათ ურთიერთობა საუდის არაბეთის, სუდანის, ირანის, ერაყის და ბოსნიის სპეცსამსახურებთან. ამ საკითხზე მცირე დეტალები მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ყველა მხარემ გადაწყვიტა რომ მედიის საშუალებით ნაწილობრივ სააშკარაოზე გამოეტანათ დაფარული ინფორმაციები.

აღნიშნული საკითხის ყველაზე ბურუსით მოცული მხარე არის რუსეთის სადაზვერვო სამსახურისა და ალ-კაიდას კავშირები. მიუხედავად იმისა რომ ამ ურთიერთობის ცალკეული დეტალები მოსკოვმაც და მოჯაჰედებმაც აღიარეს, მრავალი რამ მაინც გაურკვევლად რჩება.

შინდლერის სტატიის მიხედვით, აიმან აზ-ზავაჰირი, უსამა ბენ-ლადენის მარჯვენა ხელი და 2011 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, გლობალური ჯიჰადის ორგანიზაციის ლიდერი, 1990-იანი წლების შუა პერიოდში ნახევარი წლის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდათ რუსეთის სპეცსამსახურებს. შინდლერი თავის სტატიაში სწორედ ამ ეპიზოდს უკავშირებს ალ-კაიდას სტრატეგიის განვითარებას აშშ-ს წინააღმდეგ და თვით 11 სექტემბრის ტერაქტსაც. 1996 წლის პირველ დეკემბერს ზავაჰირი დააკავეს რუსეთის სამხრეთში, როდესაც იგი ცდილობდა ჩეჩნეთში შეღწევას. მას მიაცილებდა ორი ეგვიპტელი რადიკალი და ერთი ჩეჩენი გამყოლი. ეგვიპტელები ძებნილებად იყვნენ გამოცხადებული თავიანთ ქვეყანაში და ყველა მათგანი გადაადგილდებოდა შეცვლილი გვარ-სახელებით. თავად ზავაჰირის ჰქონდა აბდ ალლაჰ იმამ მუჰამმად ამინის სახელზე სუდანში გაცემული პასპორტი და მასში იყო მრავალი ქვენის შტამპები - მათ შორის იემენის, მალაიზიისა და სინგაპურის. ზემოთ ნახსენები ეგვიპტელები კი იყვნენ დაჯგუფება „ეგვიპტის ისლამური ჯიჰადის“ ვეტერანები. ამ ეგვიპტელებიდან ერთ-ერთი, აჰმად სალამა მაბრუქი, თავს აფარებდა აზერბაიჯანს სავაჭრო ფირმის Bavari-c-ს საფარველის ქვეშ, ხოლო მეორე მაჰმუდ ჰიშამ ალ-ჰანავი კი ეწეოდა ჯიჰადისტურ საქმიანობას აზიის ზოგიერთ რეგიონში (წყაროში ტერიტორიები არ არის დაკონკრეტებული). სამივე მათგანი საფუძვლიანად დაკითხეს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) თანამშრომლებმა. დაკავებული სამი „ბიზნესმენის“ გათავისუფლების თხოვნით მომზადებულ მიმართვას ოცდაექვსმა იმამმა მოაწერა ხელი, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა რუსეთის ხელისუფლება „სატანის მსახურებაში“ დაადანაშაულა, რადგან, მათი განცხადებით, ქვეყანაში მოსალოცად ჩასულ მუსლიმებს შეუშალეს ხელი.

რუსეთის სპეცსამსახურებს კი ჰქონდათ დაკავებულთა ლეგენდაში ეჭვის შეტანის მიზეზი, რადგან მათ თან აღმოაჩნდათ საბანკო ანგარიშები ჰონგკონგში, ჩინეთში, მალაიზიაში და აშშ-შიც (სენტ-ლუისში), ასევე ნაღდი ფული შვიდ სხვადასხვა ვალუტაში. „მისტერ ამინი“ - ზავაჰირი, სუდანური პასპორტის მიხედვით, რუსეთში ჩავიდა ორი დაბეჭდილი სერთიფიკატით, რომლის თანახმადაც დამთავრებული ჰქონდა კაიროს უნივერსიტეტის

მედიცინის ფაკულტეტი სხვადასხვა დროს. უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის გამოძიებამ კი დაადგინა, რომ კომპანია Bavri-c ბაქოში არ არსებობდა. რუსი რადიკალი მუსლიმები, მათ შორის ერთ-ერთი სახელმწიფო დუმის წევრი (წყაროში დაკონკრეტებული არ არის) მოითხოვდნენ დაკავებულთა გათვისუფლებას და ამას იმით ხსნიდნენ, რომ ჩამოსულებს სურდათ „საკვები პროდუქტებით ვაჭრობის ბაზრის“ შესწავლა. მათ უფლებებს კი იცავდნენ ცნობილი არაბი მოჯაჰედები, მათ შორის სალაჰ შეჰათა, რომელიც მოგვიანებით გახდა „ეგვიპტის ისლამური ჯიჰადის“ ხელმძღვანელი. შეჰათამ, როდესაც დაკავებულ „ამინთან“ შეხვედრის უფლება მოიპოვა, პატიმარმა მას გადასცა დაშიფრული წერილი, ხოლო უშიშროების ძალები შემდგომ ამტკიცებდნენ, რომ დაკავებულს საკანში უპოვნეს 3000 დოლარი ნაღდი ფული, (სავარაუდოდ, ეს თანხა შეჰათამ გადასცა ზავაჰირის ციხის პერსონალის მოსასყიდად, რათა მას გაეუმჯობესებინა პატიმრობის პირობები ან მათი მეშვეობით დაემყარებინა კავშირი გარესამყაროსთან. შესაძლოა მათ იცოდნენ რუსეთში გამეფებული კორუფციისა და ციხეებში არსებული ასეთი პრაქტიკის შესახებ.-ს.გ.). საქმე საბოლოოდ სასამართლომდე მივიდა 1997 წლის აპრილში. პროცესზე „ამინი“ ამტკიცებდა, რომ რუსეთში ჩავიდა ტყავზე, მედიკამენტებსა და სხვა საქონელზე ფასის გაგების მიზნით. ბრალდების მხარის მოთხოვნა იმაზე, რომ დაკავებულებისთვის შეეფარდებინათ სამწლიანი პატიმრობა, სასამართლომ უარყო და დაკავებულებს მიესაჯათ ექვსთვიანი პატიმრობა. ვადის გასვლის შემდეგ ყველა მათგანი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ, ზავაჰირი ათი დღის განმავლობაში საიდუმლოდ ხვდებოდა ისლამისტებს დაღესტანში, სავარაუდოა რომ სწორედ ეს იყო მისი ჩამოსვლის თავდაპირველი მიზანი. მცირე დროის გავლის შემდეგ, ზავაჰირი დაუკავშირდა ბენ ლადენს (მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომის დროს გაიცნეს, 1989 წლიდან კი, როდესაც ბენ ლადენსა და აბდ ალლლაჰ აზზამის მიერ 1984 წელს დაარსებული „ალ-მაქთაბი“ და ეგვიპტური „ალ-ჯიჰადი“ ალ-კაიდაში გაერთიანდა, მათი კავშირები უფრო გაღრმავდა. ზავაჰირი ამ ორგანიზაციის იდეოლოგი გახდა). სწორედ აქედან დაედო საფუძველი 11 სექტემბრის ტერაქტს - მიიჩნევს შინდლერი.

ზავაჰირის რუსეთში პატიმრობის პერიოდი გასაიდუმლოებული იყო. თავად დაკავებული შემდგომში ამას ასე ხსნიდა: „ღმერთმა დააბრმავა ისინი და ვერ მოახდინეს ჩემი იდენტიფიცირება“. რუსეთის სპეცსამსახურებიც ადასტურებდნენ, რომ მათ თავიდან არ იცოდნენ ვინ ჰყავდათ დაკავებული. 2003 წელს ФСБ-ს წარმომადგენლმა განაცხადა რომ მათ მოგვიანებით შეძლეს პატიმრის იდენტიფიცირება. თუმცა, ოფიციალური განმარტებები ამ საქმესთნ დაკავშირებით ბევრ კითხვას ბადებს. პირველ რიგში, ზავაჰირი იმ პერიოდში იყო ძებნილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელმაც ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათის მკვლელობაში 1981 წელს და ეს ამბავი არაერთი ქვეყნის ტელევიზიამ გააშუქა თავის დროზე. ასევე ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა საფუძვლიანად არ გამოიკვლიეს კონფლიქტის ზონაში შესული სამი გაურკვეველი წარმომავლობის არაბის შესახებ დეტალები და ბოლომდე არ შეისწავლეს მათთვის ჩამორთმეული პორტატიული კომპიუტერები. ერთადერთი, რისი ვარაუდიც შეიძლება, არის ის, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა ზავაჰირის წამების შედეგად ათქმევინეს საჭირო საიდუმლო ინფორმაცია. 1980-იან წლებში მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი, როდესაც ეგვიპტის სპეცსამსახურებმა აწამეს იგი და შემდეგ ზავაჰირმა თავის საქციელი მოინანია. თუმცა, არცერთ მკვლევარსა და კონსპირაციული საკითხების თეორიტიკოსს არ დაუსვამს დეტალური კითხვები ამ საქმეზე. ამასთან, ის ვერსია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა დაამყარეს ურთიერთობა ზავაჰირისთან ფანტასტიკურად და საფუძველს მოკლებულად მიაჩნიათ თვითონ დასავლეთშიც, თუმცა საკითხი არცთუ ისე რთულად დასაჯერებელია, რადგან ჯერ კიდევ ცივი ომის დროს საბჭოთა სპეცსამსახურებში გავრცელებული პრაქტიკა იყო ახლო აღმოსავლეთის ტერორისტულ დაჯგუფებებთან კავშირების დამყარება. გარდა ამისა, ამ საკითხებში ჩახედული სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ მოსკოვის ნაცადი პრაქტიკა ტერორიზმთან ბრძოლაში არის პროვოკაციების მოწყობა. ამით კი შეიძლება აიხსნას რუსული მხარის ურთიერთობა ალ-კაიდასთან. ამას მოწმობს და ამით აიხსნება ზავაჰირისთვის მხოლოდ

ექვსთვიანი პატიმრობის შეფარდება და შემდგომში დაუყოვნებლივ გათავისუფლება. ФСБ-ს ყოფილმა პოლკოვნიკმა, ალექსანდრ ლიტვინენკომ რომელიც თავის დროზე დასავლეთში გაიქცა, 2005 წელს გამაოგნებელი განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც ზავაჰირი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მომზადებას გადიოდა დაღესტანში ექვსი თვის განმავლობაში და შემდგომ დააბრუნეს ავღანეთში. „მე ФСБ-ს იმავე განყოფილებაში ვმუშაობდი და მაქვს იმის საფუძვლები განვაცხადო, რომ მხოლოდ ზავაჰირი არ რის ФСБ-სა და ალ-კაიდას დამაკავშირებელი რგოლი“, განაცხადა ლიტვინენკომ. მისი განცხადების სიმართლის დადასტურება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ამ პიროვნების პოლონიუმ 210-ით მოწამვლა აღნიშნული ინფორმაციის გაცემიდან ერთ წელიწადში, მეტ-ნაკლებად ადასტურებს ამ ფაქტს. ასევე მნიშვნელოვნია იმის აღნიშვნაც, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის დასაწყისში, რუსეთის დაზვერვის სამსახურებს მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ჩრდილო კავკასიელ რადიკალ ისლამისტებთან, მათ შორის ისეთებთანაც, რომლებიც შემდგომში მოჯაჰედთა ლიდერები გახდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია შამილ ბასაევი, ჩეჩენ მოჯაჰედთა ყოფილი ემირი, რომელიც 1990 წელს მსახურობდა რუსეთის ფედერაციის მთავარ სადაზვერვო სამმართველოში (ГРУ). აქვე შინდლერი იმასაც აღნიშნავს, რომ 1992-93 წლებში ბასაევი და მისი ძმა შირვანი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ შამილ ბასაევი მრავალი წლის განმავლობაში ძებნილად ითვლებოდა და მას მიაწერდნენ რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარ არაერთ ტერაქტს, მკვლევარები აღარ დაობენ მის თანამშრომლობაზე რუსეთის სპეცსამსახურებთან. ჩეჩენი საერო მმართველობის მომხრეები უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ მოსკოვი და მოჯაჰედები თანამშრომლობენ და მათი ამ კავშირის მიზანია ჩეჩნეთის ნაციონალური იდეოლოგიის დისკრედიტაცია და ამ იდეის ექსტრემიზმად და ტერორიზმად მონათვლა. ზომიერი ჩეჩენი იმამები კი იძულებით ინარჩუნებენ კავშირებს უფრო რადიკალ მუსლიმებთან, რადგან მათ მიიჩნევენ რუსეთიდან მართულ პროვოკატორებად. რადიკალ ისლამისტებსა და რუსულ სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობა კავკასიაში ხელს შეუწყობს საბჭოთა/რუსულ ტრადიციულ მეთოდიკას პროვოკაციების გზით ტერორიზმთან ბრძოლაში. 1999 წლის აგვისტოში დაღესტანში შეჭრა შამილ ბასაევის მიერ, რამაც გამოიწვია ჩეჩნეთის მეორე ომი მოსკოვმა ამ აქციას უწოდა „ალ-კაიდას ვაჰაბიტური აგრესია“, გამოიყენა ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყების საბაბად, რომელიც ამჯერად უკვე თავის სასარგებლოდ დაასრულა. ბასაევს ბრალი ედებოდა დაღესტანში შეჭრასა და რუსეთში საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებაში, თუმცა, აღნიშნულ საქმეებში ФСБ-ს ჩართულობა ჯერ კიდევ ტაბუდადებული თემაა რუსეთში.

რუსული სპეცსამსახურებისა და ალ-კაიდას ურთიერთკავშირის შესახებ დასკვნების გამოტანა კიდევ ერთი დეტალით არის შესაძლებელი, ზავაჰირი არაფერს ამბობს მისი ექვსთვიანი პატიმრობის შესახებ და მძაფრად აკრიტიკებს რუსეთსა და მის პოლიტიკას, ხშირად იყენებს მწვავე ტერმინებსაც. ამასთან, იგივე სტილში საუბრობს ირანის შესახებაც, თუმცა სპეციალისტები ირწმუნებიან რომ 1996 წლიდან დღემდე მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს ირანის დაზვერვის სამსახურთან. მასთან ერთად მყოფი ორი ეგვიპტელისგანაც შეუძლებელია მეტი დეტალების გაგება, რადგან მაჰმუდ ჰიშამ ალ-ჰანავი გათავისუფლების შემდეგ დარჩა კავკასიაში. მას 1998 წელს ბრალი წაუყენეს ტერორიზმში ეგვიპტეში და დაუსწრებლად მიუსაჯეს ათწლიანი პატიმრობა, გავრცელებული ცნობების თანახმად, იგი მოკლეს ჩეჩნეთში 2005 წელს. აჰმად სალამა მაბრუქი 1998 წელს დააპატიმრეს აზერბაიჯანში ტერორიზმის ბრალდებით და გადასცეს ეგვიპტეს, სადაც იგი გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს. რუსეთის მხარემ კი მხოლოდ მოკლე განცხადება გაავრცელა 2003 წელს და დანარჩენ საკითხებზე კი კვლავ დუმილს ინარჩუნებს. იმის მტკიცება, რომ ალ-კაიდასა და რუსულ მხარეს შორის რაიმე სახის ფორმალური ურთიერთობა არსებობს, ნაკლებად რეალურია. ამ ორგანიზაციის წევრებს, როგორც ზემოთ ითქვა, მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურთან ჰქონიათ კავშირები, თუმცა ბოლომდე არცერთ მათგანს არ ექვემდებარებოდნენ. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, დასაშვებია იმის ვარაუდი, რომ გარკვეული სახის კონტაქტი მაინც დამყარდა ზავაჰირისა და ФСБ-ს შორის. ლოგიკურია ისიც, რომ

რუსეთში არსებული მრავალრიცხოვანი მუსლიმური თემის არსებობიდან გამომდინარე, რომელთა შორისაც უკმაყოფილოთა რიცხვი არცთუ ისე ცოტაა, მოსკოვი ეცდება კავშირები დაამყაროს ალ-კაიდასთან და ამ გზით ეცადოს მზარდი ისლამისტური რადიკალიზმის გაკონტროლება.

„ისლამური სახელმწიფო“

2015 წლის მაისში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადების შემდეგ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში არსებული სიტუაციით დაინტერესდა ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“. ამ მიზნით ტაჯიკეთში ჩავიდა „გარდიანის“ კორესპონდენტი საკითხის ადგილზე შესასწავლად.

ტაჯიკეთში ადგილობრივებთან დამყარებული პირადი კონტაქტების შედეგად გაირკვა, რომ ამ ქვეყნიდან მოსკოვში სამუშაოდ წასულ ადამიანებს ჩეჩნური დაჯგუფებები იდეოლოგიურად ამუშავებენ და იწვევენ „ის“-ს რიგებში საბრძოლველად. გამოკითხულებიდან ერთ-ერთი იყო ოლიმოვების ოჯახი. მათი ქალიშვილი გურლუ ოლიმოვა ცოლად გაჰყვა ვინმე ლოიკ რაჯაბოვს. აღნიშნული პირი სამუშაოს საძიებლად ხშირად მიემგზავრებოდა მოსკოვში მშენებლობაზე სამუშაოდ. ერთ-ერთი ასეთი მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ, მან სახლში აღმართა „ის“-ს შავი დროშა. 2014 წლის შემოდგომაზე კი ცოლ-შვილიც წაიყვანა რუსეთის დედაქალაქში, ხოლო მცირე დროის გავლის შემდეგ დაურეკა თავის სიდედრს უცნობი ნომრიდან და უთხრა, რომ ოჯახთან ერთად მიდიოდა სირიაში. ამის შესახებ მარაიმბ ოლიმოვამ დაუყოვნებლივ აცნობა ტაჯიკეთის ხელისუფლებას, მაგრამ არავითარი ზომები არ გატარებულა შესაბამისი უწყებების მხრიდან. „გარდიანის“ კორესპონდენტმა ასევე მოიპოვა ცნობები იმის შესახებაც, რომ ჩეჩნური დაჯგუფებების მიერ დაახლოებით 4000-მდე სამუშაოს მაძიებელი მიგრანტი იქნა გადაყვანილი სირიაში. ოლიმოვამ განაცხადა ისიც, რომ გასული წლის აპრილში მისმა ქალიშვილმა სატელეფონო საუბრის დროს უთხრა: მათ მისცეს 30000$ და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი 4 საძინებლით ალეპოში. მისი ქმარი არ ღებულობს მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში, მხოლოდ ამოწმებს საეჭვო მანქანებს ხომ არ გადააქვთ ალკოჰოლი და სიგარეტი, რადგან ეს საქონელი მკაცრად აკრძალა „ის“-მ. მათ ასევე უხდიან 35$-ს თვეში თითოეული ბავშვისთვის საჭირო მოვლა-პატრონობაზე (მათ სამი შვილი ჰყავთ) და გულრუს სწამს, რომ ხალიფატი ტაჯიკეთშიც შეაღწევს, რის შემდეგაც მუსლიმებს ალაჰი დაიფარავს. გამოცემის კორესპონდენტს სურდა გულრუს ფოტოს ნახვა, მაგრამ ქალის დედამ უარი განაცხადა, რადგან ამის გაკეთება სიძისგან აკრძალული ჰქონდა. 2014 წლის დეკემბერში ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რაჰმონმა „ის“-ს უწოდა „საუკუნის ჭირი და საფრთხე“, 2015 წლის აპრილში კი სერგეი ლავროვმა დაადასტურა მზარდი საფრთხის არსებობა. გავრცელებული ცნობების თანახმად, 2000 ტაჯიკი უკვე იბრძვის „ის“-ს რიგებში. ასევე ცნობილია ისიც, რომ ავღანეთ-ტაჯიკეთის საზღვარი ცუდად კონტროლდება, ავღანეთში კი „ხალიფატის“ ასამდე წევრი ამზადებს ტაჯიკებსა და უზბეკებს, წვრთნიან საკუთარ ქვეყანაზე თავდასხმის მიზნით და მათ ტაჯიკეთზე კონტროლის დამყარება ორ დღეში შეუძლიათ, განაცხადა ტაჯიკური გაზეთის რედატქორმა აჰმად იბრაჰიმმა. სწორედ ამ მიზნით, ტაჯიკეთი 70 მილიარდი რუბლით დააფინანსა რუსეთმა, რათა ამ ქვეყნამ შეძლოს ავღანეთთან არსებული 1300 კილომეტრიანი საზღვრის გამაგრება. მისივე განცხადებით, ტაჯიკი „ის“-ს ტაჯიკი მებრძოლები ექვემდებარებიან ნუსრატ ნაზაროვს რომელიც კულიაბიდან წარმოშობით - იმავე პატარა ქალაქიდან, საიდანაც ოლიმოვების ოჯახი. ნაზაროვი ასევე ცნობილია აბუ ხალიდ კულობის ფსევდონიმით და ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას მას უთხრა, რომ ეწეოდა მებრძოლთა რეკრუტირებას სირიაში და ასევე მზად იყო განეხორციელებინა შეტევა ტაჯიკეთის მიმართულებით ავღანეთიდან. ამის დამადასტურებელი ვიდეორგოლი ინტერნეტშიც არსებობდა, რომელიც მოგვიანებით წაშალეს. სამხედრო ფორმაში ჩაცმულ მებრძოლებთან ერთად ნუსრატი ამბობდა, რომ სირიაში უკვე იყო 200 ტაჯიკი მებრძოლი და მალე აღარავინ

დარჩებოდა ტაჯიკეთში, ხოლო შემდგომი მისი ვიდეომიმართვა იქნებოდა დუშანბედან ან კრემლიდან.

ნუსრატის ძმა ჰაირულო თავისუფლად გადაადგილდება კალიუბში და ტაქსის მძღოლობით ირჩენს თავს. მისი ნახვა ყველას შეუძლია ადგილობრივი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. თავისი ძმის აქტივობის შესახებ მან გაიგო მას შემდეგ, რაც დაკითხვაზე დაიბარეს ადგილობრივმა შესაბამისმა სამსახურებმა.

ჰაირულოს ძმის საქმიანობა არ გაკვირვებია და განაცხადა, რომ ნუსრატი მუდამ ილტვოდა მდიდრული და ადვილი ცხოვრებისკენ. 1993 წელს იგი ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ გაიქცა მოსკოვში და იქ მუშაობდა ნახევრად ლეგალური ტაქსოპარკის მძღოლად. ტაჯიკეთში დაბრუნდა 1999 წელს და ყიდდა კანაფს ბაზარში. 2005 წელს ის ჰეროინით ვაჭრობის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა ერთი წლის შემდეგ გათავისუფლდა და კვლავ გაემგზავრა მოსკოვში. დროთა განმავლობაში ის სულ უფრო რელიგიური ხდებოდა და 2013 წელს მოსკოვიდან ერთ-ერთი დაბრუნების შემდეგ მოუწოდებდა ყველას ებრძოლად ქაფირების (ურწმუნოების) წინააღმდეგ. მან ჰაირულოს გაუმხილა, რომ მოსკოვში იგი შეხვდა ჩეჩნებს მეჩეთში, რომლებმაც აუხილეს თავლები, დაანახეს „სწორი ისლამი“ და მისი აზრით საჭირო იყო ტაჯიკეთის შეცვლა. „ყველა ვინც კი მოსკოვიდან ბრუნდება ამბობენ: ჩეჩნები მშენებლობებსა და მეჩეთებში უხსნიან მიგრანტებს, რომ საჭიროა სირიაში წასვლა. ჩემი აზრით ყველას, ვინც იქ მიდის, სძულს რუსეთი, რადგან იქ თავის გატანა ძალიან ძნელია - ვერ იმუშავებ ისე თუ კანონი არ დაარღვიე, ხოლო „ის“-ში სთავაზობენ ფულს და თავისუფლებას, რატომ არ უნდა წავიდნენ? “- დაამატა ჰაირულომ. ფედერალური საემიგრაციო სამსახურის ოფიციალური ცნობების თანახმად, 2015 წლის აპრილში მილიონამდე ტაჯიკი ცხოვრობდა რუსეთში. ნაზაროვის ნაცნობები კულიაბიდან ამბობენ, რომ სირიაში ხვდებოდნენ მოსკოვიდან თურქეთის გავლით. საზღვარზე მათ ხვდებოდნენ „ის“-ს წარმომადგენლები, უტარებდნენ ინსტრუქტაჟს და ანაწილებდნენ ჯგუფებად ახლომდებარე ქალაქებში. უმეტესად ღაზიანტეპში, სირია-თურქეთის საზღვართან (თურქეთის ტერიტორია). ბოლო მონაცემებით, ნუსრატი იმყოფებოდა ქალაქ რაქქაში, სირიის ჩრდილოეთით, იქ იგი ცნობილია, როგორც ხორასანის დაჯგუფების ემირი და მისი მიზანია გაავრცელოს „ხალიფატის“ გავლენა ხორასნის ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს თანამედროვე სახელმწიფოებს - ავღანეთს, პაკისტანს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს და უზბეკეთს. 2015 წლის ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას იგი დაემუქრა ზემოთ ხსენებული გაზეთის რედაქტორს და აუკრძალა ტაჯიკი მებრძოლების ფოტოების გამოქვეყნება. „ჩვენ თავებს ვაჭრით ხალხს, ყველას გადაგწვავთ და ამის გამკეთებელი ხალხი გვყავს“, განუცხადა ნუსრატმა რედაქტორს.

დამუშავებული მასალების განაალიზებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული და არსებობს იმის ვარაუდის მაღალი საფუძველი, რომ ტაჯიკეთში მოქმედ ჩეჩნურ დაჯგუფებებს გააჩნდეთ გარკვეული სახის კავშირები რუსულ სპეცსამსახურებთან. ცნობილია, რომ სირიაში „ის“ სერიოზულ პრობლემებს უქმნის კრემლის მოკავშირე ასადის რეჟიმს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ФСБ ასეთი სახით ნერგავდეს აგენტურას „ხალიფატის“ რიგებში და ამ გზით აპირებდეს რეგიონში არსებული მზარდი რადიკალიზმის კონტროლს. თუკი ეს ვარაუდი, რასაც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მეტ-ნაკლებად ადასტურებს, სიმართლეს შეესაბამება, საკმაო საფრთხის წინაშე დგას საქართველოც. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსული სეცსამსახურების ნაცადი პრაქტიკაა პროვოკაციების მოწყობა. მსგავს ფაქტებს გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსული მხარე აქტიურად იყენებდა პოლიტიკური სპეკულაციებისთვის. ცნობილია რომ პანკისის ხეობაში შემოსული ლტოლვილების ნაკადში მრავლად იყვნენ ჩეჩენი რადიკალებიც, სწორედ მათი განეიტრალების მიზნით რუსულმა მხარემ არაერთხელ დაბომბა პანკისის ხეობა. სავარაუდო პროვოკაციების საფრთხე არათუ კლებულობს, არამედ შესაძლოა გაიზარდოს კიდეც. ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ გადამოწმდეს შესაბამისი სამსახურების მიერ ყველა ის ობიექტი რომელიც გახსნილი აქვთ მუსლიმ არაბებს (თბილისში ასევე იყვნენ ქრისტიანი კოპტი ეგვიპტელებიც - ისინი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ ამ მხრივ) საქართველოში, ასევე უნდა გაძლიერდეს კონტროლი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, რათა თავიდან იქნას

აცილებული შესაძლო პროვოკაციები. კერძოდ, ამა თუ იმ რადიკალების გადასვლა საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე და იქ ექსცესების მოწყობის შესაძლებლობა ნულამდე უნდა იქნას დაყვანილი.

დამუშავებული წყაროები:

1. http://www.theguardian.com/world/2015/may/05/isis-russia-syria-islamic-extremism http://20committee.com/about/
2. http://www.businessinsider.com/exploring-al-qaedas-murky-connection-to-russian-intelligence-2014-6
3. http://www.cfr.org/separatist-terrorism/chechen-terrorism-russia-chechnya-separatist/p9181
4. http://sputniknews.com/middleeast/20150520/1022375780.html
5. http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/al-qaeda/9157929/Al-Qaeda-attacks-in-Europe-since-September-11.html
6. http://www.nytimes.com/2015/01/09/world/europe/paris-terror-attack-suspects.html?_r=0

სიმონ გურეშიძე

იორდანიული სამკუთხედი

2016 წლის ივნისის დასაწყისში, 5 იორდანელი მოკლეს დედაქალაქ ამანიდან 12 კილომეტრით დაშორებულ დაზვერვის სამსახურის მთავარ კომპლექსში. აღნიშნული ინციდენტი იყო ქვეყნის ისტორიის ბოლო ათწლეულებში მომხდარი ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტი. ცნობილია, რომ მეფე აბდალლაჰის პროდასავლური ორიენტაციის მქონე სამეფო დიდი ხანია რაც „ისლამური სახელმწიფოს“ სამიზნე გახდა, ხოლო აღნიშნული შემთხვევა მოწმობს იმ ფაქტსაც რომ „ის“-მ მოახერხა საკუთარი მხარდამჭერთა ბაზის შექმნა ქვეყანაში. 2002-05 წლებში იორდანიის უსაფრთხოების სამსახურებმა ეფექტური ღონისძიებების გატარების შედეგად შეძლეს ალ-კაიდას მიერ დაგეგმილი ტერორისტული ოპერაციების აღკვეთა და საფრთხეების მინუმამდე დაყვანა. სირიის ომის გამწვავებამ ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. 2015 წლის ნოემბერში, იორდანელმა პოლიციელმა მოკლა ორი ამერიკელი და ორი სამხრეთ აფრიკელი ინსტრუქტორი თავიანთ ორ კურსანტთან ერთად პოლიციის საერთაშორისო საწვრთნელ ცენტრში მო’აქარში. მიმდინარე წლის მარტში კი იორდანიის კონტრტერორისტულმა ძალებმა განახორციელეს რეიდები პალესტინელთა ბანაკებში, ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ირბიდში. ოპერაციის მსვლელობის დროს მათ მოკლეს რვა მებრძოლი, რომლებიც სავარაუდოდ გეგმავდნენ თავდასხმებს სამხედრო და სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. 2015 წლის ივლისში შვიდ იორდანელს მიუსაჯეს ხანგრძლივი პატიმრობა, რომლებიც გეგმავდნენ ტერაქტს ისრაელის საელჩოსა და ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ ამანში. გარდა იმისა, რომ ქვეყანაში ტერორისტული საფრთხეები მატულობს, ბექაას ტერაქტში ჩართული იყო პარლამენტის ყოფილი წევრის ძმისშვილი. იორდანული წყაროების თანახმად, სამეფოს ელიტური ნაწილის ოჯახის წევრთა ჩართულობა აღნიშნულ თავდასხმებში, დამატებითი განგაშის საფუძველს იძლევა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2014 წელს „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ტყვედ ჩავარდნილი იორდანელი პილოტის ცოცხლად დაწვის ფაქტამდე, ქვეყანაში გამოკითხულოთა 60 პროცენტი მიიჩნევდა „ის“-ს ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო 31 კი - „ჯაბჰათ ალ-ნუსრას“. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ახლახანს ჩატარებული გამოკითხვების თანახმად კი, იორდანელთა 90% „ის“-სტერორისტულ ორგანიზაციად თვლის, დანარჩენი ათი პროცენტისთვის აღნიშნული დაჯგუფება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

მიმდინარე მოვლენების პარალელურად უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და საუდის არაბეთის მიერ სირიელი აჯანყებულებისთვის მიწოდებული იარაღის სისტემატური მოპარვა და შავ ბაზარზე გაყიდვის ფაქტები ფიქსირდება. ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებული გამოძიების თანახმად, სწორედ ამ იარაღით მოხდა ზემოთ აღნიშნული ნოემბრის ინციდენტი, რომლის დროსაც ორი ამერიკელი და ორიც სამხრეთ აფრიკელი ინსტირუქტორი დაიღუპნენ თავიანთ კურსანტებთან ერთად. იორდანიის მედიის საქმეების სახელმწიფო მინისტრის მუჰამმად ჰ. ალ-მუმანის განმარტების თანახმად, ქვეყნის დაზვერვის სამსახურის ოფიცრების დადანაშაულება იარაღის ქურდობაში არის „აბსოლუტურად არაკორექტული“ განცხადება.

New-York Times-ში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ზოგიერთი (წყაროში დაუზუსტებელი) არაბული ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების მიერ 2013 წელს ამოქმედდა სირიელი აჯანყებულებისთვის საწვრთნელი პროგრამა, რომლის ყველაზე დიდი კონტრიბუტორები იყვნენ აშშ და საუდის არაბეთი, აქედან საუდის არაბეთი ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციას ეხმარებოდა იარაღითაც და ფულითაც, ხოლო ცსს-ის ოპერატიული მუშაკები მივლენილი იყვნენ ინსტრუქტორებად, რომლებიც აჯანყებულებს ასწავლიდნენ კალაშნიკოვის სისტემის ავტომატების, ყუმბარების, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებისა და სხვა შეიარაღების გამოყენებას. პროგრამა გაწერილია დეტალურად, რაც ბიუჯეტის ხარჯებსაც კი ითვალისწინებს. ხოლო ამერიკელი ოფიციალური

პირების განცხადებით ცსს-მ გაწვრთნა ათასობით აჯანყებული რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბრძოლის ველზე ასადის ძალების წინააღმდეგ მანამ, სანამ გასულ წელს რუსეთი მნიშვნელოვან სამხედრო ძალას მიახმარდა ასადის რეჟიმს. საწვრთნელი პროგრამის მოსამზადებელი ბაზა განთავსებული იყო იორდანიაში. დასაწყისიდანვე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და არაბული ქვეყნების (საუდის არაბეთი, კატარი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები) მჭიდრო კონტაქტში იყვნენ იორდანიის უსაფრთხოების ძალებთან შეიარაღების ტრანსპორტირების საკითხებში, რომელსაც ბითუმად ყიდულობდნენ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა პენტაგონის მსგავსი პროგრამისგან განცალკევებით რომელიც შემდგომში დაიხურა. აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო წვრთნიდა აჯანყებულთა იმ ნაწილს, რომლებიც ებრძოდნენ „ისლამურ სახელმწიფოს“ და არა სირიის რეჟიმის შეიარაღებულ ძალებს. ცნობილია რომ 2015 წლის ოქტომბერში ობამას ადმინისტრაციამ შეაჩერა „ის“-ს წინააღმდეგ მებრძოლ აჯანყებულთა ნაწილით ახალი ფორმირების ჩამოყალიბების პროგრამა, რადგან მიიჩნიეს რომ 500 მილიონიანი ბიუჯეტის მქონე კამპანია წარუმატებელი გამოდგა და აშშ გააგრძელებდა საბრძოლო ოპერაციებში ჩართული ჯგუფების ამუნიციით მომარაგებას ფულადი დახმარების გაწევის ნაცვლად. თეთრი სახლისა და პენტაგონის წამყვანი ოფიციალური პირების განცხადებების თანახმად, ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებას ჰქონდა კიდევ ორი მიზეზი: საწვრთნელი პროგრამა აღარ იყო ხელსაყრელი აშშ-ს მიერ მომზადებული მებრძოლებისთვის და ამან ირიბად ხელი შეუწყო რუსეთის ძლიერ ჩარევას სირიის კონფლიქტში, რომლის ფონზეც ვლადიმერ პუტინმა გააქტიურების სურვილი გამოთქვა, რადგან მიიჩნევდა რომ შეერთებულმა შტატებმა თავის კოალიციასთან ერთად ვერ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს მიმდინარე პრობლემების აღმოფხვრის საკითხებში. გარდა ამისა, თურქეთისა და იორდანიის ბაზებში მომზადებული და შემდეგ სირიაში დაბრუნებული მებრძოლები „ისლამური სახელმწიფოს“ ნაცვლად ამჯობინებდნენ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებას. ინფორმაცია იარაღის მოპარვის შესახებ რამოდენიმე თვის განმავლობაში ტრიალებდა იორდანიის სამთავრობო წრეებში. ქვეყნის რამოდენიმე ყოფილი სახელმწიფო მინისტრის პირველმა თანაშემწემ ჰუსამ ‘აბდ-ალლათმა განაცხადა რომ აღნიშნული სქემის შესახემ გაიგო იორდანიის ოფიციალური პირებისგან. მისივე განცხადებით იორდანიის უშიშროების სამსახურში (დაზვერვის გენერალური დირექტორატი) იყვნენ ლოჯისტიკის სფეროში დასაქმებული რამდენიმე დაბალი რანგის კორუმპირებული ოფიცერი, ხოლო ზოგადად სამსახური საერთაშორისო დონის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და პატრიოტულად მოტივირებული კადრებითაა დაკომპლექტებული.

1952 წლიდან აშშ-ის პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მსხვილ ფულად დახმარებას უწევდა იორდანიის მეფე ჰუსაინს, რომელიც ქვეყნას სათავეში ედგა 1952-99 წლებში, რის სანაცვლოდაც ამერიკული მხარე იღებდა მრავალრიცხოვანი სადაზვერვო ოპერაციების ჩატარების ნებართვას იორდანიისგან. ცსს-ს ფული და ექსპერტები ეხმარებოდნენ მონარქს დაზვერვის გენერალური დირექტორატის ჩამოყალიბებაში, ასევე შიდა და გარე გამოწვევების გამკლავებაში. 2011 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური დახმარება იორდანიის კონტრტერორისტული პროგრამების გაძლიერების მიზნით. დაფუძნდა ამერიკულ-იორდანული ანტიტერორისტული ცენტრი ამანთან ახლოს და აშენდა საიდუმლო ციხე, რომელშიც ანთავსებდნენ ცსს-ს მიერ რეგიონში დაკავებულ დამნაშავეებს. 2006 წელს ჟურნალისტ ბობ ვუდვორდს თავის წიგნში „State of Denial” მოჰყავს დიალოგი ცსს-ს მაშინდელ დირექტორ ტენეტსა და ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველ კონდოლიზა რაისს შორის: „ჩვენ შევქმენით იორდანიის დაზვერვის სამსახური და ეხლა ჩვენ ვფლობთ მას.“

საბოლოოდ იარაღის სკანდალის შემდეგ დააპატიმრეს დაზვერვის სამსახურის (რომელიც მუხაბარათის სახელითაცაა ცნობილი) რამდენიმე ხელმძღვანელი რომელთაც ბრალი ედებოდათ დატაცებაში, ფულის გათეთრებაში და საბანკო მაქინაციებში. ერთ-ერთი მათგანი გენერალი სამიჰ ბატტიკი, რომელიც დაზვერვის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელიც იყო 1995-2000 წლებში, ამხილეს ყალბი სამთავრობო კონტრაქტების გაფორმების გზით ბანკიდან 600 მილიონი დოლარის სესხის გამოტანასა და საბოლოოდ 25 მილიონის

მითვისებაში. მას რვა წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა, რომელიც მალე შემცირდა ოთხ წლამდე და ეს პერიოდი გაატარა ქალაქ აქაბაში საკუთარ ზღვისპირა ვილაში. მასთან ერთად გაასამართლეს იმავე სამსახურის თანამშრომელი 2005-08 წლებში გენერალი მუჰამმად ალ-დაჰაბი, რომელიც თავის დროზე ეწეოდა ავტომობილების კონტრაბანდას ერაყიდან და ყიდდა იორდანიის მოქალაქეობას ერაყელ ბიზნესმენებზე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, იორდანიის სატაბილურობა ერთ-ერთ უმნშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს აშშ-სთვის. ხოლო ეს ქვეყანა კვლავაც რჩება ვაშინგტონისა და ლონდონის საუკეთესო მოკავშირედ რეგიონში. ეხმარება აშშ-სა და სხვა დასავლურ სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩატარებაში. უთმობს საკუთარ ავიაბაზებს, საკმაო წვლილი შეაქვს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ითვლება რეგიონში ირანის ექსპანსიონიზმის შემაკავებელ ანგარიშ გასაწევ ძალად, მხარს უჭერს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას. ამ ფაქტორების გათვალისწინების გამო, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველწლიურად ერთი მილიარდი დოლარის ფინანსურ დახმარებას უწევს იორდანიას სამხედრო და ეკონომიკური გამოწვევებისა და სირიელი ლტოლვილების დახმარების დასაძლევად.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წლის აპრილში საუდის არაბეთი დათანხმდა იორდანიას გამოუყოს 22 მილიარდი დოლარის დახმარება, რომელზეც ქვეყნის წამყვანი ოფიციალური პირები დიდ იმედებს ამყარებენ. მოლაპარაკებებს წარმართავდა ბასიმ ავდალლაჰი - ყოფილი იორდანელი მინისტრი და სამეფო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ამჟამადაც არის მეფე აბდალლაჰის სპეციალური წარმომადგენელი საუდის არაბეთში, შეთანხმების დეტალები ცნობილი არ არის. ავდალლაჰის განცხადებებზე დაყრდნობით, საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას პრინც მუჰამმად ბენ სალმანის თანაშემწე და იორდანიის პრემიერ მინისტრი ‘აბდ-ალლაჰ ანსური, განახორციელებს მილიარდობით დოლარის ინვესტიციას იორდანიის ეკონომიკის მთავარ სექტორებში, რაც თავის მხრივ, შექმნის სამუშაო ადგილებს, გაზრდის პროდუქციის ბრუნვას და გაიხსნება ახალი ბაზრები.

ასევე ცნობილი გახდა პროექტი „Vision 2030”, რომელიც ითვალისწინებს შეამციროს იორდანიის სამეფოს დამოკიდებულება ნავთობ პროდუქტებზე. გარდა იმისა, რომ იგეგმება აქაბაში სპეციალური ეკონომიკური ზონის ინვესტირება, ერ-რიადი ასევე ითანამშრომლებს ამანთან იორდანიის ბირთვული სექტორის განვითარების საკითხებშიც. ამჟამად ამანი განიხილავს 10 მილიარდიან პროექტს, რომლლის მეშვეობითაც უნდა ააშენოს ორი ათას-მეგავატიანი რუსული ბირთვული რეაქტორი, რომლის ნაწილსაც დააფინანსებს მოსკოვი. საკონტროლო პაკეტის შენარჩუნების მიზნით იორდანიას ესაჭიროება მოიძიოს სხვა დამფინანსებლებიც, იგულისხმება საუდის არაბეთი. თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება იორდანიის ურანის საბადოების გამოკვლევას, „ჩვენს ქვეყანას აქვს 35 ტონა ურანის გამდიდრების უფლება“ - დაამატა ავდალლაჰმა.

საბოლოოდ, ვაშინგტონის ახლოაღმოსავლეთის კვლევების ინსტიტუტის ანალიტიკოსთა აზრით, საუდის არაბეთის მიერ იორდანიისთვის გაწეული ეკონომიკური დახმარება გარკვეულ წილად დადებითი მოვლენაა, თუმცა ამან შეიძლება სხვა პრობლემაც გამოიწვიოს; გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-მ ირანს მოუხსნა სანქციები და ნება დართო გაამდიდროს ურანი, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს 15 წელიწადში ირანი ბირთვულ იარაღსაც შექმნის. შესაბამისად ირანთან კონფრონტაციაში მყოფი საუდის არაბეთისა და იორდანიისთვის იგივე ნაბიჯის გადაგმისკენ თავშეკავების მოთხოვნა კი შეერთებულ შტატებს ძალზე გაუჭირდება, თუ კი ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იორდანიის საზოგადოებას ერთნაირად არ მოსწონს ირანი, რუსეთი, „ჰიზბ ალლაჰი“ და „ისლამური სახელმწიფო“ ეს გარემოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენებს ახლო აღმოსავლეთის მსხვილ რეგიონალურ მოთამაშეებს.

დამუშავებული წყაროები:

1. http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/terrorist-spillover-in-jordan

2. http://www.nytimes.com/2016/06/27/world/middleeast/cia-arms-for-syrian-rebels-supplied-black-market-officials-say.html?_r=1
3. http://www.nytimes.com/2015/10/10/world/middleeast/pentagon-program-islamic-state-syria.html
4. http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/terrorist-spillover-in-jordan
5. http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/promised-saudi-support-to-jordan-at-what-price
6. http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/jordans-public-dislikes-russia-iran-hezbollah-and-isis-but-wants-to-stay-ou
7. http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/growing-stress-on-jordan
8. http://www.telegraph.co.uk/news/2016/06/27/cia-weapons-for-syrian-rebels-stolen-by-jordanian-intelligence-o/
9. https://www.washingtonpost.com/world/did-us-weapons-supplied-to-syrian-rebels-draw-russia-into-the-conflict/2015/10/11/268ce566-6dfc-11e5-91eb-27ad15c2b723_story.html
10. http://edition.cnn.com/2015/10/12/politics/syria-rebel-groups-ammunition-50-tons/
11. http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/syria/11882195/US-trained-Division-30-rebels-betrayed-US-and-hand-weapons-over-to-al-Qaedas-affiliate-in-Syria.html
12. http://europe.newsweek.com/have-syrian-rebels-got-anti-aircraft-missiles-448497?rm=eu

მარიამ გურეშიძე

ქრისტიანები, სირიის კონფლიქტი და ჰავანის ისტორიული შეხვედრა

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 28 ქრისტიანული კონფესია არსებობს, რომელიც დაახლოებით 15 მილიონ მორწმუნეს ითვლის. არაბულ ქვეყნებში ქრისტიან მაცხოვრებლებს არაბ-ქრისტიანებს უწოდებენ (არაბ. مسيحيون عرب). არაბი-ქრისტიანები ეთნიკური წარმომავლობით განსხვავდებიან. ძირითადად იმ ხალხის შთამომავლები არიან, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში არაბების დაპყრობამდე ცხოვრობდნენ (VII-საუკუნე). როგორც ცნობილია, ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილი არაბების დაპყრობებამდე ბიზანტიის იმპერიას ეკუთვნოდა და რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ქრისტიანული იყო.

არაბი-ქრისტიანები (მარონიტები) XX-საუკუნის 70-იან წლებში ლიბანის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ. დღესდღეობით მათი რაოდენობა დაახლ. მილიონია. არაბი-ქრისტიანების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს ასევე სირიაში, ისრაელსა და იორდანიაში. 1990 წლის მონაცემებით, ერაყში 1 მილიონი ქრისტიანი ცხოვრობდა, იორდანიაში - 160 ათასი.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და ჩრდილოეთ აფრიკაში არაბი-ქრისტიანების ყველაზე დიდ ჯგუფს ეგვიპტის კოპტები წარმოადგენენ (დაახლოებით 8 მილიონი, მთელი მოსახლეობის 9%-ს). კოპტების დიდი ნაწილი კოპტურ მონოფიზიტურ ეკლესიას მიეკუთვნება. ეგვიპტეში დაახლოებით 100 ათასი კოპტი კოპტურ კათოლიკური ეკლესიის საზოგადოებაში შედის. ეკლესიებში კოპტების ლოცვა არაბულ და კოპტურ ენაზე აღესრულება.

რაც შეეხება სირიას, მოსახლეობის 90 %-ს მუსლიმები შეადგენენ. უპირატესად სუნიტები (დაახლოებით 74 %). დანარჩენი მოსახლეობა ისლამის სხვადასხვა მიმართულების მიმდევრები არიან, ძირითადად ალავიტები (მთლიანი მოსახლეობის 10%) და დრუზები (6%). ასევე წარმოდგენლი არის შიიტი-მუსლიმების თემებიც. რომლის რაოდენობა 2005 წლიდან გაიზარდა (ერაყელი ლტოლვილების მიზეზით). რაც შეეხება ქრისტიანებს, ისინი მოსახლეობის დაახლოებით 5% შეადგენენ. სირიაში ქრისტიანობა მონოლითური არ არის. წარმოდგენილია სხვადასხვა ეკლესიების სახით. არსებობს კათოლიკური, მართლმადიდებლური და პროტესტანული ეკლესიები. დომინირებს ბერძნული და სომხური გრეგორიანული ეკლესიის მრევლი, არიან ასევე ბერძენი-კათოლიკები, იაკობიტები, მარონიტები და სხვა ქრისტიანული ეკლესიების მიმდევრებიც. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ბერძენი-კათოლიკები, სირიელი-კათოლიკები, სომეხი-გრეგორიანელები, მარონიტები, ქალდეველები. ყველას საკუთარი პატრიარქი ჰყავს. მართლმადიდებლური ეკლესიები ასევე გაყოფილია ბერძნულ ორთოდოქსულ, სირიულ ორთოდოქსულ და სომხურ ორთოდოქსულ მიმდინარეობებად.

დღესდღეობით ისლამურ ქვეყნებში მაცხოვრებელი არაბი-ქრისტიანების რაოდენობა მუდმივად მცირდება. მათი რაოდენობა კი აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში და დასავლეთ ევროპაში (ძირითადად საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში) იზრდება. აშშ-ში 4 მილიონი არაბი ცხოვრობს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანია. არაბი-ქრისტიანების მსხვილი თემები არსებობს ასევე ლათინურ ამერიკაშიც. არგენტინაში სხვადასხვა მონაცემებით დაახლოებით ნახევარ მილიონიდან მილიონამდე არაბი-ქრისტიანი ცხოვრობს. ასევე ბრაზილიაში, ურუგვაიში, ვენესუელაში და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში (კერძოდ ნიგერიაშიც) საკმაოდ დიდი რაოდენობა არის წარმოდგენილი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბოლო პერიოდში არაბულ ქვეყნებში ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად მცირდება. კერძოდ, ერაყსა და სირიაში ომის შედეგად უამრავმა ლტოლვილმა დატოვა ქვეყანა. არსებობს საფრთხე, რომ ალავიტური რეჟიმის დამხობის შემთხვევაში ისლამისტი რადიკალები ქრისტიანებზეც მოახდენენ ზეწოლას. აღსანიშნავია, რომ სირიაში არსებული კონფლიქტი არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ რელიგიურ სახესაც ატარებს, რადგან ტერორისტების ზეწოლის ქვეშ ქრისტიანებთან ერთად სირიის მუფთიც მოხვდა. მას სდევნიდნენ, ხოლო 2012 წელს ტერორისტებმა მისი შვილი მოკლეს. სირიის

სახელისუფლებო ჯარში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ჯარისკაცები მსახურობენ. მუსლიმები იცავენ როგორც საკუთარ ქვეყანას, ასევე ქრისტიანულ მონასტრებს. სირიაში მუსლიმებისა და ქრისტიანების თანაცხოვრების სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს შემდეგი ფაქტი: უმაიანთა მეჩეთში წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავი განისვენებს. რა თქმა უნდა, მეჩეთში ლიტურგია არ აღესრულება, მაგრამ ქრისტიანები უპრობლემოდ შედიან და ლოცულობენ. ქვეყანაში აღინიშნება როგორც ისლამური, ისე ქრისტიანული დღესასწაულები.

სირიაში არსებული კონფლიქტის დროს აჯანყებულების მხრიდან შეტევა განხორციელდა ქრისტიანულ მოსახლეობაზეც და სეიდნაიაში, ზაბადანში და დერააში არსებულ ეკლესიებზე. ამბოხებულებმა სხვადასხვა ქრისტიანულ ქალაქებში მოკლეს და ტყვედ აიყვანეს მღვდლები. მამაო ფადი (ჰადადი), კატანიდან, გაიტაცეს და შემდეგ მოკლეს. ასეთივე ფაქტი განხორციელდა ჰამაშიც. ამბოხებულები 2013 წლის 22 აპრილს ანტიოქიიდან ალეპოსკენ მიმავალალ გზაზე თავს დაესხნენ და ტყვედ აიყვანეს ალეპოს მართლმადიდებელი მიტროპოლიტი პავლე და ალეპოს იაკობიტი მიტროპოლიტი იოანე იბრაჰიმი. ღვთისმსახურები თურქეთის საზღვრისკენ მიემართებოდნენ, ორი გატაცებული მღვდლის გათავისუფლების მისიით. ტერორისტების თავდასხმის შედეგად დაიღუპა დიაკვანი, ეპისკოპოსები კი გაიტაცეს.

სირიის რელიგიურ საკითხების სამინისტრომ კომუნიკე გამოსცა, რომლის თანახმადაც, მღვდლები „ფრონტ ალ-ნუსრა“-ში გაერთიანებულმა დაქირავებულმა მებრძოლებმა გაიტაცეს. ასევე სირიის მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რადიკალურ დაჯგუფება „ჯებჰათ ან-ნუსრას“ უდიდესი წვლილი მიუძღვოდა ქრისტიანული სიწმინდეების შებღალვაში.

სირიაში სასულიერო პირების გატაცება კონფლიქტის თანხმვედრი მოვლენა გახდა. ჯერ კიდევ 2012 წლის იანვარში ქალაქ ჰამაში მართლმადიდებელი მღვდელი, ვასილი ნასსერი დახვრიტეს. სირიის ოფიციალური პრესა ამტკიცებს, რომ მამა ვასილი შეიარაღებულმა ტერორისტებმა მოკლეს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა კი მღვდლის სიკვდილში ხელისუფლება დაადანაშულეს. მათი ინფორმაციით, იგი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

2014 წლის აპრილის თვეში ქალაქ ჰომსში ჰოლანდიელი მღვდელი ფრანს ვან დერ ლუტი მოკლეს. თვითმხილველთა განცხადების თანახმად, მღვდლის სახლში შეიარაღებული პირები შეცვივდნენ და იგი ქუჩაში დახვრიტეს. მას არაერთხელ შესთავაზეს ჰომსის დატოვება. ცნობილია რომ ჰომსში აჯანყებულებსა და ხელისუფლების ჯარს შორის მიმდინარეობს ბრძოლა. ფრანს ლუტი შეთავაზებაზე უარს აცხადებდა და აღნიშნავდა, რომ მას სურდა დახმარებოდა ადგილობრივ ქრისტიანებს. ფრანს ვან დერ ლუტი 75 წლის იყო და 1966 წლიდან ცხოვრობდა სირიაში. მან ორი წელი ლიბანში გაატარა არაბულის შესასწავლად. იგი ასევე იეზუიტთა ორდენის წარმომადგნელი იყო. ჰოლანდიელი მღვდელის სიკვდილთან დაკავშირებით განცხადება ვატიკანის პრეს მდივანმაც გააკეთა. მეუფე ფრედერიკო ლომბარდის განცხადებით, „გარდაიცვალა მსოფლიოს ადამიანი“.

2014 წლის მარტის თვეში გავრცელდა ინფორმაცია მონაზვნების გათავისუფლებასთან დაკავშირებით. 2013 წელს სირიის ქალაქ მალულადან ბერძნული მართლმადიდებლური წმინდა თეკლას მონასტერიდან გაიტაცეს თორმეტი მონაზონი (ზოგიერთი წყაროს ცნობით, ცამეტი). არსებობდა ვარაუდი, რომ გატაცებული მონაზვნები აჯანყებულებს ჩრდილოეთით იაბრუდას მიმართულებით მიჰყავდათ. გატაცებაზე პასუხისმგებლობა „თავისუფალი კალამუნის ბრიგადის“ აჯანყებულებმა აიღეს. ანტიოქიის მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტის ლუკა ალ-ჰურას განცხადებით, მონაზვნების გათავისუფლებაზე ზეგავლენა იქონია ქალაქ იაბრუდას მიმდებარე ტერიტორიაზე სირიის ჯარების ქმედებებმა. იაბრუდაზე სირიის სახელმწიფო ჯარების შეტევა განხორციელდა მას შემდეგ რაც რეგიონში „ალ-კაიდასთან“ დაკავშირებული „ფრონტ ალ-ნუსრას“ დაჯგუფება შევიდა. 2014 წლის 9 მარტს მძევლები ლიბანის ქალაქ არსალში ჩაიყვანეს. არსალი სირიის საზღვართან მდებარეობს. არსალიდან მძევლები ლიბანის უშიშროების სამსახურის მეთაურის და კატარის დაზვერვის წარმომადგენლის თანხლებით ლიბანის ტერიტორიაზე სამხრეთისკენ გაემგზავრნენ. შემდეგ ისევ სირიისკენ გაემართნენ. ფრანს პრესის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მოგზაურობა 10 საათს გაგრძელდა.

ახლო აღმოსავლეთიდან ქრისტიანების შევიწროვების, ტერორიზმის, „არატრადიციული“ ქორწინებების, ევთანაზიისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კუბაში, ჰავანაში 2016 წლის 15 თებერვალს რომის პაპის ფრანცისკესა და რუსეთის პატრიარქის კირილის ისტორიული შეხვედრა შედგა. შეხვედრა ერთობლივი დეკლარაციის მიღებით დასრულდა, რომელშიც ორივე მხარემ თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში არსებულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება. „ჩვენი ხედვა პირველ ყოვლისა მიმართულია მსოფლიოს იმ რეგიონებისაკენ, სადაც ქრისტიანთა დევნა ხდება. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრ ქვეყანაში ქრისტეს რწმენის გამო ჩვენი ძმები და დები იღუპებიან და ქალაქები ნადგურდება . . . ჩვენ დიდი ტკივილით ვადევნებთ ყურადღებას ქრისტიანების ამ მიწებიდან მასობრივ გამოდევნას“- ნათქვამია დოკუმენტში. აღსანიშნავია, რომ სირიელი ქრისტიანები მუსლიმებზე უფრო მეტად ურბანიზებულები იყვნენ. უმეტესობა მათგანი ცხოვრობდა დამასკოში, ალეპოში, ჰამასა და ლატაკიაში და ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ტერორისტების საომარ მოქმედებებათა ეპიცენტრებში აღმოჩნდნენ. სასულიერო პირებმა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდეს, დაიცვას ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანები, შეინარჩუნოს ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობები ევროპაში და ა.შ.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან და მოვლენებიდან გამომდინარე, ქრისტიანებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს, რათა სირიაში არ შექმნილიყო სახელმწიფოებრივი ვაკუუმი (განსხვავებით ლიბიისაგან). აღსანიშნავია, რომ სირიაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ზოგიერთმა ქრისტიანმა გადაწყვიტა გვერდში დადგომოდა ოპოზიციას, მაგალითად, სირიის ნაციონალურ საბჭოს, რომლის ლიდერიცაა, სირიის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანი ქრისტიანი ჟორჟ საბრა. თუმცა თუ რომელიმე ქრისტიანი დადგა ოპოზიციის მხარეს, ისინი მზად არიან ხელისუფლებასთან დიალოგისთვის და ქვეყანაში ერთობლივი რეფორმების გატარებისთვის. ასევე სირიელ მუსლიმებთან ერთან იბრძვიან ტერორისტების წინააღმდეგ. ჰავანის ისტორიული შეხვედრა კი მაღალი ალბათობით გააძლიერებს არაბ ქრისტიანებს, რომლებიც კვლავ წვლილს შეიტანენ არაბული სამყაროს (სირიის) ერთიანობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „არაბული ერთიანობის“ ცნება არაბულ სამყაროში ქრისტიან არაბთა მიერ არის გავრცელებული. „არაბული ერთიანობის“-არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგიის გამომხატველად პარტია „ბაასი“ ითვლება. რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, მიშელ აფლაკი (ميشيل عفلق სირიისა და ერაყის პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, სოციოლოგი და თეორეტიკოსი) - გამოდიოდა ყველა არაბის გაერთიანების და ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნის იდეით, რომელიც სოციალურ თანასწორობაზე იქნებოდა დაფუძნებული. ქრისტიანები ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას არაბულ-ისლამური ცივილიზაციის ფორმირებაში, უდიდესი წვლილი შეიტანეს კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში.

გამოყენებული მასალები:

1. http://lenta.ru/news/2013/09/24/maaloula/
2. http://www.bbc.co.uk/arabic/middleeast/2013/09/130919_syria_malula_sinjab.shtml
3. http://www.alhurra.com/content/syria-new-clashes-christian-town-maalula/232121.html
4. http://www.aljazeera.net/news/pages/2371db86-36ff-4aa9-88d8-fce931f943b8
5. http://www.jpost.com/Middle-East/Dutch-Jesuit-priest-beaten-and-killed-in-Syria-347793
6. http://www.almasryalyoum.com/news/details/424772
7. http://www.kp.ru/daily/26493.5/3361794/